დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2022 წლის
12 - 18 დეკემბერი
N 51 1463
ფასი 3 ლარი
და 90 თეთრი

# არ გაუშვათ!

„თუ ახლა ვინმეს სააკაშვილის ჯანმრთელობის დამძიმება და, ღმერთმა არ ქნას, ლეტალური შედეგი აწყობს,

## ეს სწორედ მისი გარემოცვაა!“ 5




## მიშაავ, შენ!



კუბილიუს-კრამონ-ფოტიგების უფროსი ვირის აბანოში გა-ამ-წე-სეს! 8



## ადე,

უნივერსიტეტის კედლებს აღარ შეაწუხებს გურამ შარაძის იდეურ მკვლელთაგან ერთ-ერთის ავი აჩრდილი! 10

შეფურთხების პროფესორი ბუღაძე უნივერსიტეტიდან გა-მო-ა-ბუ-ღა-ძეს! 11

## ადამის მოთქმა




3

როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირონიით ამბობს — თუ კინზინგერი მაკრიტიკებს, რაღა მეშველებაო — ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მართლა რაღაც ეშველა!



ზაზა პაპუაშვილი:

## ევროკავშირის წევრობის ძლინკიან კანდიდატობას ქვეყანა არ უნდა შევწიროთ!

4-5





2

## კასიანოვ, დედა მოგიკითხეს?!

# კასიანოვ, დედა მოგიკითხეს?!



საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ანდრეი კასიანოვი

***„მაგ კასიანოვს, მაგ ელჩის მოადგილეს, დედას მოუ...ნავენ!“** (ცენზურა აქ და ყველგან ჩვენია. რედ.) **— ეს სიტყვები ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს გიორგი ბარამიძეს ეკუთვნის, ხოლო ის კაცი, ვისაც, ბარამიძის თქმით, „დედას მოუ...ნავენ“, საქართველოში უკრაინის ელჩის ყოფილი მოადგილე, ამჟამად კი ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ანდრეი კასიანოვი გახლავთ.***

ფარული აუდიოჩანაწერი, რომელშიც ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელ **ანდრეი კასიანოვს** დედის მო...ნით ემუქრებოდა, ინტერნეტში 2022 წლის აპრილში გავრცელდა.

უპრიანია, **კასიანოვის შესახებ ბარამიძის ნათქვამი** სრული სახით შემოგთავაზოთ:

***„ადმინისტრაციის ხალხსა და არახამიას ვერ ვუკავშირდები, თორემ ჩერეზ-ჩერეზ საგარეოს ხალხთან მაქვს ურთიერთობა, ახლა ველაპარაკე და გაგიჟდნენ, მაგ კასიანოვს, მაგ ელჩის მოადგილეს, დედას მოუ...ნავენ!“***

რატომ იყო გამწარებული ბარამიძე კასიანოვზე და რატომ უნდა მოე...ნა მისთვის დედა „საგარეოს ხალხს“, ანუ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს?

საქმე ის არის, რომ 2022 წლის მარტში, უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან ერთი თვის თავზე, საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა **ანდრეი კასიანოვმა** ბრიფინგზე განაცხადა:

***„მადლობას ვუხდით ყველას — საქართველოს მთავრობას, ქართველ ხალხს, ქართულ სასწავლო დაწესებულებებს, ყველა კომპანიას, საპატრიარქოს, საქართველოსა და უკრაინის რიგით მოქალაქეებს, ყველა მოხალისეს, ვინც ახლა აწვდის უკრაინას და უკრაინელ ხალხს ჰუმანიტარულ დახმარებას“.***

უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ეს განცხადება არანაირად არ ჯდებოდა ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდისტულ სტრატეგიაში, რომელიც თავიდან ბოლომდე იმაზეა აგებული, რომ საქართველოს „პრორუსული“ ხელისუფლება ომში მყოფ უკრაინას არაფრით ეხმარება.

უფრო მეტიც, **უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის მიერ საქართველოს მთავრობისათვის მადლობის გადახდა პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა თავად უკრაინის ხელისუფლების, ანუ კოლექტიური არახამიების პოლიტიკას, რომელიც საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციასა და ქვეყნის სათავეში ნაცბანდის დაბრუნებას გულისხმობს.**

ამიტომაც აღაშფოთა კასიანოვის განცხადებამ **გია ბარამიძე** და ამიტომაც გაგიჟდნენ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებიც ნაცბანდის ერთ-ერთ ატამანს დაჰპირდნენ, რომ კასიანოვს დედას მოუ...ნავდნენ!

და აი, როგორც ჩანს, კასიანოვს დედა მართლაც მოუკითხეს!

ეტყობა, **კოლექტიურმა ბარამიძემ და კოლექტიურმა არახამიამ** საფუძვლიანი მუშაობა გასწიეს, რათა დედამოკითხულ კასიანოვს ვერასოდეს გაებედა საქართველოს მთავრობისათვის მადლობის გადახდა იმ მართლაც უპრეცედენტო ჰუმანიტარული დახმარების გამო, რასაც საქართველო ომში მყოფ უკრაინას უწევს.

შესაბამისად, საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა **ანდრეი კასიანოვმა,** რომელსაც ბარამიძე-არახამიამ დანაქადი აუსრულეს და დედა მოუკითხეს, გასულ კვირას საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა:

***„სამწუხაროდ, რუსეთის ფართომასშტაბიანი აგრესიის დაწყების დღიდან, მრავალრიცხოვანი თხოვნის მიუხედავად, ჩვენ არ მიგვიღია პასუხი საქართველოს მთავრობისაგან უკრაინისთვის იარაღის, საბრძოლო მასალისა და როგორც სამხედრო, ასევე ორმაგი დანიშნულების სხვა ტექნიკის მიწოდებასთან დაკავშირებით“.***

ხედავთ განსხვავებას?

სანამ ნაცსექტა და კოლექტიური არახამია კასიანოვს დედას „მოუ...ნავდნენ“, იგი სულ სხვანაირად ჭიკჭიკებდა და საქართველოს მთავრობას, საპატრიარქოსა და ქართველ ხალხს უკრაინის გვერდში დგომისათვის მადლობას უხდიდა, მაგრამ **მას შემდეგ, რაც ბარამიძემ და არახამიამ საქართველოს მთავრობისადმი მადლიერების გამოხატვის გამო დედა მოუკითხეს, უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ღრენაზე გადავიდა — საქართველოს ხელისუფლება უკრაინას სამხედრო დახმარებას არ უწევსო!**

ცხადია, ბარამიძე-არახამიასაგან დედამოკითხულმა კასიანოვმა მშვენივრად უწყის, რომ საქართველო უკრაინას სამხედრო დახმარებას ვერ გაუწევს!

ჯერ ერთი, საქართველოს, რომელიც უკრაინაზე ტერიტორიულად 9-ჯერ პატარაა, მოსახლეობით კი — 11-ჯერ მცირე, ფიზიკურად არ გააჩნია რესურსი, უკრაინას სამხედრო თვალსაზრისით დაეხმაროს და მეორეც, უკრაინისათვის სამხედრო კონტრიბუციის გაწევა ავტომატურად ნიშნავს საქართველოს დაფიქსირებას შეიარაღებული კონფლიქტის მხარედ, რაც მისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის მომაკვდინებლად სახიფათოა.

**იცის ეს კასიანოვმა, ძალიან კარგად იცის, მაგრამ მაინც იმას ლაპარაკობს, რასაც ლაპარაკობს, რადგან ასე უბრძანეს ნაცებმა და კოლექტიურმა არახამიამ, რომლებმაც უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს** ერთხელ უკვე მო...ყნეს დედა საქართველოს ხელისუფლებისადმი მადლიერების გამოხატვის გამო!

**ბარამიძე-არახამიასაგან დედამოკითხული კასიანოვი, ყველა სიკეთესთან ერთად, ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებსაც აკეთებს** — ერთი მხრივ, საყვედურს გამოთქვამს, რომ საქართველომ უკრაინას სამხედრო დახმარება არ გაუწია და კონფლიქტის მხარედ არ წარმოჩინდა, მეორე მხრივ კი, ამბობს:

***„ჩვენ უარვყოფთ უკრაინის წინააღმდეგ ნებისმიერ ბრალდებას საქართველოს რუსეთის ფედერაციასთან ომში ჩათრევის მცდელობასთან დაკავშირებით. ძალიან შეშფოთებული ვართ საქართველოს შიდა პოლიტიკაში ამ თემაზე მუდმივი ბრალდებებითა და სპეკულაციებით“.***

გესმით? უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ამბობს — საქართველოს ხელისუფლებას არაერთხელ ვთხოვეთ სამხედრო დახმარებაო და თან ამტკიცებს — უკრაინის ხელისუფლებას ტყუილად აბრალებთ, რომ საქართველოს ომში ჩათრევა სურსო!

**ბარამიძე-არახამიასაგან დედამოკითხულო კასიანოვ,** საქართველოს ხელისუფლებისაგან რომ ითხოვთ, რუსეთ-უკრაინის შეიარაღებულ კონფლიქტში მხარედ დაფიქსირდეს და სამხედრო დახმარება გაგიწიოთ, ეს საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობა არ არის?

**ბარამიძე-არახამიას მიერ დედამოკითხულო კასიანოვ,** ბრიფინგზე რომ ბრძანეთ — აუცილებელი იყო, საქართველოს ხელისუფლებას მოხალისე მებრძოლები ორგანიზებულად გაეგზავნა უკრაინის ფრონტზეო, ეს არ არის საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობა?

**ბარამიძე-არახამიას მიერ დედამოკითხულო კასიანოვ,** უკრაინის რადას დეპუტატი გონჩარენკო საქართველოს ხელისუფლებას რომ მოუწოდებდა — დროა, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ტანკებით გაისეირნოთო, არც ეს იყო საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობა?

**ბარამიძე-არახამიას მიერ დედამოკითხულო კასიანოვ,** იქნებ არც ის უნდა ჩავთვალოთ საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობად, უკრაინის თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს მდივანმა დანილოვმა რომ განაცხადა — საქართველო ძალიან დაგვეხმარებოდა, თუ რუსეთს მიზეზს მისცემდა, უკრაინელი ქალებისა და ბავშვების ხოცვიდან ქართველი ქალებისა და ბავშვების ხოცვაზე გადართულიყოო!

**ბარამიძე-არახამიას მიერ დედამოკითხულო კასიანოვ,** იქნებ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენელი არ არის ოლექსი არესტოვიჩი, რომელმაც თქვა — საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაში ომის ადამიანები არ არიან, სააკაშვილი რომ ყოფილიყო, რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტს უყოყმანოდ გახსნიდაო!

მოკლედ, **უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ანდრეი კასიანოვმა, რომელიც 2022 წლის გაზაფხულზე საქართველოს მთავრობას მადლობას უხდიდა უკრაინისათვის გაწეული დახმარების გამო, 2022 წლის ზამთარში ფირფიტა შეატრიალა და იმავე საქართველოს მთავრობას უბღვერს — უკრაინას სამხედრო დახმარებას არ უწევთ და გენერატორებსაც კი არ უგზავნითო!**

საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი გვარად დოქსოპულო რომ იყოს, ვკითხავდით — **შენ დედა გყავს?!**

თუმცა, საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი გვარად კასიანოვია და ამიტომ ვეკითხებით — **დედა მოგიკითხეს?!**





## გიორგი ბარამიძემ უკრაინის ელჩისნაცვალს მუქარა აუსრულა!

გიორგი ბარამიძემაც, დავით არახამიამაც, უკრაინის ხელისუფლებამაც და ბარამიძე-არახამიას მიერ დედამოკითხულმა უკრაინის ელჩისნაცვალმაც კარგად დაიმახსოვრონ: **საქართველო რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტში მხარედ არ დაფიქსირდება და ომში არ ჩაერთვება! წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა საქართველო ქვეყნის გარედან მოსული დირექტივების მძევალი იყო და უფლება არ ჰქონდა, საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები დაეცვა!**

ბარამიძე-არახამია-კასიანოვები სულ რომ ნაკერავზე გაიხნენ და წელები მიწაზე გადმოყარონ, ქართული სახელმწიფო არც შინაურ და არც გადამთიელ დედამოკითხულთა საბურთაო აღარასოდეს გახდება!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



მინდა **სააკაშვილს,** როგორც ადამიანს, გულწრფელად ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა. როგორ შეიძლება ადამიანის გარდაცვალება ვინმეს უხაროდეს?! სახელმწიფო აკეთებს და გააკეთებს ყველაფერს, რომ ყველა პატიმრის კონსტიტუციური უფლება იქნას დაცული. **ამ ადამიანმა გადაწყვიტა, ჩამოსულიყო აქ და რევოლუცია, სისხლისღვრა მოეწყო, ციხეში ჩასმის დღიდან ემუქრებოდა ყველას, რომ თქვენ არ იცით, აქ რამდენიმე ხანში, უკრაინის ომი არ იყო დაწყებული ჯერ, სისხლისღვრა დაიწყება, აქ უბედურება მოხდება და მსგავს მუქარებს აგრძელებდა.** შემდეგ 60 დღე იშიმშილა და ყველა რეკორდი მოხსნა მსოფლიო ისტორიაში, შიმშილობის ყველა ისტორია მოხსნა და ვნახეთ ისიც, კადრებიც გავრცელდა, რომ, **თურმე, ის ჭამდა კიდევაც, ფარულად იღებდა საკვებს.** მე ძალიან ბევრჯერ მოვისმინე, რომ **ბატონი სააკაშვილი,** თურმე, დეპრესიაშია და არ მოსწონს გარემო, რომელ პატიმარს მოსწონს ციხის გარემო?

„ახალი თაობა“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ლადო ასათიანის** ცნობილი ლექსის არ იყოს, დიახ, **„ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს... არასდროს ვტოვებთ სიცოცხლეს“,** მაშინაც კი, როს ვწყვეტთ ოცნებას და არასდროს ვამბობთ უარს განვითარებასა და წინსვლაზე. **სიცოცხლე, სიყვარული, სოლიდარობა, მშვიდობა** — ეს ის ფასეულობებია, რასაც მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქში უსურვებენ საკუთარ თავს და საყვარელ ადამიანებს.

**არავის მივცემთ უფლებას,** ბნელი, ბოროტი განზრახვებით **საქართველოში, თბილისში საახალწლო და საშობაო დღესასწაულები გავაქროთ.**

„BM.GE“

**მამუკა მდინარაძე**
*პარლამენტარი*



კონტექსტი ისეთია, თითქოს უკრაინელებმა 2008 წელს, ომის დღეებში გადმოგვცეს იარაღი. ეს ასე არ ყოფილა, **მათ მოგვყიდეს იარაღი,** რისთვისაც მადლობლები ვართ. **ებრძვიან მშვიდობას** და იმდენად ებრძვიან, რომ **სიტყვა „მშვიდობაც“ აღიზიანებთ.** საქართველო არ ჩაერთვება ომში და იქნება მშვიდობა.

„იმედინიუსი“

# ადამის მოთქმა




***„ადამის მოდგმა“ იდიომატური გამონათქვამია, რომელიც აღნიშნავს და გულისხმობს მთელ კაცობრიობას, ვითარცა უფლის მიერ შექმნილი პირველი ადამიანის — ადამის ჩამომავლობას, ხოლო წინამდებარე წერილი — „ადამის მოთქმა“ — ყოფილ კონგრესმენს, ამერიკელ ადამ კინზინგერს შეეხება, რომელიც არამკითხე მოამბეობას არ იშლის და კვლავინდებურად განაგრძობს საქართველოს შინაურ საქმეებში თავისი კონტაპრუწა ცხვირის ჩაყოფას.***



**როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირონიით ამბობს – თუ კინზინგერი მაკრიტიკებს, რაღა მეშველებაო – ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მართლა რაღაც ეშველა!**

**ადამის მორიგი მოთქმა** საქართველოში გასულ კვირას გაისმა, როცა იგი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებას — **ნაციონალური მოძრაობა, ანუ ომის პარტია უკრაინაში ქართველი მებრძოლების წაყვანას უწევს ორგანიზებასო!** კერძოდ, ყოფილმა **კონგრესმენმა კინზინგერმა** დაწერა: **„ისინი გმირები არიან. რამდენად მცირე პატივისცემა გააჩნია საქართველოს პრემიერ-მინისტრს საკუთარი ხალხისადმი, რომ ივარაუდოს, თითქოს მათ სიმართლე არ იციან? ასევე, რას იტყვი რუსეთზე?“**

პოლიტიკურ პროცესებში მეტ-ნაკლებად ჩახედულ ქართველ საზოგადოებას, ცხადია, შეხსენება არ სჭირდება, რომ **ყოფილი კონგრესმენი ადამ კინზინგერი** იმ ძალების წარმომადგენელია, რომლებსაც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება არ ეპიტნავებათ, ნაცსექტაზე კი მზე და მთვარე ამოსდით და ყველანაირად ცდილობენ, სააკაშვილის ბანდას ძალაუფლების დაბრუნებაში დაეხმარონ.

რაც მთავარია, **ადამ კინზინგერი** უკრაინაში ომის დაწყების პირველი დღიდანვე ლამობს, საკუთარი წვლილი შეიტანოს კოლექტიური დასავლეთისა და მისი ქართველი ადეპტების მილიტარისტულ პროპაგანდაში, რომელიც საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნას გულისხმობს.

**„რას იტყვი რუსეთზე?“** — ნიშნის მოგებით ეკითხება **ადამ კინზინგერი ირაკლი ღარიბაშვილს!**

## კი მაგრამ, რა ამერიკელი ექსკონგრესმენის საქმეა, რას იტყვის რუსეთზე

## საქართველოს პრემიერ-მინისტრი? ვინ ჰკითხავს კინზინგერს, ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფალი რუსეთს

## შეაგინებს თუ ხოტბას შეასხამს?

**რატომ ჰგონია ჩამოწერილ უცხოელ პოლიტიკოსს, რომ უფლება აქვს, საქართველოს მთავრობის მეთაურს იქედნურად ჩაუნართაულოს — აბა, თუ ბიჭი ხარ, რუსეთი გამოლანძღეო?**

საქმე ის არის, რომ **ეს კინზინგერი და სხვა ამისთანა კინზინგერები** დაჩვეული არიან, საქართველოს ხელისუფლებას უბრძანონ, როდის რა თქვას და როდის რა გააკეთოს, ვისთან იმეგობროს და ვის უმტროს, ხელი ვის ჩამოართვას და წიხლი ვის მოუქნიოს... **დაჩვეული არიან,** რომ საქართველოს ხელისუფლებამ მათი ყველა ბრძანება უსიტყვოდ შეასრულოს და ყველა „მეგობრული რჩევა“ უკითხვისნიშნოდ გაითვალისწინოს... **დაჩვეული არიან,** რომ მათ ხელში საქართველო უნდა იყოს სადგისი, რომლითაც რუსეთს უკანალში უჩხვლეტენ, როცა ეს თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის დასჭირდებათ...

ახლა კი რა ხდება? **გამოდის „ვიღაც“ ღარიბაშვილი და ამ კოლექტიურ კინზინგერებს ეუბნება — თქვენ არ ხართ ჩემი უფროსები, ჩემი უფროსი ქართველი ხალხია! მე არ გავაკეთებ იმას, რაც თქვენ გჭირდებათ, მე მოვიქცევი ისე, როგორც სჭირდება ჩემს ხალხს და ჩემი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს!**

**ჰოდა, გაცოფდნენ, ჭკუიდან გადავიდნენ კინზინგერები!**

**ვერაფრით ეგუებიან, რომ მათი სიტყვა კანონი აღარ არის საქართველოში!**

უჭირთ იმის გაცნობიერება, რომ „ამერიკელი კონგრესმენის“ და „ევროპელი პარლამენტარის“ გაგონებაზე საქართველოს ხელისუფლება შარვალში აღარ ისველებს!

**არც კი უნდათ, დაუშვან, რომ მათი წარმოდგენით, მეორეხარისხოვანი, ჩამორჩენილი და განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ქართველი ხალხი საკუთარ ხელისუფლებას ირჩევს და მხარს უჭერს არა იმის გაანგარიშებით, თუ ვინ სჭირდება საქართველოს მმართველად ევროპას, ამერიკას, რუსეთსა თუ ჩინეთს, არამედ იმის მიხედვით, რა სჭირდება საქართველოს!**

ერთი სიტყვით, **კოლექტიური კინზინგერები** ხედავენ და გრძნობენ, რომ საქართველოში დაწყებულია მათი მარგინალიზაციის შეუქცევადი პროცესი!

**ამიტომაც იჭაჭებიან და იგრიხებიან!**

**ამიტომაც გვესმის მათი პოლიტიკური მოთქმა-გოდება!**

**ადამის მოთქმაც** სხვა არაფერია, თუ არა ამოკნავლება საკუთარი პოლიტიკური უძლურების შეგრძნებით სასოწარკვეთილი ყოფილი ბატონისა, რომელიც ხვდება, რომ ძველი დრო წარსულს ჩაბარდა და ყმების გაროზგვის უფლებით ვეღარ ისარგებლებს!

**რაღა მეშველება, ადამ კინზინგერი თუ მაკრიტიკებს!** — ასე უპასუხა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ქართული ტელეარხების ჩიტკორესპონდენტთა კითხვას — **ადამ კინზინგერმა რომ გაგაკრიტიკათ, ამაზე რას იტყვითო?**

როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირონიით ამბობს — თუ კინზინგერი მაკრიტიკებს, რაღა მეშველებაო — ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მართლა რაღაც ეშველა, რადგან არც ისე შორეულ დროში საქართველოს მმართველებს კინზინგერისა და მისნაირების კრიტიკაზე შიშის კანკალი ეწყებოდათ და სახეზე ფითრი გადაჰკრავდათ.

რაც მთავარია, **ირაკლი ღარიბაშვილი არამხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც ამტკიცებს, რომ საქართველოში კინზინგერთა, კუბილიუსთა, ფოტიგათა და ფონ კრამონთა ბატონ-პატრონობა დასრულდა!**

ასე რომ, **ადამის მოთქმას** საქართველოში ახლა ზუსტად ისეთივე ფასი ადევს, როგორიც **რომან გოცირიძის** მიერ საქართველოს პარლამენტში ჰაერის გაფუჭებას და ზუსტად იმდენივე ძალა აქვს, რამდენიც **მეგი გოცირიძის** დაყვირებას მარნეულის საარჩევნო კომისიაში — **„დაგყრით ღორებივით“!**

ან კი როგორ უნდა გამოადგეს საქართველოს ჭკუის დამრიგებლად ის **ადამ კინზინგერი,** რომელიც საკუთარი ოჯახის წევრებმაც კი შეაჩვენეს და ეშმაკის მოციქულად გამოაცხადეს? დიახ, **კინზინგერმა** ჯერ კიდევ გასული წლის თებერვალში გამოაქვეყნა წერილი, რომელიც მას საკუთარი ოჯახის წევრებმა მისწერეს და რომელშიც ეწერა: **„რა იმედგაცრუება ხარ ჩვენთვის და ღმერთისთვის! შენ ეშმაკის არმიაზე მუშაობ, რომლის წევრები არიან „დემოკრატები“ და ყალბი ამბების მედია. ჩვენ გვეგონა, რომ საკმარისად ჭკვიანი იყავი, რომ დაგენახა, როგორ ურეცხავენ მემარცხენეები ტვინს ე.წ. კარგ ხალხს, მათ შორის, შენ და შენნაირ სხვა „რესპუბლიკელებს“. შენ კი სოციალიზმის მათ იდეალებამდე დაეცი! ძალიან საწყენია! ახლა ჩვენთვის შენთან ნათესაობა ყველაზე სამარცხვინოა. კინზინგერების გვარი შეარცხვინე!“**

საკუთარი ოჯახის მიერ ეშმაკის არმიის წევრად და გვარის შემარცხვენლად შერაცხილი **ადამ კინზინგერი** ვერც საქართველოს პრემიერ-მინისტრს შეარცხვენს და ვერც ქართველ ხალხს გამოურეცხავს ტვინს!

**ადამის მოთქმა მხოლოდ ნაცსექტის პოლიტიკურ დატირებად შეიძლება, ჩაითვალოს!**

**ჯაბა ხუბუა**

**ადამის მოთქმას საქართველოში ახლა ზუსტად ისეთივე ფასი ადევს, როგორიც რომან გოცირიძის მიერ საქართველოს პარლამენტში ჰაერის გაფუჭებას და ზუსტად იმდენივე ძალა აქვს, რამდენიც მეგი გოცირიძის დაყვირებას მარნეულის საარჩევნო კომისიაში: „დაგყრით ღორებივით“!**





## კვირგვინოსნები

**არჩილ ხიდირბეგიშვილი**
*„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი*



ამბობენ, **სააკაშვილი** ცუდადაა და წონაში დაიკლოო... და რატომ უნდა იყოს კარგად ადამიანი, რომლის გამოც საქართველოს ტერიტორიამ ერთი მეხუთედით დაიკლო?! და თუ ეს სიმულანტი ნამდვილად ცუდადაა, **ეგებ ერთხელ ჩააბაროს აღსარება და მოინანიოს ჩადენილი!** არადა, ქართველ ხალხს არასოდეს მოუსმენია სააკაშვილისგან თუნდაც ერთი საბოდიშო სიტყვა!

**ზაზა შათირიშვილი**
*ჟურნალისტი*



საქართველოს ხელისუფლება არ ასრულებს **საზარბაზნე ხორცად საქართველოს ქცევის და მეორე ფრონტის გახსნის დავალებას,** ამ ფაქტთან შეგუება კი ამერიკელებს ძალიან უჭირთ და საკუთარ აგენტურას პერიოდულად სწორედ ამიტომ ააქტიურებენ.

„TV იმედი“

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



ჩვენ გვაქვს ტვირთი, რომ **ქვეყანაში უზრუნველვყოთ სტაბილურობა და მშვიდობა,** ამ გზიდან არ გადავუხვევთ.

„რეზონანსი“

*უკრაინის ხელისუფლებამ ქართულ სახელმწიფოს ამჯერად საკუთარი ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ანდრეი კასიანოვის პირით შემოუთვალა — სამხედრო დახმარებას რატომ არ გვიწევთო! პარალელურად, ნაცსექტის წარმომადგენლები საქართველოს ხელისუფლებისაგან პატიმარ სააკაშვილის დაუყოვნებლივ გათავისუფლებასა და საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაშვებას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პოლიტიკური წარღვნით იმუქრებიან! ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ქართული თეატრის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, მსახიობსა და პარლამენტის ყოფილ დეპუტატს ზაზა პაპუაშვილს ვესაუბრებით:*



## „ჩვენ ევროპას ძალიან ვჭირდებით, მაგრამ გვჭირდება კი ჩვენ ასეთი ევროპა?!“

## ზაზა პაპუაშვილი:

# ევროკავშირის წევრობის ძლინკიან კანდიდატობას ქვეყანა არ უნდა შევწიროთ!

— **უკრაინის ელჩია თუ ვილაცა,** არ შეიძლება, პრეტენზიებით გველაპარაკებოდეს, არ უნდა ვაძლევდეთ ამდენის უფლებას. ჯერ იყო და, **ვილაც უკრაინელი „შპანა“** მოგვიწოდებდა, აფხაზეთში „ტანკებით გაგვესეირნა“, ახლა კი **„ლიბერალი პატრიოტები“** გვეუბნებიან, რომ უკრაინა რუსეთს დაამარცხებს, მერე უკრაინული ჯარი საქართველოსკენ დაიძვრება, ჩვენს ხელისუფლებას ჩამოაგდებს და ქართულ ჯართან ერთად დაიბრუნებს აფხაზეთს... გესმით, რამხელა კატასტროფამდეა მისული ამათი აზროვნება?! კიდევ კარგი, ქართველებმა გამოფხიზლება დავიწყეთ, ბევრ რამეზე აგვეხილა თვალი და დიდი ხნის განმავლობაში მივიწყებულ ფასეულობებს ვუბრუნდებით!

**— კონკრეტულად რა გაქვთ მხედველობაში?**

— **დავინახეთ, რომ არავითარი „დასავლური დემოკრატია“ და „ევროპული სამართალი“ არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ღმერთის სამართალი!** უკვე ვხვდებით, რომ არავის უნდა „დავუწვეთ“, მათ შორის, არც ე.წ. სტრატეგიულ პარტნიორებს! ვხვდებით, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს! ვხვდებით, რომ ჩვენს ერთად დგომასა და უღალატობას ვერაფერი მოერევა!

## ვხვდებით, რატომ გადარჩა ჩვენი სამშობლო, როცა ბიზანტია და სხვა იმპერიები

## განადგურდნენ – საქართველოში უფლის სადიდებლად ერთი სანთელი ყოველთვის ენთო, ქართველები ქრისტესათვის სიკვდილს ეძიებდნენ და სწორედ ამან გადაგვარჩინა!

**— თუმცა, ახლა ნაცები და მათი შინაურ-გარეული მოკავშირეები პატიმარ სააკაშვილის გადარჩენისთვის იბრძვიან — თუ ციხიდან არ გაათავისუფლებთ და სამკურნალოდ უცხოეთში არ გაუშვებთ, მოკვდებაო!**

— სადმე გაგიგონიათ, პატიმარი ამბობდეს — ციხეში ყოფნა არ მომწონს, დეპრესია დამემართა და გარეთ გამიშვითო? სადმე გინახავთ, პრეზიდენტის, მხედართმთავრის დედიკო გამოდიოდეს და საზოგადოებას ეწუწუნებოდეს — ვაიმე, ჩემი შვილიკო ხასიათზე ვერ არის და ძალიან გახდაო? **რა დედიკო და რა შვილიკო, ბიჭო, ერთ დროს პრეზიდენტი იყავი და მთავარსარდალი ზერქვა!**

კარგია, რომ ამ პროცესმა ყველას ლუსტრაცია მოახდინა და გამოჩნდა, რეალურად ვინ ყოფილან ისინი, ვინც მანამდე სხვანი გვეგონა — **კოლექტიურ ბუზაზზე და ბუზაზიზმზე** ვსაუბრობ. სწორედ **ბუზაზიზმით** შეპყრობილები ულებდნენ მტერს სამშობლოს ალაყაფს და ეუბნებოდნენ მომხდურს — ერეკლე მეფეს მეზარბაზნები არ ჰყავს! **სწორედ ასეთები** აწერდნენ ხელს უდანაშაულო ადამიანების დახვრეტაზე, ასეთები ებრძოდნენ ექვთიმე თაყაიშვილს და ივანე ჯავახიშვილს...

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ევროინტეგრაციის გზა მართლა სააკაშვილის გათავისუფლება-არგათავისუფლებაზე გადის, როგორც ამას ნაცები და მათი დასავლელი პარტნიორები ამბობენ?**

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენ ევროპას ძალიან ვჭირდებით, მაგრამ გვჭირდება კი ჩვენ ასეთი ევროპა?! ყოველდღე გამოცდას მიწყობენ — ვარ თუ არა წამსვლელი იმაზე, რომ ჩემი ხელით დავანგრიო ჩემი ეკლესია, ჩემი სასამართლო და სახელმწიფო? ვარ თუ არა მზად, ავიტანო კუბილიუსების და ფონტების მართვადი ხელისუფლება? **თუ ეს არის ევროპა, მაშინ მე არაფერში მჭირდება ასეთი ევროპა, არავის ხუნდებს არ დავიდებ და არავის მასალი არ გავხდები!**

გვიკრძალავენ ისეთი კანონების მიღებას, რომელმაც ევროპული ქვეყნები წელში გამართა და გააძლიერა, უნდათ, რომ მხოლოდ სხვისი პროდუქციის გამსაღებელი ქვეყანა ვიყოთ, მხოლოდ მომსახურე პერსონალის ფუნქცია გვქონდეს, დავიწყოთ დედა, მამა, სამშობლო და რწმენა... **ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე საპირწონედ დაგვიდეს უკრაინა, რომელიც ომამდეც კორუფციის ჭაობში იყო ჩაძირული და თუ გადარჩა, ომის მერეც იმავე ჭაობში იქნება.** აღარაფერს ვამბობ **მოლდოვაზე,** რომელიც დღემდე „ესენგეშია“ გარჭობილი... ამათ მისცეს კანდიდატის სტატუსი — ომში არიანო, ჩემს ქვეყანას კი უზარმაზარი ნაშრომი წყალში გადაუყარეს, რადგან არ იბომბება და მიწასთან არ სწორდება! თუ ომი და ქვეყნის განადგურებაა საჭირო ევროკავშირის წევრობის კანდიდატობისთვის, მაშინ, სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს — **ევროკავშირის წევრობის ძლინკიან კანდიდატობას ქვეყანა არ უნდა შევწიროთ!**

დღეს ევროპაში საქართველოს ბადალი ქვეყანა არ არსებობს! მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური პრობლემები და გაჭირვება არ გვაკლია, ქვეყანაში მშვიდობა, სტაბილურობა და წესრიგი გვაქვს მაშინ, როცა მთელი ევროპა ბომბზე ზის და ამ ზამთარში, ფაქტობრივად, გაყინვა ემუქრება!

**— თუმცა, ნაცლიბერასტები გვეუბნებიან — სირცხვილია, საქართველოში მშვიდობა გვიხაროდეს, როცა უკრაინაში ომიაო! მათ საპროტესტო აქციაც კი გამართეს იმის გამო, რომ თბილისის საახალწლო სლოგანად „მშვიდობის ქალაქი“ დასახელდა, დედაქალაქის მთავარ ნაძვის ხესთან კი სამგლოვიარო შავი ბაფთები დაკიდეს!**

— რამხელა ღვარძლისა და ბოროტების თესლით უნდა იყო გაკეთებული, რომ შავი ბაფთა



## „სააკაშვილმა იმათ მოჰკითხოს, ვინც მოატყუა, საქართველოში შემოათრია და თაგვივით ხაფანგში გააბა!“

## კვირგვინოსნები

**ლაშა ბასილაძე**
*ყოფილი პატიმარი, პროდიუსერი*



თქვენ თუ იცით, **ბატონო მესამე პრეზიდენტო,** რას გვიზამდნენ, ვინმესთვის წერილი რომ გამოგვეტანებინა ციხიდან? წერილი კი არა, **ადვოკატი რომ შემოდიოდა და შემთხვევით შეგვამჩნევდა ნაცემი ვიყავით, მისგან წამოსულებს ეზოშივე გვკლავდნენ ცემით.** ყველაფერი კარგად იცოდით თქვენ და მიუხედავად ყველაფრისა, დღეს მაინც მიხარია, რომ **ადამიანურად გექცევიან და არა ისე, რისი ღირსიც ხართ!**

„GTMEDIA“

**ლაშა ამირეჯიბი**
*ანალიტიკოსი*



**მიხეილ სააკაშვილი ძალიან მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია.** ის აცნობიერებს, რომ მარტო დარჩა. იმასაც ფიქრობს, რომ, პრაქტიკულად, **გადააგდეს და სულ ტყუილად შემოუშვეს ამ ქვეყანაში.** მას ეგონა, რომ მალე გაათავისუფლებდნენ, თუ იმას შეასრულებდა, რაც დავალებული ჰქონდა, მაგრამ, **საბედნიეროდ, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.**

„ჯორჯიან თაიმსი“

**ალუდა ღუდუშაური**
*პარლამენტარი*



თანხის სანაცვლოდ ადამიანების საომარ მოქმედებებში წაყვანა **მოქალაქეების ღირსების აყრაა** — „დათა თუთაშხიაში“ **კიკუ კი არ არის მთავარი, მთავარია ის, ვინც მას კიკუდ აქცევს.**

„ინტერპრესნიუსი“

**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი მიტროპოლიტი*



იმათ ჭკუაში ჩამახედა, როგორ შეიძლება კიევში ომია და ჩვენთან მშვიდობაზე ვილაპარაკოთო — **ძლივს შევძელით და არ ვომობთ, ღმერთი გვიფარავს და ვერც შემოვა რუსეთი.**

„ინტერპრესნიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



მოვუწოდებ **სააკაშვილის** მეგობრებს ქვეყნის შიგნით და გარეთ, **არ ჩაერიონ სასამართლოს საქმიანობაში!** რაც შეეხება აქციების დაანონსებას, მათ მოწოდებებს ფასი აქვს დაკარგული.

„ინტერპრესნიუსი“



ბი ლპობის უკანასკნელ ფაზაში არიან გადასული, ისტერიკა სჭირთ, რადგან ხელისუფლებაში დაბრუნების ყველა გეგმა ჩაუფლავდათ და ქვეყნის ბოლომდე წაბილწვას ვერ ახერხებენ!

**— და მაინც, როგორ ფიქრობთ, მიაღწევენ თუ არა თქვენ მიერ ხსენებული ნაცფაშისტ-ბოლშევიკები სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლებას თუნდაც პრეზიდენტ ზურაბიშვილის მიერ მისი შეწყალების გზით?**

— არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რომ ეს სათრეველა სააკაშვილი, ეს უეროვნებო, უსამშობლო და ურწმუნო მასა პატიმრობიდან გაათავისუფლონ, სალომე ზურაბიშვილს კი ნათქვამი აქვს, რომ სააკაშვილს არასოდეს შეიწყალებს და თუ სიტყვას გადათქვამს, მის სინდისზე იყოს!

**სააკაშვილმა იმათ მოჰკითხოს, ვინც მოატყუა,**

**„სწორედ გუბაზიზმით შეპყრობილები ულებდნენ მტერს სამშობლოს ალაყაფს და ეუბნებოდნენ მომხდურს — ერეკლე მეფეს მეზარბაზნეები არ ჰყავსო! სწორედ ასეთები აწერდნენ ხელს უდანაშაულო ადამიანების დახვრეტაზე, ასეთები ებრძოდნენ ექვთიმე თაყაიშვილსა და ივანე ჯავახიშვილს...“**

შეაბა შენი ქალაქის მთავარ ნაძვის ხეს, სადაც ბავშვებს მისვლა უხარიათ, ერთობიან და თავიანთ ფერად ოცნებებს გასაქანს აძლევენ! **კიევის მერი იძახის — ახალი წლის მოპარვის უფლებას არავის მივცემთო და ომით დანგრეული ქვეყნის დედაქალაქში ნაძვის ხეს დგამს, ესენი კი გვეუბნებიან — როგორ უნდა იყოს თბილისი მშვიდობის ქალაქი, როცა უკრაინაში ომიაო?**

**მადლობა ღმერთს,**

**თბილისი მშვიდობის ქალაქია და რომც არ ყოფილიყო, მაინც მშვიდობის ქალაქი უნდა დაგვერქმია, აბა, ომისა და უბედურების ქალაქს ხომ არ დავარქმევდით?!**

ეს ნაც-ფაშისტ-ბოლშევიკე-

**საქართველოში შემოათრია და თაგვივით ხაფანგში გააბა! საერთოდ, დროა, ამ არარაობაზე საუბარი დავასრულოთ და ნამდვილ საქმეს მივხედოთ, დავდგეთ ერთად და გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა იმ ფლიდობისა და სულგაყიდულობისაგან, რაც დღევანდელ მსოფლიოში მეფობს.** პრინციპებს არ ვუღალატოთ და არავის მივცეთ უფლება, საქართველო პოლიგონად გადააქციოს!

*ესაუბრა*
**ჯაბა ხუბუა**



**„რამხელა ღვარძლისა და ბოროტების თესლით უნდა იყო გაკეთებული, რომ შავი ბაფთა შეაბა შენი ქალაქის მთავარ ნაძვის ხეს, სადაც ბავშვებს მისვლა უხარიათ!“**



# „ნაცსექტის წარმომადგენლებს თუ გული ერჩით და უკრაინის ბედი აღელვებთ, თვითონ რატომ არ იღებენ იარაღს და რატომ არ მიდიან საომრად?“



*ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ პარტია „ქართული დასის“ ერთ-ერთ ლიდერს ჯონდი ბაღათურიას ვესაუბრებით.*

## ჯონდი ბაღათურია:

# არ ვარ მომხრე, ქართველი უკრაინაში მიდიოდეს საომრად, რადგან არ მიმაჩნია, რომ ეს ჩვენი ომია!

**— როგორ შეაფასებთ უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ანდრეი კასიანოვის მიერ საჯაროდ გამოთქმულ უკმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელისუფლება, არაერთი თხოვნის მიუხედავად, უკრაინას სამხედრო დახმარებას არ უწევს?**

— კასიანოვის განცხადებებს განვიხილავ, როგორც კიდევ ერთ ქვას, რომელიც უკრაინის ხელისუფლებამ საქართველოს ესროლა. საქართველოს არც რესურსი აქვს და არც — სურვილი, რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაში ჩაერთოს. ზელენსკის ხელისუფლების დაუფიქრებელმა, წინდაუხედავმა და ზოგჯერ მოღალატეობრივმა საქციელმა უკრაინა გაანადგურა და ახლა საქართველოს განადგურებაც თუ უნდათ, ამის საშუალებას არ მივცემთ.

**საერთოდ, უკრაინის ხელისუფლებაში მოკალათებული ნაცსექტის მეგობრები და მოკავშირეები მანამდე არ მოისვენებენ, სანამ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას არ მოაწყობენ ან საბოლოოდ არ დარწმუნდებიან, რომ გადატრიალების მოწყობის შანსი არა აქვთ.**

**— კი მაგრამ, უკრაინის ხელისუფლებას, რომელსაც ქვეყანა თავზე ენგრევა, იმისთვის სცხელა, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაზე იფიქროს?**

— უკრაინის ხელისუფლებას ნამდვილად სცალია ამისათვის, რადგან იგი გლობალური და ტოტალიტარული ლიბერალური სინდიკატის ერთ-ერთი ქვედანაყოფია, რომელიც პატრონების დაკვეთებს ასრულებს, დაკვეთა კი ამ კონკრეტულ შემთხვევაში არის საქართველოს ჩათრევა რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაში.

**— როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ტელეკორესპონდენტებმა ვითომდა ჩამჭრელი კითხვა დაუსვეს — რუსეთ-უკრაინის ომში ვის მხარეს ხართო, მან უპასუხა — საქართველოს მხარეს ვარო, რის გამოც ნაცლიბერასტულმა სექტამ გააკრიტიკა და დასცინა კიდეც.**

— ღარიბაშვილი და მისი მთავრობა, ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ თავიანთი ბოლოდროინდელი პოლიტიკით მართლაც საქართველოს მხარეს დგანან და საღად მოაზროვნე ქართველი საზოგადოების მხარდაჭერასაც იმსახურებენ! რაც შეეხება უცხოურ გრანტებზე გაყიდულ ბრბოს, ამ „მეხუთე კოლონის“ ხმაური ჩვენი პოზიტიური ხმით უნდა გადავფაროთ და ყველას გავაგონოთ, რომ მშვიდობა გვინდა!

**— თუმცა, თქვენ მიერ ნახ-**

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



ერთადერთ მიზეზად, თუ **რა ჭირს სინამდვილეში სააკაშვილს,** სახელდება სტრესი და ამ სტრესის მიზეზად სახელდება ის, რომ ვერ ეგუება პატიმრობას.

„იმედინიუსი“

**ვლადიმერ ბოჯორაძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*



**მოძალადე და სისხლიანი რეჟიმი** — ნაციონალური მოძრაობა საერთოდ არ უნდა ახსენებდეს სიტყვებს: **ციხე, წამება,** მაგრამ ბედავენ და თან ამ სიტყვებს ახლა უკრაინის მოქალაქესთან, მსჯავრდებულ **მიხეილ სააკაშვილთან** მიმართებაში იყენებენ. ეგ თქვენი **ჰალსტუხიჭამია ბელადი** არავის უწამებია, არც სათანადო კვება და მედიკამენტები აკლია, მაგრამ მაინც ცუდად არის, იცით რატომ? იმიტომ, რომ **სულთანივით ცხოვრებას იყო მიჩვეული და საქართველოდან მოპარული მილიარდები აქვს დასახარჯი!**

„იმედინიუსი“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**სააკაშვილმა,** რომელმაც **თავისუფლებაზე ყოფნითაც სირცხვილით მოგვჭრა თავი,** დღეს **პატიმრობაშიც უკიდურესად სამარცხვინოდ წარმოაჩენს „ქართველს“ და საქართველოს,** რომლის ოდესღაც „პრეზიდენტიც“ იყო და „მთავარსარდალიც“.

მსოფლიოში **სააკაშვილზე** გავრცელებულ ინფორმაციას თავისუფლად გაასწრებდა ჩინეთის რომელიმე ზოოპარკში **ახალშობილი პანდას** ისტორია.

„იმედინიუსი“

**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*



**სააკაშვილი** დაავადებულია **ხელისუფლებაში ყოფნის მძიმე და განუკურნებელი სენით,** რომელიც პაციენტში წლების განმავლობაში ვლინდება სხვადასხვა მწვავე ფორმით, რითიც ზიანს აყენებს ქართულ სახელმწიფოს.

„აიპრესი“

## ჯონდი ბაღათურია:

# თუ ახლა ვინმეს სააკაშვილის ჯანმრთელობის დამძიმება და, ღმერთმა არ ქნას, ლეტალური შედეგი აწყობს, ეს სწორედ მისი გარემოცვაა!




კეზერაშვილის ტელევიზია „ფორმულა“ ავრცელებს სააკაშვილის ფოტოებს კლინიკა „ვივამედიდან“ და ამბობს, რომ ასე გამოიყურებოდა პაციენტ-პატიმარი ერთი თვის წინათ.

დასაწყისი მე-5 გვერდზე

**სენები „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენლები გვეუბნებიან, რომ უკრაინაში ომის ფონზე საქართველოში მშვიდობა არ უნდა გვიხაროდეს და დედაქალაქის მთავარ ნაძვის ხესთან არ უნდა გვეწეროს სლოგანი — „მშვიდობის ქალაქი“!**

**– იმ ბრბოს, რომელმაც თბილისის მთავარ ნაძვის ხეს შავი ლენტები შეაბა, მინდა, ვკითხო – თავიანთ სახლებში დადგმულ საახალწლო ნაძვის ხეზე დაამაგრებენ სამგლოვიარო ბაფთას უკრაინისადმი სოლიდარობის ნიშნად?**

თავიანთ შვილებთან და ოჯახის წევრებთან ერთად შეხვდებიან ახალ წელს სატრაურო შავი ლენტებით? ამათ ყველა საქციელსა და ყველა ნიუანსში ჩანს ანტიეროვნული და მტრული პოზიცია ქართული სახელმწიფოს მიმართ!

**— ასევე დიდი აჟიოტაჟის საგნად აქციეს ღარიბაშვილის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ნაციონალური მოძრაობა ორგანიზებას უწევს ქართველი მებრძოლების წაყვანას უკრაინის ფრონტზე. ცნობილი გახდა ისიც, რომ ქართველი მეომრების ნაწილი უკრაინაში ფინანსური გასამრჯელოს ფასად იბრძვის — თვეში დაახლოებით 2 000 დოლარს უხდიან. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— ღარიბაშვილს ახალი არაფერი უთქვამს — ნაციონალური მოძრაობა ე.წ. ბოევიკების რეკრუტირებას და უკრაინაში გაგზავნას 2014 წლიდან ახორციელებს! **პირადად მე ვერავის დავძრახავ იმის გამო, რომ უკრაინაში საომრად გასამრჯელოს გამო მიდის ან იქ ბრძოლას საქართველოს პატრიოტობად თვლის...** ეს მათი არჩევანია, მაგრამ არ ვარ მომხრე, ქართველი უკრაინაში მიდიოდეს საომრად, რადგან არ მიმაჩნია, რომ ეს ჩვენი ომია. თავის დროზე იმის კატეგორიული წინააღმდეგიც ვიყავი, რომ ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში ყოფილიყვნენ, რადგან არც ის მიმაჩნდა საქართველოს ომად და დღემდე ასე ვფიქრობ.

ამ ანტისახელმწიფოებრივი ბრბოს — ე.წ. ნაცსექტის წარმომადგენლებს თუ გული ერჩით და უკრაინის ბედი აღელვებთ, თვითონ რატომ არ იღებენ იარაღს და რატომ არ მიდიან საომრად, ვინმემ დაუშალა? წავიდნენ, გზა დაგვილოცნია! მაგრამ თვითონ კი არ უნდათ, რომ იომონ, ქვეყნის ჩათრევა უნდათ ომში და ხალხის დაყენება უნდათ დარტყმის ქვეშ, მერე კი ისე დაიმალებიან და გაიძურწებიან, როგორც 2008 წლის აგვისტოში, როცა აზერბაიჯანის საზღვართან, წითელ ხიდზე, სამარცხვინო რიგი ჰქონდათ დაყენებული, გარბოდნენ და საკუთარი ტყავისა და ქონების გადარჩენის მეტი არაფერი ადარდებდათ.

**— რას იტყვით იმ პოლიტიკურ და სამედიცინო ბაქანალიაზე, რომელიც ახლა სააკაშვილის გარშემოა ატეხილი და როგორ ფიქრობთ, უნდა მოხდეს თუ არა მისი სამკურნალოდ გაშვება საზღვარგარეთ?**

— სააკაშვილმა უღირსი სიმულაციის გზა აირჩია და სწორედ ეს არის მისთვის ყველაზე დამამცირებელი! **ციხეში მერაბიშვილი და ახალაიაც ისხნდნენ, მაგრამ ასეთი სამარცხვინო შოუს დადგმა არ უკადრიათ, რასაც ახლა სააკაშვილი გვთავაზობს! გვარამია რომ გვარამიაა, იმასაც კი ყოფნის ღირსება, სააკაშვილივით არ მოიქცეს!**

სასწაულ იდიოტობას ვისმენთ სააკაშვილის ადვოკატების მხრიდან — მის ორგანიზმში ოთხი სახეობის მძიმე მეტალის კვალი იქნა აღმოჩენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოწამლეს! ე.ი. საქართველოს ხელისუფლებამ ოთხჯერ სცადა სააკაშვილის საწამლავით მოკვლა და ვერცერთხელ ვერ მოახერხა? **რა იყო, სააკაშვილი პონტოს მეფე მითრიდატე ევპატორი ხომ არ არის, რომელიც თავადვე სვამდა სხვადასხვა სახის საწამლავს, რათა შხამის მიმართ იმუნიტეტი გამოემუშავებინა და ვერავის მოეწამლა?** სხვათაშორის, გაუმართლებლად მიმაჩნია, რომ სააკაშვილთან უამრავ მნახველს უშვებენ — შეიძლება, ვიღაცამ მართლა შეიტანოს რამე შხამი და მოწამლოს!

**— კი მაგრამ, სააკაშვილთან ხომ მხოლოდ მის ადვოკატებს, ოჯახის წევრებსა და პოლიტიკურ თანამებრძოლებს უშვებენ?**

— თუ ახლა ვინმეს სააკაშვილის ჯანმრთელობის დამძიმება და, ღმერთმა არ ქნას, ლეტალური შედეგი აწყობს, ეს სწორედ მისი გარემოცვაა, რომელსაც პოლიტიკური ისტერიკის შესაქმნელად და ქუჩაში ქვების სროლის დასაწყებად მიზეზი სჭირდება! **სააკაშვილი სწორედ საკუთარი გარემოცვის წევრებმა გაწირეს, მაგათ შემოიტყუეს საქართველოში არაჟნებთან ერთად და ამ სამარცხვინო დღეშიც მაგათ ჩააგდეს!**

რაც შეეხება სააკაშვილის გათავისუფლებას, შეწყალებას თუ უცხოეთში სამკურნალოდ გაშვებას, ამის ვერავითარ საფუძველს ვერ ვხედავ, რადგან დარწმუნებული ვარ, იგი სიმულანტობს!

*ესაუბრა*
***გიორგი ძაძამია***







**„ციხეში მერაბიშვილი და ახალაიაც ისხნდნენ, მაგრამ ასეთი სამარცხვინო შოუს დადგმა არ უკადრიათ, რასაც ახლა სააკაშვილი გვთავაზობს! გვარამია რომ გვარამიაა, იმასაც კი ყოფნის ღირსება, სააკაშვილივით არ მოიქცეს!“**



მონეტა მითრიდატე VI ევპატორის გამოსახულებით

**„სააკაშვილი პონტოს მეფე მითრიდატე ევპატორი ხომ არ არის, რომელიც თავადვე სვამდა სხვადასხვა სახის საწამლავს, რათა შხამის მიმართ იმუნიტეტი გამოემუშავებინა და ვერავის მოეწამლა?“**

## კვირგვინოსნები

**შალვა ხაჭაპურიძე**
*ადვოკატი*



**სააკაშვილი** არის გადადებული, **მომაკვდავი ავადმყოფი!** სასამართლოს მოუწევს სერიოზული გამოცდის ჩაბარება, შუამდგომლობაზე უარს თუ მივიღებთ, ჩათვალეთ, **სააკაშვილს დახვრეტის განაჩენი გამოუტანეს!**

„ახალი თაობა“

**ვალერი გელბახიანი**
*მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი*



დღეს ციხეში არცერთი პატიმარი არ ზის, ასე ვთქვათ, **საეჭვო ჯანმრთელობით,** ასეთი მხოლოდ **მიხეილ სააკაშვილია.**

„ჯორჯიან თაიმსი“

**ედიშერ გვენეტაძე**
*ექსპერტი*



სააკაშვილი თუ გაათავისუფლეს, რაღას **ერჩიან მეგის ქარდავას, კოხტა კოდუას და იმ „კასტილიან“ კაცს.**

„რეზონანსი“

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი, პარლამენტარი*



**ღარიბაშვილზე ან კობახიძეზე** რომ გავიგო, ძალიან ცუდადაა, იმავეს გავაკეთებდი — არ ვამბობ, რომ **სააკაშვილი** კურორტზე გავუშვათ, მაგრამ პრეზიდენტი არ უნდა მოვკლათ.

„პალიტრანიუსი“

**გიგი უგულავა**
*ოპოზიციონერი პოლიტიკოსი*



დღეს იქნება თუ ხვალ, ხელისუფლება იძულებული იქნება, რომ **მიხეილ სააკაშვილი** სამკურნალოდ გაუშვას.

„GTMEDIA“

***9 დეკემბერს ჩანიშნული სასამართლო სხდომა, რომელზეც პატიმარ სააკაშვილის უცხოეთში სამკურნალოდ გადაყვანაზე უნდა ემსჯელათ, 14 დეკემბრისათვის გადაიდო. სწორედ ამ თემაზე საუბრით დავიწყეთ ინტერვიუ აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძესთან:***

— მე, სააკაშვილის ნათესავი, რომელსაც ნამდვილად არ მსურს მისი სიკვდილი, ვამბობ, რომ **სააკაშვილის უცხოეთში გაშვება ქართველი ერის შეურაცხყოფა იქნება!** არსად არ გაუშვათ! და თუ დასჭირდება, ჩამოუყვანეთ უცხოეთიდან ექიმები და უმკურნალეთ პატიმრობაში! ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ეს რომ გაუშვან, რას ვეუბნებით ამით იმ ასზე მეტი ახალგაზრდის ოჯახს, სააკაშვილის რეჟიმმა ქუჩაში რომ დახვრიტა? რას ვეუბნებით იმ ათასობით ოჯახს, ვისაც პატიმარი უწამეს და სამუდამოდ დაასახიჩრეს?! და, საერთოდ,

**რა გახდა ეს სააკაშვილი, დღე და ღამე მაგაზე რომ ყბედობენ ყველა ტელევიზიაში?! რა, ქვეყანას მეტი პრობლემა აღარ აქვს?!**

**— როგორც პირველი პრეზიდენტი მოვკალით, მესამესაც იგივე არ უნდა დაემართოს!**

— ზვიადს როგორ ადარებენ ამ სამარცხვინო არსებას?! ზვიადი წამებით მოკლეს, სისხლის სამართლის დამნაშავე სააკაშვილს კი, საუკეთესო საავადმყოფოში დაჰფოფინებენ და ცივ ნიავს არ აკარებენ! ზვიადი სამშობლოს შეეწირა, სააკაშვილი კი სისხლის სამართლის დამნაშავეა! ეს ის მიშაა, მისი რეჟიმის მიერ გაუბედურებული ხალხის წამებისა და გაუპატიურების ვიდეოებს სიამოვნებით რომ უყურებდა! მიშას ზვიადის ადარებენ და ამას გაიძახიან ისინი, ვისაც დღემდე სძულს ზვიადი და მის დამხობაშიც იღებდა აქტიურ მონაწილეობას! გნებავთ, ბოკერია ან ბარამიძე... რომელი ერთი ჩამოვთვალო?!

**— ნაცოპოზიცია აცხადებს — თუ სააკაშვილს უცხოეთში სამკურნალოდ არ გაუშვებთ, რადიკალურ ქუჩის გამოსვლებს დავიწყებთო...**

— **ეს არის სახელმწიფო გადატრიალების მუქარა და ნებისმიერი ასეთი განცხადება სისხლის სამართლის კოდექსით უნდა დაისაჯოს! ქუჩაში გამოვლენ, თორემ ყურებზე ხახვი არავის დააჭრან!**



ვანო კილურაძე

## „აკადემიკოსმა ვანო კილურაძემ, როდესაც ის „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი და განათლების კომიტეტის თავმჯდომარე იყო, ისეთი კანონი გაიტანა პარლამენტში, რომელიც პირდაპირ მეცნიერებათა აკადემიის განადგურებისკენ არის მიმართული!“

ცალკე უნდა ითქვას ამ ევროპა-ამერიკაზეც: სააკაშვილის ჯანმრთელობა რომ ადარდებთ, მის მიერ ჯანმრთელობაგანადგურებული და სიცოცხლემოსწრაფებული ათასობით ქართველი რატომ არ ადარდებთ?! ევ-

და განათლება სააკაშვილისა და ლომაიას ხროვამ, ყველამ კარგად იცის! პირდაპირ თავის მემუარებში წერს სააკაშვილი — მეცნიერებათა აკადემიის გაუქმება მინდოდა და ბიძინამ გადამაფიქრებინა — თუ

სააკაშვილს მეცნიერებათა აკადემიის პირდაპირ გაუქმება სურდა, მაგრამ რა დიდი შეღავათია, ამხელა ტრადიციებისა და პოტენციალის მქონე აკადემიას გააუქმებ თუ სათანადო დაუფინანსებლობით და ფუნქციების შეკვეცით მოკლავ?!

**— მეცნიერებათა აკადემიის შესახებ ხომ უკვე არსებობს კანონმდებლობა?**

— ჰოდა, სწორედ ამ მახინჯი და ანტისამეცნიერო კანონმდებლობის გასწორებაა საჭირო! აკადემიკოსმა **ვანო კილურაძემ,** როდესაც ის „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი და განათლების კომიტეტის თავმჯდომარე იყო, ისეთი კანონი გაიტანა პარლამენტში, რომელიც პირდაპირ მეცნიერებათა აკადემი-

ლი საუკუნის 90-იან წლებში გერმანიაში საქართველოს ელჩი **კოტე გაბაშვილი,** თურმე, გაოგნებული კითხულობდა — **გერმანიის საზღვარზე ივანე კილურაძე არარეგისტრირებული ვალუტით დააკავეს და ვინ არის ეს კაციო!**

„ასავალ-დასავალში“ ადრეც ვწ-



# ელიზბარ ჯაველიძე:
# მეცნიერებათა აკადემიის 50 აკადემიკოსმა მივწერეთ წერილი ხელისუფლებას, მაგრამ პასუხი დღემდე არ ჩანს! ეს ძალიან სამწუხარო და შემაშფოთებელია!!!

როპა ევროპაო... სადღაა ის განათლებული და კულტურული ევროპა!

**უკრაინას და მოლდოვას რომ მისცეს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი და ჩვენ საშინაო დავალებას გვაძლევენ, ეს როგორ გავიგოთ?! არ უნდათ ამათ საქართველოს დამოუკიდებლობა — მათ მხოლოდ ჩვენი ტერიტორია და დერეფანი სჭირდებათ!** ან ეს ამერიკის ელჩი რომ გადაიქცა ტელევარსკვლავად, რა ამერიკის ელჩის საქმეა საქართველოს კანონებში და საშინაო საქმეებში ცხვირის ჩაყოფა?!

**ჩვენი უბედურება, იცით, რა არის?! უწიგნურობა და განათლების განადგურება!** როგორ დაანგრია მეცნიერება

ბიუჯეტიდან დაფინანსება არ გინდა, მე დავაფინანსებო! აი, ასე გადაარჩინა მეცნიერებათა აკადემია ბიძინა ივანიშვილმა!

მეცნიერებათა აკადემიის 50 აკადემიკოსმა მივწერეთ წერილი ხელისუფლებას, რომ საჭიროა ახალი კანონი აკადემიის შესახებ, მაგრამ პასუხი დღემდე არ ჩანს! ეს ძალიან სამწუხარო და შემაშფოთებელია!!!

ის განადგურებისკენ არის მიმართული! ამ მავნებელმა, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტობაზე აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ აკადემიკოსებმა მის ნაცვლად ღირსეული ქართველი მეცნიერი **გიორგი კვესიტაძე** აირჩიეს, ასე უმდაბლესად იძია შური! არაერთისაგან მსმენია ამ კილურაძის „საქმენი საგმირონი“: გასუ-

ერდი, როგორ გადაჰქონდა ნიფხვით ათასობით დოლარი და აი, ეს კაცი ებრძვის აკადემიას! უფრო მეტიც, მთელი აკადემია ლაპარაკობს, ჯავახიშვილის უნივერსიტეტში მუშაობისას როგორ ყიდდა დიპლომებს!

**— ალბათ, ისიც უნდა გავიხსენოთ, შევარდნაძის დროს ცესკოს თავმჯდომარედ რომ დანიშნეს და არჩევნების გამყალბებლად რომ მოგვევლინა...**

— 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებისას პირდაპირ იძახდა — რა უნდა ზვიადისტების პარტიას პარლამენტშიო! არადა, ჩვენმა ეროვნულმა პარტიამ 1995 წლის არჩევნებზე 15 პროცენტი აიღო და პარლამენტშიც კი არ შეგვიშვეს! **ამ კაცს დღემდე პათოლოგიურად სძულს ეროვნულობა, ზვიად გამსახურდიას სახელის გაგონებაზე კრუნჩხვა ემართება!**

ქართული მათემატიკური სკოლა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო იყო! **ქართველი მათემატიკური სკოლის უღირსეულესი წარმომადგენლები პირდაპირ ამბობენ, რომ რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორობისას ივანე კილურაძემ დაღუპა ქართული მათემატიკური სკოლა!**

ასეა თუ ისე, იქ, სადაც პატივს არ სცემენ განათლებულობას, სწორედ სააკაშვილისნაირი ჭაობის ბინადრები ბარტყობენ და აჭაობებენ მთელ ქვეყანას!

## „სააკაშვილის უცხოეთში გაშვება ქართველი ერის შეურაცხყოფა იქნება!“

**ამ ფონზე ჩემთვის ორმაგად უფრო გაუგებარია, რატომ არ ესმის ხელისუფლებას ჩვენი – 50 აკადემიკოსის ხმა და რატომ არ გვთვლის იმის ღირსადაც კი, რომ წერილზე მაინც გვიპასუხოს!**

*ესაუბრა*
***გიორგი გიგაური***

## კვირგვინოსნები

**ლოიდ ოსტინი**
*აშშ-ის თავდაცვის მდივანი*



**პუტინის** ომი არ არის ნატოს გაფართოების შედეგი, ეს არის ნატოს გაფართოების მიზეზი, **რუსეთის მეზობლები განგაშით უყურებენ მის იმპერიულ აგრესიას.**

„რეზონანსი“

**დავით ბაქრაძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



თუ მეორედ ჩავვარდებით იმავე უფსკრულში და ჩამოვყალიბდებით, როგორც საზოგადოება, **სადაც პრეზიდენტებს კლავენ, ან მკვლელობამდე მიჰყავთ,** ქვეყანას ცივილიზებული მომავალი არ ექნება.

„ინტერპრესნიუსი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



**ადამიანის მდგომარეობას, რასაკვირველია, უფალი განაგებს,** მაგრამ სახელმწიფოს აქვს სრული რესურსი, რომ **სააკაშვილი** შესაბამისი სამედიცინო დაცვით უზრუნველყოს.

„ინტერპრესნიუსი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ „ერთ-ერთი ლიდერი“, პარლამენტარი*



**სააკაშვილი,** სამწუხაროდ, ციხეში ზის უმრავლესობის ლოცვა-კურთხევით, ანუ **ხალხის სურვილია, რომ ციხეში იჯდეს.**

„ახალი თაობა“

**სალომე სამადაშვილი**
*პარტია „ლელოს“ წევრი*



მომავალ კვირას **ევროპარლამენტი რეზოლუციას მიიღებს,** სადაც საუბარი **მიხეილ სააკაშვილის** სიცოცხლის გადარჩენის საჭიროებაზეც იქნება.

„ინტერპრესნიუსი“



# კუბილიუს-კრამონ-ფოტიგების უფროსი

# ვირის აბანოში გა-ამ-წე-სეს!

## ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი ევა კაილი კორუფციისა და ფულის გათეთრების ბრალდებით დაიჭირეს!






***ევროპული ბიუროკრატია პოლიტიკური და მორალური ხრწნილების საგანგაშო ფაზაში რომ არის შესული, ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა შუაგულ ევროპაში ომი გააჩაღა და 2022 წლის 24 თებერვლამდე არსებული მსოფლიო წესრიგი „პაჭიკოს გარმონივით“ მოარღვია.***

**კუბილიუსებს, ფოტიგებს, ფონ კრამონებს, ჯუკნევიჩიენეებსა და სხვა ევროპარლამენტარებს, რომლებიც პოლიტიკური კორუფციის ჭაობში ჩაძირულან და იქიდან ცდილობენ ქართველი ხალხის მიერ გაშავებული ნაცბანდის გათეთრებას, სწორედ კორუფციასა და ფულის გათეთრებაში მხილებული ვიცე-პრეზიდენტი უნდა ჰყავდეთ!**

ნეოლიბერალიზმის მძიმე სენით შეპყრობილი დასავლური ბიუროკრატიის პოლიტიკური იმპოტენცია და დემორალიზაცია არც უკრაინის ომამდე იყო შეუმჩნეველი, მაგრამ ომის დაწყების შემდეგ, თითქოს პანდორას ყუთს მოხსნეს თავიო, სულ ერთიანად გადმოიღვარა მთელი ჩირქი და ბალღამი, უპრინციპობა და უგერგილობა, ორსახოვნება და მამონიზმი, რასაც ევროპის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში წლობით დაუსადგურებია ისე, როგორც ბაცილებს — დამდგარ წყალში.

**ევროპული ბიუროკრატიის მარაზმატულ მდგომარეობას საკუთარი თვალით ხედავს და საკუთარ ტყავზე გრძნობს საქართველოც, რომელსაც კუბილიუსების, ფოტიგების, ფონ კრამონების, რასა ჯუკნევიჩიენეების, მარკეტა გრეგოროვების, სვენ მიქსერებისა და სხვა ოდიოზურ ევროპარლამენტართა მთელი ბატალიონი შემოსევია.**

— **ნუთუ** ეს არის ევროპა? **ნუთუ** ევროპარლამენტი ამისთანა ხელიდან წასული ხალხის თავშეყრის ადგილია? **ნუთუ** დასავლური დემოკრატია ნაცბანდის მსგავსი სისხლისმსმელებისა და მწვალებლების მფარველობასა და მხარდაჭერას გულისხმობს? ნუთუ ევროპელ პოლიტიკოსებს ისე ადვილად და ხელაღებით შეუძლიათ, სულში ჩააფურთხონ ჩვენისთანა პატარა ქვეყანასა და მცირერიცხოვან ერს, როგორც 308 ევროპარლამენტარმა გააკეთა, როცა საქართველოსთან დაკავშირებით სრულიად ამაზრზენი, სამარცხვინო და ტყუილებით გაბერილი რეზოლუცია გამოაცხო? — **ასეთი ფიქრები აწვალებს კუბილიუს-ფოტიგებისა და კრამონ-ჯუკნევიჩიენეების შემყურე ქართველი ხალხის დიდ ნაწილს, რომელსაც, ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ სურს ბოლომდე დაიჯეროს, რომ ევროპარლამენტის, ევროსაბჭოსა და სხვა ევროპული ინსტიტუციების სახით დასავლური დემოკრატიის ბომონი თვალწინ დაემსხვრა.**

თუმცა, რეალობა რეალობაა და მასთან თვალის გასწორება მაინც გვიწევს, მით უფრო, რომ ევროპული ბიუროკრატიის პოლიტიკური და მორალური ლპობის დამადასტურებელი ფაქტები თვალში ჯიუტად გვეჩხირება.

აი, მაგალითად, **2022 წლის 10 დეკემბერს ბელგიელმა სამართალდამცავებმა კორუფციასა და ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, არც მეტი, არც ნაკლები, ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი ევა კაილი დააკავეს. აგრეთვე დაკავებულია ევროპარლამენტის ხელმძღვანელობასთან დაახლოებული ოთხი პირი, რომელიც კორუფციაშია ეჭვმიტანილი და ბრალად ედება, რომ ფინანსური სარგებლის მიღების სანაცვლოდ ლობირებდა კატარის სახელმწიფოს, რათა მას ფეხბურთში 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მიეღო.**

კორუფციასა და ფულის გათეთრებაში ეჭვმიტანილი **ევა კაილის** დაკავების შემდეგ ევროპარლამენტის პრეზიდენტმა **რობერტო მეცოლამ** მას ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილება შეუჩერა. ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი დაკავებისთანავე გარიცხეს საკუთარი პარტიის — ბერძნული **„პასოკის“** რიგებიდანაც.

როგორც ბელგიური გამოცემა Knack-ი იუწყება, ბელგიის ფედერალური პროკურატურა ევროპარლამენტში არსებული შესაძლო კორუფციის შესახებ გამოძიებას მიმდინარე წლის ივლისიდან აწარმოებს. **საგამოძიებო უწყება ეჭვობს, რომ სპარსეთის ყურის ერთ-ერთი ქვეყანა ოფიციალური პირების მოქრთამვის გზით ცდილობს, გავლენა მოახდინოს ევროპარლამენტის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.**

მოკლედ, კორუფციისა და ფულის გათეთრების ბრალდებით ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტის დაკავება არამხოლოდ დიდი პოლიტიკური სკანდალია, არამედ ევროპული ბიუროკრატიის პოლიტიკური და მორალური ლპობის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურება გახლავთ!

**კორუფციისა და ფულის გათეთრების ბრალდებით ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტის დაკავება, შესაძლოა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საზოგადოებებისათვის მოულოდნელი და შოკისმომგვრელიც კი იყოს, მაგრამ ჩვენ — ქართველებს, სრულებითაც არ გვიკვირს, რომ კუბილიუს-კრამონ-ფოტიგების უფროსმა ვირის აბანოში ამოყო თავი!**

გვიკვირს კი არა,

**სრულიად კანონზომიერადაც კი მიგვაჩნია, რომ კორუფციასა და ფულის გათეთრებაში იქნა მხილებული იმ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი, რომლის წევრებიც ქართულ სახელმწიფოს სისხლს უთეთრებენ და იდაყვებამდე სისხლით მოთხვრილი ნაცბანდის ხელისუფლებაში დაბრუნებას ლობირებენ!**

სხვანაირად რომ ვთქვათ, **კუბილიუსებს, ფოტიგებს, ფონ კრამონებს, ჯუკნევიჩიენეებსა და სხვა ევროპარლამენტარებს,** რომლებიც პოლიტიკური კორუფციის ჭაობში ჩაძირულან და იქიდან ცდილობენ ქართველი ხალხის მიერ გაშავებული ნაცბანდის გათეთრებას, სწორედ კორუფციასა და ფულის გათეთრებაში მხილებული ვიცე-პრეზიდენტი უნდა ჰყავდეთ!

და კიდევ: **ნიშანდობლივია, რომ კორუფციისა და ფულის გათეთრების ბრალდებით დაიჭირეს იმ ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი, რომლის 308 დეპუტატსაც დავით კეზერაშვილი — მეცენატად და პოლიტიკურ დევნილად, ბიძინა ივანიშვილი კი, „რუს ოლიგარქად“ მიაჩნია!**

უკვე მერამდენედ გაცხადდა, რომ **მექრთამე ვიცე-პრეზიდენტებისა და კოლექტიური კუბილიუსების** ხელში ჩავარდნილი ევროპული ინსტიტუტები გადაიქცნენ კრებსით დანიის სამეფოდ, სადაც რაღაც დალპა!

**ევროპის პოლიტიკური დეკადანსი, როგორც ჩანს, პიკს აღწევს და გადამწყვეტ ფაზაში შედის!**

*ჯაბა ხუბუა*

## ნიშანდობლივია, რომ კორუფციისა და ფულის გათეთრების ბრალდებით დაიჭირეს იმ ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი, რომლის 308 დეპუტატსაც დავით კეზერაშვილი – მეცენატად და პოლიტიკურ დევნილად, ბიძინა ივანიშვილი კი „რუს ოლიგარქად“ მიაჩნია!

## კვირგვინოსნები

**კელი დეგნანი**
*საქართველოში აშშ-ის ელჩი*



**საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია,** ვფიქრობ, ეს აძლევს შთაგონებას ზოგიერთ ქართველს, **გააკეთოს, რაც შეუძლია უკრაინის დასახმარებლად,** იქნება ეს ჰუმანიტარული დახმარება თუ სხვა რამ. ქართველები გულუხვ ჰუმანიტარულ მხარდაჭერას უცხადებენ უკრაინელ ხალხს, **ვფიქრობ, უკვე ცხადია, რომელ მხარეს დგას ქართველი ხალხი.**

„პირველი არხი“

**დიტო სამხარაძე**
*პარლამენტარი*



**იბრძვი შენი სამშობლოს მტრის წინააღმდეგ,** კაცი ხარ! **იბრძვი შენი სამშობლოს გულისთვის,** კაცი ხარ, მაგრამ, **თუ ფულის გაკეთებისთვის იბრძვი, კაცის გამაუპატიურებლებისთვის იბრძვი, დორბლიანის მობრუნებისთვის იბრძვი** და აჟღერებ, რომ უკრაინის ომის დასრულების შემდეგ საქართველოში ჩამოხვალ და სისხლიან დაპირისპირებას მოახდენ, შენნაირის სუყველაფერი ერთად და გემრიელად ვათრიე!

„აიპრესი“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



გამორიცხული არაა, რამდენიმე თვეში **ლევან ხაბეიშვილი ვანო მერაბიშვილმა** ჩაანაცვლოს.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ირაკლი კადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



**ხოშტარია, ჯაფარიძე, ვაშაძე, ხაბეიშვილი, მელია** და ასე შემდეგ ერთი ნაცმოძრაობა იყო. **შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება.**

„რეზონანსი“

**ჯიმ რიში**
*რესპუბლიკელი სენატორი*



თუ საქართველოს სურს, გახდეს **ევროპული ქვეყნების ჯგუფის წევრი,** ამისთვის საჭიროა პრესის, სიტყვისა და შეკრების თავისუფლება.

„რეზონანსი“

# „უახლოეს მომავალში საქართველოსთვის მშვიდ და კარგ დღეებს არ ველი!“



## დემურ გიორხელიძე:

# უკრაინაში მდგომარეობა რაც უფრო გაუარესდება, მით უფრო გაძლიერდება ზეწოლა ჩვენს ხელისუფლებაზე, რათა საქართველო ომში ჩაითრიონ!

***საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გასულ კვირას ჩატარებულმა ბრიფინგმა, რომელზეც მან ქართული ხელისუფლება უკრაინისათვის სამხედრო დახმარების არგაწევის გამო გააკრიტიკა, კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ რუსეთ-უკრაინის ომში საქართველოს ჩათრევისა და ყბადაღებული მეორე ფრონტის საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ცნობილი ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე ჩვენთან ინტერვიუში აცხადებს, რომ უკრაინაში ვითარების დამძიმების პარალელურად, საქართველოს ხელისუფლებაზე პოლიტიკური ზეწოლა კიდევ უფრო გაძლიერდება:***

— რა სამხედრო დახმარება უნდა გაუწიოს საქართველომ უკრაინას? ამერიკელები და ნატოს წევრი ევროპული ქვეყნები ისედაც დიდძალ იარაღს აწვდიან და ჩვენ რისი გაკეთების რესურსი გვაქვს — უკრაინაში ჯარი გადავსხათ და ქართული სახელმწიფოს განადგურებას მოვაწეროთ ხელი?! ასეც რომ მოვიქცეთ, ამას უკრაინელებისათვის მაინც არ ექნება შედეგი! რეალურად, ქართული სახელმწიფო, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, უკრაინას ნამდვილად არ აკლებს დახმარებას, მაგრამ უკრაინის ხელისუფლებისა და მისი პარტნიორების სურვილია, საქართველო რუსეთთან შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე გახდეს. უკრაინაში მდგომარეობა რაც უფრო გაუარესდება, მით უფრო გაძლიერდება ზეწოლა ჩვენს ხელისუფლებაზე, რათა საქართველო ომში ჩაითრიონ.

**— ფიქრობთ, რომ უკრაინაში მდგომარეობის გაუარესება მოსალოდნელია?**

— დიახ, **მომდევნო თვეების განმავლობაში უკრაინაში მდგომარეობა აუცილებლად დამძიმდება, რაც, საბოლოო ჯამში, უკრაინისათვის ძალიან ცუდად დასრულდება!**

**— მაინც რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის დაპირისპირებაში უკრაინამ საკუთარი თავის გასანადგურებელი პოზიცია აირჩია და სწორედ ეს არის მისი ტრაგედია! ჯერ კიდევ **ბჟეზინსკი** ამბობდა, რომ უკრაინა არის ერთადერთი პლატფორმა, საიდანაც რუსეთის დამარცხება შეიძლება და უკრაინამ დღეს ზუსტად ეს ფუნქცია — **პოლიგონის როლი** იკისრა, რითიც სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, რადგან მას არა აქვს და არ ექნება მიზერული შანსიც კი, რუსეთი დაამარცხოს!

**— თუმცა, დასავლური მედია და სამხედრო ანალიტიკოსების ნაწილი ამტკიცებს, რომ უკრაინა ომს იგებს და რუსეთის მარცხი გარდაუვალია!**

— ეს მხოლოდ პროპაგანდაა, რაც ომის შემადგენელი ნაწილი გახლავთ, რეალობა კი სულ სხვაგვარია. **სამწუხაროდ, ქართული ე.წ. მეინსტრიმული ტელევიზიებიც უკრაინულ პროპაგანდას არიან აყოლილი და სრულ სიბნელეში ამყოფებენ ჩვენი საზოგადოების იდეოლოგიზებულ ნაწილს, რომელიც თავის მოტყუებისაკენ არის მიდრეკილი.**

**— ისიც ხომ ფაქტია, რომ რუსეთი უკრაინაში წარმატებულ სამხედრო ოპერაციებს ვერ ახორციელებს და დიდი ქალაქების აღებას ვერ ახერხებს?**

— რუსეთი უკრაინაში სრულფასოვან სამხედრო მოქმედებებს ვერ განახორციელებს, რადგან

**უკრაინა – ეს უზარმაზარი ქვეყანა – უკრაინელებთან ერთად, ძირითადად, რუსებით არის დასახლებული და, მათ შორის, მილიონობით ერთობლივი, ანუ უკრაინულ-რუსული ოჯახია. აქედან გამომდინარე, რუსეთი საკუთარი ხალხის დაბომბვასა და ხოცვა-ჟლეტაზე ვერ წავა, რადგან ეს მის მომავალს მსოფლიო მასშტაბით გაანადგურებს.**

ამიტომაც არის, რომ რუსეთს უკრაინის ოპერაციაში საკუთარი ტექნიკისა და ცოცხალი ძალის ძალიან მცირე ნაწილი — მხოლოდ 10 პროცენტი ჰყავს ჩართული.



> **„უკრაინას არა აქვს და არ ექნება მიზერული შანსიც კი, რუსეთი დაამარცხოს!“**

**— როგორც თქვენ ამბობთ, რუსეთი უკრაინაში „ცალი ხელით“ იბრძვის... მაშინ გამოდის, რომ უკრაინას, რომელსაც კოლექტიური დასავლეთი ფულითაც ეხმარება და შეიარაღებითაც, მართლაც შეუძლია, რუსეთი დაამარცხოს!**

— ამერიკელები და ევროპელები უკრაინას არ აძლევენ და არც მისცემენ მძიმე შეიარაღებას. „ჰაიმარსებიც“ კი *(მაღალი მობილობის საარტილერიო სარაკეტო სისტემა. რედ.)*, რომლებიც ამერიკამ უკრაინას გადასცა, გადაპროგრამებულია, რათა შეუძლებელი იყოს რაკეტების გაშვება უკრაინის საზღვრებს იქით. ეს არის მთავარი ქვეყნების — ამერიკის, ჩინეთისა და ნატოს წევრი ევროპული სახელმწიფოების შეთანხმების ნაწილი, რაც იმას ემსახურება, რომ სამხედრო კონფლიქტი უკრაინის ფარგლებს არ გასცდეს და მესამე მსოფლიო ომში არ გადაიზარდოს.

ერთი სიტყვით, **რუსეთი, რომელსაც უკრაინაზე შეუდარებლად დიდი სამხედრო პოტენციალი გააჩნია, მაგრამ იძულებითი თვითშეზღუდვის პირობებში უწევს მოქმედება, უკრაინაში საკუთარ მიზანს მეთოდურად, ნზრევისა და გაუსაძლისი პირობების შექმნის ხარჯზე მიაღწევს.** სამწუხაროდ, უკრაინის კრახი გარდაუვალია და ამას ვერაფერი შეაჩერებს.

6 თვის განმავლობაში ვცხოვრობდი უკრაინაში, თავიდან ბოლომდე მაქვს შემოვლილი ეს უზარმაზარი ქვეყანა და მისი ტრაგედიის მშვიდად ყურება ჩემთვის შეუძლებელია, მაგრამ, **რაც უკრაინის თავს ხდება, ეს მისი პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის ბრალია, რომელსაც არ აღმოაჩნდა უნარი, ამერიკა-რუსეთის დაპირისპირებაში უკრაინის პოლიგონად გამოყენების პროექტისათვის წინააღმდეგობა გაეწია და საკუთარი სახელმწიფო არ დაეღუპა.** საუბედუროდ, უკრაინა ვეღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც 2022 წლის 24 თებერვლამდე იყო, ეს გამორიცხულია!

**— ასეთ ვითარებაში როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს ხელისუფლება, რომ ქვეყანას რუსეთ-უკრაინის ომში ჩართვა აარიდოს?**

— პირდაპირ გეტყვით, რომ უახლოეს მომავალში საქართველოსთვის მშვიდ და კარგ დღეებს არ ველი! როგორც ზემოთ აღვნიშნე, უკრაინაში სიტუაციის დამძიმების პარალელურად, საერთაშორისო პარტნიორები „ქართულ ოცნებაზე“ პოლიტიკურ ზეწოლას გაზრდიან, რათა საქართველო ომში ჩაითრიონ, ეს კი არამხოლოდ ხელისუფლებას გაანადგურებს, არამედ ქართული სახელმწიფოს დასასრულიც იქნება. **თუ საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკურ ზეწოლას ვერ გაუძლებს და რაღაც ვალდებულებების გამო წინააღმდეგობას ვერ გაუწევს ქვეყნის ომში ჩათრევას, მაშინ კეთილი უნდა ინებოს და გადადგეს!**

**— მერედა, ვინ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში — ნაციონალური მოძრაობა, რომელიც მეორე დღესვე ჩართავს საქართველოს რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში?**

— ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნებას ქართველი ხალხი არ დაუშვებს — ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ პროპაგანდით იმ დონეზე გამოთაყვანებული, რომ ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითმკვლელობა ჩავიდინოთ!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**პაველ ჰერჩინსკი**
*საქართველოში ევროკავშირის ელჩი*



ევროკომისია შეაფასებს **12 რეკომენდაციის შესრულებას** მომავალ წელს და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება წევრი ქვეყნების მიერ ერთხმად მომავალი წლის ბოლოს. ასე რომ, თითები გადაჯვარედინებული მაქვს ყველა ძალისხმევისთვის. **ჯერ არის დრო და გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს.**

„პირველი არხი“

**ვატო შაქარიშვილი**
*ორგანიზაცია „აი ის“ დამფუძნებელი*



უკრაინაში იმ 33 ქართველის დაღუპვაში დამნაშავეები ხართ ნაცმედია და პოლიტიკოსები, რომლებიც **ეწევით ცრუ პროპაგანდას, თითქოს ეს არის ჩვენი ომი, ახალგაზრდებს აჯერებთ, თითქოს იქ წყდება საქართველოს ბედი.**

„პირველი არხი“

**გიორგი ხელაშვილი**
*პარლამენტარი*



**არცერთი ქვეყანა არ გზავნის მოხალისეებს უკრაინაში,** ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ამისკენ სიხარულით მოუწოდებს საკუთარ მოქალაქეებს, ეს არის **ქართული რადიკალური ოპოზიცია.**

„რეზონანსი“

**ამირან სალუქვაძე**
*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში*



ნატო უკრაინას **უსასყიდლოდ არ ეხმარება,** ჩვეულებრივად მიმდინარეობს იარაღის მიყიდვა.

„ახალი თაობა“







2007 წელი, თბილისი, სამხატვრო აკადემია – გია ბუღაძემ საკუთარ სტუდენტებს ერთმანეთისთვის სახეში ფურთხების „პერფორმანსი" გაამართვინა.

# შეფურთხების პროფესორი გია ბუღაძე

# უნივერსიტეტიდან გა-მო-ა-ბუ-ღა-ძეს!

***თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაიწყო!***

დედაუნივერსიტეტიდან, სადაც სააკაშვილმა და კანალიზატორმა **კახა ლომაიამ** ეროვნული პროფესურა მოსპეს, ამ დღეებში ცნობილი ქართველი „ტუალეტის მჯღაბნელისა" და მამუკა ხაზარაძის უნიტაზის ყარაულის **ლაშა ბუღაძის მამა,** მხატვარი **გია ბუღაძე** გამოაბუღაძეს.

ეს ყველაფერი, ნებსით თუ უნებლიეთ, დედაუნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად **შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსისა და ეროვნული კაცის, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას** არჩევას დაემთხვა. ეტყობა, **გია ბუღაძე,** რომელიც, მისივე შვილის სიტყვებით თუ ვიტყვით, **„მაგარ მძღ...შია"** *(ცენზურა ჩვენია. რედ.)*, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ ისეთი პატრიოტი კადრის გვერდით, როგორიც **ჯაბა სამუშიაა,** ვერ მოძოვდა და საქართველოს უპირველესი ალმა-მატერიდან თავისი ნებით გაიძურწა.

**თავად ბუღაძე, რომელმაც საქართველოს მოსახლეობას სამხატვრო აკადემიაში პრეზერვატივების ჩამოკიდებით და სტუდენტებს შორის „შეფურთხების ჩემპიონატის" გამართვით დაამახსოვრა თავი, უნივერსიტეტიდან გამოპინტრიშებას ასე ხსნის:**

***„ერთხელ მოვიკითხე, მეორედ, მივხვდი, რომ რადგან „ქოცი" არ ვარ, აღარ სურდათ უნივერსიტეტში ჩემი ყოფნა და წამოვედი. პროფესიონალიზმის გამო ვინ მეტყოდა უარს. ასევე მაქვს დოქტორის სტატუსი. კარგად არის ცნობილი, რომ სხვაგან ვკითხულობ ლექციებს, უმაღლეს დონეზე. ჩემთვის მთავარი იყო ბავშვებთან ურთიერთობა. სტუდენტები მირეკავენ, არ მაქვს უფლება, ჩემს ლექციაზე შემოვიდნენ. ვფიქრობ, პოლიტიკური შეხედულების გამო მოიქცნენ ასე, არ დადეს ხელშეკრულება!"***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი **თამარ დოლბაია** პოლიტიკური მოტივით გია ბუღაძისთვის ხელშეკრულების შეწყვეტას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ბუღაძეს უნივერსიტეტში დღესაც ელიან! დოლბაიამ გია ბუღაძის მიერ ტლინკების აყრის, სტუდენტების მიტოვებისა და უნივერსიტეტიდან გაქცევის ფაქტი შემდეგნაირად ახსნა:



***„სემესტრის დაწყებისას გია ბუღაძეს კადრების განყოფილებაში ნასამართლობის შესახებ ცნობა არ წარუდგენია, რაც ოფიციალურად არის დადგენილი. სწორედ ამის გამო არ გაფორმდა ხელშეკრულება, თუმცა, ბუღაძე განაგრძობდა ლექციების კითხვას.*** *ბუღაძემ ცნობა მხოლოდ ნოემბერში წარადგინა, ამის შემდეგ კი ხელშეკრულების გაფორმება არ მოისურვა. ამის მიზეზი გახდა შეცვლილი სისტემა, რომლის თანახმად, მოწვეული ლექტორები ანაზღაურებას არა ფიქსირებულად, არამედ საათობრივად იღებენ, საათში 25-40 ლარს.* ***იშვიათ შემთხვევებში მოწვეულ პროფესორებს საათში 60 ლარს უნაზღაურებენ და სწორედ ეს თანხა შესთავაზეს გია ბუღაძეს!"***

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქალბატონმა დოლბაიამ **შეფურთხების პროფესორ გია ბუღაძეს** იქით კი არ უნდა ეხვეწოს — არიქა, შენი ჭირიმე, უნივერსიტეტში დაბრუნდიო! — არამედ სიხარულისგან დოლს შემოსცხოს და ბუკსა და ნაღარას ჰკრას, რადგან **სტუდენტობას მოშორდა კაცების გამაუპატიურებელთა პარტიის აპოლოგეტი და ულვაშიანი ხარაბუზა, ხოლო უნივერსიტეტმა მოიშორა კიდევ უფრო დიდი სირცხვილი და უბედურება!** კერძოდ,

**ამიერიდან საქართველოს უპირველესი ალმა-მატერის კედლებს აღარ შეანუხებს ცხონებული გურამ შარაძის იდეურ მკვლელთაგან ერთ-ერთის, წყეული ბუღა-თურქის სულიერი მემკვიდრის გია ბუღაძის ავი აჩრდილი.**

## კვირგვინოსნები

**თორნიკე შარაშენიძე**
*GIPA-ს პროფესორი*



რატომ ჰგონია ვინმეს, რომ ნატო პირდაპირ ომში ჩაერთვება რუსეთთან და ამით **მესამე მსოფლიო ომს** დაიწყებს? ვფიქრობ, რუსეთის გამოფიტვაზე აქვთ გათვლა, მაგრამ **ანექსირებული ტერიტორიის სრულად უკან დაბრუნება მაინც არ გამოვა.** მგონი, ამის სერიოზულად არც არავის სჯერა. რაც შეეხება საქართველოს, **თუ უნდათ ჩვენი დაცვა, მიგვიღონ და ამით მორჩება ყველაფერი.** ბურთი მათ მოედანზეა.

„კვირის პალიტრა"

**იგორ კვესელავა**
*ანალიტიკოსი*



დიპლომატიით რაღაცას უნდა მივაღწიოთ და არა ისე, რომ **საზღვართან მიდის ზოგიერთი ჩვენი ოპოზიციონერი, ჩაიხდის შარვალს, რაც სამარცხვინოა იმ ერისთვის, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში უზარმაზარი კულტურა გააჩნია.** რუსეთს უნდა ებრძოლო ხელოვნებით, სპორტით, პოლიტიკით, დიპლომატიით.

„საქართველოს რესპუბლიკა"

**ბაჩო კვირტია**
*მწერალი, დრამატურგი, სცენარისტი*



უამრავი დრო გვაქვს დაკარგული **უაზრო და მარაზმამდე მისულ დაპირისპირებებში, არაფრისმომცემ დისკუსიებსა და ერთმანეთის ოპონირებაში.** არადა, რა კარგი იქნებოდა, ეს დრო ქვეყნისთვის, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისთვის დაგვეთმო. ერთი ნაბიჯით მაინც ხომ წავიწევდით პროგრესისკენ?

„კვირის პალიტრა"

**კახა კუკავა**
*პარტია „თავისუფალი საქართველოს"ლიდერი*



ხშირად ძალიან მწარედ გავულანძღივარ ისეთ ადამიანს, რომელსაც ათჯერ მაინც შეუსვამს ჩემი სადღეგრძელო დიდ სუფრაზე. **როცა დიდი შიში უნდა განგვეცადა, მაგალითად, 26 მაისს, როდესაც, პრაქტიკულად, გვხოცავდნენ, არ შეგვშინებია.** არათუ შიში, მაშინ ტკივილიც კი არ მიგრძნია, როდესაც იქიდან გამოვედი, მერე ამტკივდა ყველა ნაცემი ადგილი.

„თბილისელები"

# ბუღაძემ 1569 წლის ფარცხისის ბრძოლიდან 435 წლის შემდეგ, 2004 წლის ნოემბერში, ავადსახსენებელი კახაბერ ყორღანაშვილის ღალატი პირდაპირი მნიშვნელობით გაიმეორა და გურამ შარაძისკენ ხელი გაიშვირა – „ეგ არის გურამ შარაძე, შეიპყარითო!“

დიახ, ეს ის ბუღაძეა, რომელმაც 1569 წლის ფარცხისის ბრძოლიდან 435 წლის შემდეგ, 2004 წლის ნოემბერში, ავადსახსენებელი კახაბერ ყორღანაშვილის ღალატი პირდაპირი მნიშვნელობით გაიმეორა და გურამ შარაძისკენ ხელი გაიშვირა — **„ეგ არის გურამ შარაძე, შეიპყარითო!“**

მოგეხსენებათ, 2004 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რომელსაც მაშინ **ემზარ ჯგერენაია და მასთან სექსუალურად თუ ჰომოსექსუალურად გათანაბრებული პირები ხელმძღვანელობდნენ,** ამერიკის საელჩოს ინიციატივით ვინმე რაფალ ოლბინსკის ნახატები გამოფინეს, რომელსაც ცხონებულმა გურამ შარაძემ „სატანური პორნოგრაფია“ უწოდა და ჩამოხია. ნახატებზე გამოსახული იყო ტიტველი ქალები, რომლებსაც სარცხვენელში, ანუ „ჭუტელში“ სწორედ გია ბუღაძის ბრიალა თვალი ჰქონდათ ჩახატული.

კულტურის იმდროინდელმა მინისტრმა **გაკუ გაბაშვილმა,** სააკაშვილის სამყაყეთის სხვა გამოჩინებულმა ვართაპეტებმა და, მათ შორის, გია ბუღაძემ მაშინ გურამ შარაძეს განკითხვის დღე მოუწყვეს და აკადემიკოსი ხულიგნობის ბრალდებით დააპატიმრებინეს. ამის შემდეგ ამ მართლაცდა **მარადიულ „მძღ...ში“** *(ცენზურა ჩვენია. რედ.)* მომუზმუზე სოციოპათებმა გურამ შარაძე ისევ დააპატიმრეს და ბოლოს, 2007 წლის 20 მაისს, სწორედ უნივერსიტეტისკენ მიმავალი მელიქიშვილის გამზირზე დახვრიტეს!


დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი
ღმერთი მოკვდა, ყველაფერი ნებადართულია.
*თეოდორ დოსტოევსკი*
ასავალ დასავალი
2004 წლის 29 ნოემბერი – 5 დეკემბერი
N48 (536)
ფასი 50 თეთრი
ის, რაც საზოგადოებას არ მოასმენინეს, ანუ
რა ხდებოდა გურამ შარაძის სასამართლო პროცესზე?
2004 წლის 25 ნოემბერი. თბილისი. ასამართლებენ ქართული კულტურის მოამაგე პროფესორს
9-13
კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილიც გურამ შარაძისაკენ იშვერს თითს და არა იმ შემზარავი პლაკატისაკენ, რომელზეც საშო და მამაკაცის თვალი ერთმანეთშია აღრეული
მხატვარი გია ბუღაძე კანონმდებელთა მოსვლამდე თითს გურამ შარაძისაკენ იშვერს და მის მიერ დახეულ პლაკატებს ოთხას დოლარად აფასებს

## არც გია ბუღაძეს და არც მის ტვინმოღრეცილ შვილს, მამუკა ხაზარაძის უნიტაზის ყარაულ ლაშა ბუღაძეს, რომელმაც თავისი ავადმყოფური ნაჯღაბნით თამარ მეფე შეურაცხყო, გურამ შარაძის დახვრეტის გამო კრინტი არ დაუძრავთ!

მამა-შვილი მაშინაც ბუებივით ისხდნენ და ხმას არ იღებდნენ, როცა სააკაშვილმა ქუჩებში საჯიშე ბიჭების ამოწყვეტის სისხლიანი სეზონი გახსნილად გამოაცხადა და **სანდრო გირგვლიანი** ოქროყანის სასაფლაოზე დაჩეხა.

მოკლედ, **მამა-შვილი ბუღაძეები** მთელი ეს წლებია, მართლაცდა **„მაგარ მძღ...ში არიან“** *(ცენზურა ჩვენია. რედ.)*, ყარან და კარგია, რომ ასეთი აყროლებული კაცი, ბოლოს და ბოლოს, დედაუნივერსიტეტის კედლებიდან გამოაბუღაძეს!

სხვათაშორის, უნივერსიტეტიდან ტლინკებაყრილმა და გამოქცეულმა **გია ბუღაძემ** კორესპონდენტებს ესეც უთხრა:

***„ჩემი განდევნა უნდოდათ. ჩემი ბრძოლა დიდი ხანია, დავასრულე. არაფრის დამტკიცებას არ ვაპირებ. მხატვარი ვარ, რომელიც არასდროს გაქრება. მიყვარს ბავშვებთან მუშაობა. თსუ-ს პირველ კორპუსში გუმბათი და ერთ-ერთი აუდიტორია ჩემი მოხატულია; ტრაბახში არ ჩამომართვათ, მე ვარ ერთ-ერთი ცოცხალი ამაშენებელი და დამამშვენებელი უნივერსიტეტის. პირადად არ ვიცნობ თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელ ჯაბა სამუშიას, თუმცა, მასზე წარმოდგენა უკვე შემექმნა. იმედია, ჩემს ფრესკებს არ გადაშლის, თუმცა, არაფერს გამოვრიცხავ. პარლამენტში ჩემი მოხატული მეფეთა დარბაზი პანელებით დაფარეს!“***

კიდევ კარგი, გია ბუღაძემ ის არ თქვა — **ალმაშენებელი ვარო!** — თორემ **ჭიჭე-ვაშაძე გიორგი „ალმაშენებელი“** უსათუოდ ულვაშებით ითრევდა! რაც შეეხება პარლამენტისა და უნივერსიტეტის გუმბათის მოხატვას, ბუღაძემ და კაცების გამაუპატიურებელთა პარტიამ საქართველოში გუმბათები კი არ მოხატეს, არამედ ჩამოაქციეს და იავარქმნეს! ისე, პარლამენტის მეფეთა დარბაზისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ბუღაძეს სააკაშვილის ბოზბანდელების პორტრეტები რომ უფრო კარგად გამოუვიდოდა, წყალი არ გაუვა!

ყველაზე მთავარი — **უნივერსიტეტის რექტორი და ისტორიკოსი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია ის კაცი არ არის, გია ბუღაძის ნაცოდვილარი ვინმეს გადააფხეკინოს ან თვითონ გადაფხიკოს, მაგრამ დრო — ყველა ჩვენგანის პიროვნული და უზენაესი მსაჯული უცილობლად გადაფხეკს, წარეცხავს და წალეკავს როგორც კაცების გამაუპატიურებელთა სექტას, ისე მამა-შვილი ბუღაძეების სახსენებელს, რომლებიც სააკაშვილის გადამკიდე რა ხანია, „მაგარ მძღ...ში არიან!“** *(ცენზურა ჩვენია. რედ.).*

დაბოლოს,

## საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ დედა-უნივერსიტეტი დიდი ხანია, ნაცსექტის ბუნაგად არის ქცეული!

ამიტომ




**თუ აკადემიკოს ჯაბა სამუშიას საქართველოს უპირველესი ალმა-მატერის კედლებიდან გია ბუღაძის მსგავსი ბუღა-თურქებისა და უჯიშჯილაგოების გამოსაბუღაძებლად დახმარება დასჭირდება,** ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩვენი ალმისა და კალმის იმედი ჰქონდეს!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**მერაბ შათირიშვილი**
*მწერალი*



**მიშა დემოკრატიის კი არა, რადიკალიზმის, დესტრუქციის, წამების, ქვეყნის ნგრევის შუქურა იყო.** ნაცმოძრაობის დაშლა ახლოვდება. **ქეზერაშვილი** და ნაცმოძრაობის სხვა მილიარდერი დამფინანსებლები **ხაბეიშვილში** თანხას არ ჩადებენ.

„საერთო გაზეთი“

**სოსო მანჯავიძე**
*პოლიტოლოგი, ისტორიკოსი*



ნაცების სახით ოპოზიციაში **კლინიკური გიჟები** გვყავს. კიდევ კარგად ვართ იმ ფონზე, როცა ნაცმოძრაობას არჩევნებში ხმას ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი აძლევს. **აშკარად ზეციური ძალები იფარავენ ჩვენს ქვეყანას და ამიტომ არ ვართ დღეს უკრაინის მდგომარეობაში,** რასაც ესენი შენატრიან.

„საერთო გაზეთი“

**მირიან მირიანაშვილი**
*პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარე*



თუ ნაცმოძრაობა ისევ აქტუალური გახდა, მისი თავმჯდომარე **ზურაბ ადეიშვილი** იქნება. **სააკაშვილზე** მზრუნველი ევროპარლამენტის წევრების ბიოგრაფიების ჩხრეკამ შეიძლება კრემლამდე მიგვიყვანოს.

„ახალი თაობა“

**სოსო გოგაშვილი**
*სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი მაღალჩინოსანი, პატიმარი*



ძალაუფლების შენარჩუნებას **მხოლოდ სისხლიანი ცხრა წლის ხსენებით** ახერხებენ მაშინ, როდესაც ამ რეჟიმის დროინდელი **ყველა ბინძური ზონდერი, ჩამდები და გამყალბებელი** „ოცნებაში“ გადაბარგდა, რაც კარგად ეხერხებათ ისევ იმას აკეთებენ, ახლა ლურჯად შეიღებნენ.

„საქართველოს რესპუბლიკა“

***წინა კვირას „მთავარი არხის" ეთერში ბადრი პატარკაციშვილის ერთ-ერთმა მკვლელმა და სააკაშვილზე გულშევარდნილმა ნაცჟურნალისტმა თეა ადეიშვილმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს „მკვლელი" უწოდა!***

ყველაფერი ასე დაიწყო: **სააკაშვილის ტელეკანალიზაცია „მთავარი არხის" პროგრამაში „დღის სტუმარი",** რომელსაც კუჭდაპატარავებული, მაგრამ ბოღმისაგან მაინც გასივებული ადეიშვილის ქალი უძღვებოდა, გვიჩვენეს ირაკლი ღარიბაშვილის კომენტარი, სადაც მან თქვა — **„მინდა, სააკაშვილს გულწრფელად ვუსურვო ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე! როგორ შეიძლება, ადამიანს ადამიანის გარდაცვალება გინდოდეს?!"**

როგორც კი პრემიერ-მინისტრის ეს განცხადება მორჩა, **„მთავარი არხის" პროჟიუსერებმა კადრში უნებლიეთ გვიჩვენეს სტუდია, სადაც გამოჩნდა ბაღჩისარაის შადრევანივით გადაფურჩქნილი თეა ადეიშვილი, რომელმაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის მისამართით წაისისინა — „ეს მკვლელი, ესა!"**

მოკლედ,

## ადეიშვილის კნეინა, რომელმაც ბადრი პატარკაციშვილს უღალატა და სააკაშვილის ბორდელში გადაბობღდა, ირაკლი ღარიბაშვილს „მკვლელს" უწოდებს!

**ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ელისტრაკო კილაძემ** ვინმეს აღვირახსნილობაზე დაიწყოს ლაპარაკი, ხოლო **ლევან ხაბეიშვილმა, პეტრე ცისკარიშვილმა და დავით კირკიტაძემ ივანე ჯავახიშვილსა და სიმონ ჯანაშიას** ნაშრომები დაუწუნონ!

ცნობისათვის, ჩვენს დროში ქუთაისიდან თბილისში ორი თვითგამოცხადებული ჟურნალისტი ჩამოვიდა და ორივემ იმდენი ძღვენი მიირთვა, კუჭები რომ არ დაეპატარავებინათ, გახეთქვაზე იყვნენ. ერთი **ელისტრაკო კილაძეა,** ხოლო მეორე — **თეა ადეიშვილი! თავის დროზე ერთიც და მეორეც ვანო მერაბიშვილმა და სააკაშვილმა ბადრი პატარკაციშვილის მოსაკლავად დაგეშეს** — ერთი **ვალერი გელბახიანთან** ერთად **„არკადიაში"** გადასხეს, ხოლო მეორე **„იმედში"** ააყროლეს!





თეა ადეიშვილი კუჭის დაპატარავებამდე და კუჭის დაპატარავების შემდეგ

# ტალახიანი ღორი ქუთაისიდან უკვე თბილისში ჩამოვიდა,

## ანუ აქა ამბავი კუჭდაპატარავებული, მაგრამ ბოღმისგან გასივებული თეა ადეიშვილისა!





ელისტრაკო კილაძე კუჭის დაპატარავებამდე და კუჭის დაპატარავების შემდეგ

**ჩვენს დროში ქუთაისიდან თბილისში ორი თვითგამოცხადებული ჟურნალისტი ჩამოვიდა და ორივემ იმდენი ძღვენი მიირთვა, კუჭები რომ არ დაეპატარავებინათ, გახეთქვაზე იყვნენ. ერთი ელისტრაკო კილაძეა, ხოლო მეორე — თეა ადეიშვილი!**

საბოლოო ჯამში

## თეა ადეიშვილის, გიორგი თარგამაძის, ნანუკა ჟორჟოლიანის, „მასტერას", მეგის ქარდავას, ახალაიების, კოდუებისა თუ ათასი ჯურის ელისტრაკოებისა და ალისტრახოების მეშვეობით, სააკაშვილმა, ვანო მერაბიშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა მიზანი აისრულეს და ბადრი პატარკაციშვილი მოკლეს!

იმ დღიდან მოყოლებული, თეა ადეიშვილი სულით აქოთებულთა კასტას შეუერთდა და ნებისმიერ სიბინძურეზე აწერს ხელს. აი, მაგალითად, მას შემდეგ, რაც ირაკლი ღარიბაშვილს „მკვლელი" უწოდა, უმალ მორიგი სიტუტუცეც იკადრა და სოციალურ ქსელებში დაწერა — **„მშვიდობის ქალაქს" აანთებენ დღეს და დენმა არ დაგარტყათ, შვილებს მაინც ნუ წაიყვანთ..."**

ცხადია, ამ ფეისბუქსტატუსით თეა ადეიშვილმა **ცხონებული მარიტა მეფარიშვილის** ტრაგედიის დაბინძურება სცადა ისევე, როგორც აწ განსვენებული **გიორგი შაქარაშვილის მშობლებს** ემუქრებოდა ტელეკანალიზაცია „მთავარი არხის" პირდაპირი ეთერიდან — **თქვენი შვილის მკვლელებს ხელს აფარებთ, მაგრამ ჩვენ ამ საქმეს ბოლომდე მივყვებით და პასუხისგებაში მიგცემთო!**

ისე, საკითხავია, ბადრი პატარკაციშვილს რომ ქალი უღალატებს და სამშობლოს გამყიდველ სააკაშვილს ფეშტამლებს დაუკოცნის, იმას რომელ მორალზე, ჟურნალისტიკის სტანდარტსა და ზნეობაზე უნდა ველაპარაკოთ?

## სასაცილოა, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილს „მკვლელს" უწოდებს ქალი, რომელიც მკვლელების ჰარამხანაში რამდენი წელია, ძღვენების დეგუსტატორად მუშაობს და იმიტომაც გაუსივდა სახე-პირი მიშა მშვილდაძის უკანალივით!

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ცილს სწამებს **აშვებული პროვოკატორი,** რომელიც სააკაშვილისა და მისი ბოროტი ხროვის მიერ ჩადენილ მკვლელობებს წლების განმავლობაში უსირცხვილოდ ამართლებს და შვილმკვდარ მშობლებს ტელეეკრანიდან თვალებს უბრიალებს — შვილის მკვლელებს ხელს ნუ აფარებთო!

რა ახსნა შეიძლება მოუძებნოს ჭკუათამყოფელმა კაცმა ამ ბოროტ ანომალიას?

არაფერი!

**აქ გამოსავალი ერთადერთი შეიძლება იყოს და ამ გამოსავლის შესახებ წლების წინათ მიგვანიშნა ერთმა ზნეკეთილმა და ფრიად ნიჭიერმა ქუთაისელმა ჟურნალისტმა ნატო გუგელაძემ,** როცა გაზეთ „პოსტსკრიპტუმში" **ელისტრაკო კილაძის** შესახებ დაწერა — **ქუთაისში ტალახიანი ღორი დადის და, ფრთხილად, არ გაგსვაროთო!**

მეგობრებო, საუბედუროდ, ის ტალახიანი ღორი ერთადერთი არ ყოფილა!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**სოსო არჩვაძე**
*ეკონომისტი*



დღეის მდგომარეობით, **საქართველოს ეკონომიკაში სულ ცოტა 25 ათასი ვაკანსიაა გვაქვს.** წლის განმავლობაში **100 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა.** აქედან 78 ათასი უკვე დაკავებულია, 25 ათასი ვაკანტურია.

„საერთო გაზეთი"

**ანჯეი დუდა**
*პოლონეთის პრეზიდენტი*



იმედი გვაქვს, **მალე საქართველო სტატუსს მიიღებს,** იქნება ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი და შევა ნატოში.

„რეზონანსი"

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



ცდილობენ, **სააკაშვილს დამსახურებული სასჯელი ააცილონ,** მიმართავენ პიარკამპანიას, მათ შორის, ქირაობენ ორგანიზაციებს.

„რეზონანსი"

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ექსპერტი*



არ გამოვრიცხავ, რომ **უკრაინამ სააკაშვილის გადაცემა** მოითხოვოს.

„რეზონანსი"

**მამუკა ხაზარაძე**
*პარტია „ლელოს" თავმჯდომარე*



იმედია, დადგება დრო და **სააკაშვილი თავად იტყვის, ვინ დაარწმუნა, მიელო საქართველოში ჩამოსვლის გადაწყვეტილება** და ვინ მისცა გარანტიები.

„რეზონანსი"

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



მსჯავრდებულ **მიხეილ სააკაშვილის** შემოსახლების დღიდან ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ამ ადამიანისთვის მოპოვებული იყოს თავისუფლება ნებისმიერი შესაძლო გზით.

„რეზონანსი"

# ჯენერალისიმუსი

№41-42 (165-166) ★ 2022 წლის 12 დეკემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან






**იმ უსამართლობამ და უპატიებელმა მოპყრობამ, რომელიც სააკაშვილმა უამრავი ოპონენტისა და მათ შორის სტალინის ძეგლის მიმართ გამოამჟღავნა, საბოლოოდ განაპირობა ის, რომ გიულის ბიჭი „ვივამედის“ კლინიკაში, ფაქტობრივად, გიჟის დიაგნოზით გახლავთ გამოკეტილი!**

# სტალინის შურისძიება

***სააკაშვილის დედამ, კნეინა გიული ალასანიამ ამასწინათ განცვიფრებული დაგვტოვა, როცა განაცხადა — მიშას ვკითხე, რა გაქანავებსო? — და მიპასუხა — მექანავებაო!***

ხოლო სულ ახლახან გიული-ხანუმმა გაოცებისგან სულ მთლად პირი დაგვაღებინა, როცა იკითხა — **ნაძვის ხეს კი რთავენ და ერთ ამბავში არიან, მაგრამ მერე მიშას რა?**

ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ლეგენდარული **ვასო გოძიაშვილის** გმირი რომ კითხულობს „ძველ ვოდევილებში“ — **„მერე მე არაფერი მამივა?“**

ქალბატონო გიული, მიშას რა და — **ლევან ბერძენიშვილისეული „გაკურდღლებული“ ცხოვრება და ძალიან დიდი ხნით ციხეში გამოკეტვა!**

## მიშას რა და - ისტორიის ის ბელტები და ქვები, რომლითაც სრულიად უდანაშაულო დედა-შვილი ჯინჭარაძეები ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში მემორიალის აფეთქებისას მოკლა!

მიშას რა და — ის ბეტონის ფილა, რომელიც ნაძირალა **რომან შამათავამ** ჩემ უნივერსიტეტელ მეგობარს, ცნობილ **დათო ცინდელიანს** ფეხზე გამოაბა და საცოდავი ბიჭის გვამი შავი ზღვის ბათუმის აკვატორიის ტალღებში თევზების საჯიჯგნად მოისროლა!

მიშას რა და — **დიდი სტალინის ის მრისხანება და შურისძიება, რომლის შედეგიც უკვე სახეზეა!**

კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ ორმა ნაძირალამ გაბედა სტალინის ცხედართან და ძეგლთან ომი და ისიც ღამით. პირველად ეს იკისრა **სულელმა, ლაჩარმა, მაგრამ ბოროტმა ნიკიტა ხრუშჩოვმა,** როცა 1961 წლის 31 ოქტომბერს, ღამით მავზოლეუმიდან ბელადის ნეშტი გამოასვენებინა, სტალინის მკერდიდან სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი მოახსნევინა, მუნდირზე ოქროს ღილებიც ააძრობინა და სტალინი კრემლის კედელთან დამარხა. მეორეჯერ მსგავსი არაკაცობა ჩაიდინა **გიულის ბიჭმა — სააკაშვილმა,** რომელმაც **2010 წლის 21 ივნისის ღამეს, ზუსტად იმ დროს, როცა 69 წლის წინათ ფაშისტური სამხედრო მანქანა საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად ემზადებოდა, გორში სტალინის ძეგლი დაამხო და ბელადის მშობლიურ ქალაქში ჯერ კიდევ 1952 წელს აღმართული სტალინის ქანდაკი ნადარბაზევში, ეკალბარდებში მოისროლა!**

**სტალინი რომ ცოცხალი ყოფილიყო, სააკაშვილს აუცილებლად გორკაში გაგზავნიდა ლენინთან და უსათუოდ ჩასვამდა იმ ეტლში, საიდანაც ვლადიმერ ილიჩი აგერ უკვე ასი წელია, გიჟის თვალებით გვათვალიერებს!**



მსოფლიო ლიტერატურაში არაერთი შემთხვევაა აღწერილი, როცა ძეგლებმა მის დამამხობლებზე შური სხვადასხვა მეთოდით იძიეს. ასე, მაგალითად, ამოძრავებულმა და ხანდახან ალაპარაკებულმა ძეგლებმა ბევრი გააგიჟა, ხოლო ბევრი ქვეშ მოიყოლა და სული გააცხებინა. ვფიქრობთ, ის ფაქტი, რომ სააკაშვილი საქართველოს უახლეს ისტორიაში ნიკიტა ხრუშჩოვის მსგავსად სულელის სტატუსით შედის, ყველაფერთან ერთად დიდი სტალინის შურისძიებისა და ძეგლის დამსახურებაც გახლავთ!

**იმ უსამართლობამ და უპატიებელმა მოპყრობამ, რომელიც სააკაშვილმა უამრავი ოპონენტისა და მათ შორის სტალინის ძეგლის მიმართ გამოამჟღავნა, საბოლოოდ განაპირობა ის, რომ გიულის ბიჭი „ვივამედის“ კლინიკაში, ფაქტობრივად, გიჟის დიაგნოზით გახლავთ გამოკეტილი!**

დღეს საქართველოსა და მთელი ჩვენი საზოგადოების ტრაგედია სწორედ ის გახლავთ, რომ მკურნალი ექიმები ამის შესახებ ხმამაღლა ვერ ლაპარაკობენ და გიულის ბიჭის **სიგიჟეს მალავენ, თორემ ისე ყველამ კარგად იცის, რომ სააკაშვილს „ვივამედში“ არაფერი ესაქმება და სინამდვილეში მისი ადგილი ხონის ან სურამის ფსიქიატრიულ კლინიკაშია, სადაც თავზემეშოკჩამოცმული და გაკოჭილი უნდა შეაგდონ და ხალხი და ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ დაასვენონ!**

რაც უფრო ახლოვდება **სტალინის დაბადების დღე,** სააკაშვილის სიშლეგის ხარისხიც მატულობს, რადგან **მოსამართლე არევაძემ** ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და ბეჭედი დასვას — ბოლოს და ბოლოს, უშვებენ თუ არა სააკაშვილს ციხიდან? **სხვა ყველაფერი ბლეფია და სააკაშვილის „უცხოეთში სამკურნალოდ გაგზავნის“ თემა ყურით მოთრეულია, რადგან ეს კაცი, როგორც გიჟი, არავითარ მკურნალობას არ ექვემდებარება!**

სტალინი რომ ცოცხალი ყოფილიყო, სააკაშვილს აუცილებლად გორკაში გაგზავნიდა ლენინთან და უსათუოდ ჩასვამდა იმ ეტლში, საიდანაც ვლადიმერ ილიჩი აგერ უკვე ასი წელია, გიჟის თვალებით გვათვალიერებს. **ცხადია, ახლა ძალიან ძნელია იმის თქმა, თუ რა მოხდება იმ სასამართლოზე, რომელსაც ამერიკელები ცერბერებივით უღრენენ, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილის, როგორც ნახევრად ტიტველი გიჟის რეპუტაცია, ყველაფერთან ერთად ბელადისადმი მისმა დამოკიდებულებამაც განსაზღვრა.**

## სტალინი რომ ცოცხალი ყოფილიყო, უკრაინაში ქართველები ფულის გულისთვის საომრად არ წავიდოდნენ, რადგან უკრაინაში ომი არ იქნებოდა! ხოლო თუ იქნებოდა, მაშინ ყველაფერი იმ ძლევამოსილი გამარჯვებით დასრულდებოდა, როცა 700 ათასმა ქართველმა არა ამერიკული დოლარების, არამედ სახელისა და დიდების მოსახვეჭად იბრძოლა!

**სტალინს, როგორც ბელადს,** სიცოცხლეში იმის თქმა ვერავინ გაუბედა — პარტია თქვენ მაგივრად ჩვენ უნდა ვმართოთო! სააკაშვილი კი ისეა დემორალიზებული, შეშინებული და დადედლებული, ნაცები ერთმანეთს ხოცავენ — **ლიდერი არა მე უნდა ვიყო და არა — მეო!**

სტალინმა ციმბირის ჯურღმულები ვაჟკაცურად გამოიარა და უზარმაზარი იმპერია შექმნა, ხოლო სააკაშვილმა კოლუმბიის უნივერსიტეტის ექვსთვიანი კურსები გაიარა, **ამერიკელების ნომრიან „ძაღლისშვილად“ იქცა და შექმნა კაცების გამაუპატიურებელთა პარტია, რომლის მსგავსი ბინძური სადამსჯელო ძალა თვით ნერონის, კალიგულასა და ჰელიოგაბალის ეპოქის რომსაც არ ახსოვს!** აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ციხეში მოხვედრის დღიდან მოყოლებული, **სააკაშვილი ტირის და ღნავის — ცუდად ვარ, ვკვდები, საზღვარგარეთ გამიყვანეთ და მიმკურნალეთო!**

და მაინც მთავარი კითხვა, რომლითაც წინამდებარე წერილი დავიწყეთ — მიშას რა?

**მიშას რა და — სტალინის შურისძიება, რომელსაც მზისქვეშეთში ვერავინ ვერასოდეს დაემალა!**

**ტროცკი ბელადის წერაყინმა დაადუმა!**

**სააკაშვილს ის ნაგავი დაადუმებს, რომელიც ისტორიის ქარბორიამ მას უკვე მიაყარა!**

***დიტო ჩუბინიძე***

## მიშას რა? ★



# სვიმონ მასხარაშვილი:

# საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი საბჭოთა ავტონომიების უკან არა სტალინი, არამედ ლენინი, ტროცკი და ის მოღალატე ქართველები იდგნენ, რომლებიც 30-იან წლებში ბელადის მტრებად იქცნენ და ამის გამო დაიხვრიტნენ!



**„სტალინი იყო ანტიბაბილონისტი, რომელიც ერთა მშვიდობიანი თანაარსებობის მოდელს ქმნიდა და ყველა პატარა ერის თვითმყოფადობის გადარჩენას ცდილობდა!“**

***საქართველოში ავტონომიების შექმნის თემა ის საკითხია, რაშიც ბევრი სტალინს ამტყუნებს და ხელს ბელადისკენ იშვერს. პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი დაბეჯითებით აცხადებს, რომ სტალინი მსოფლიო ინტერნაციონალური, ღირსეული სისტემის აშენებას გეგმავდა, ავტონომიებს მთელი რუსეთის ტერიტორიაზე ქმნიდა და საქართველოში ცხინვალისა და აფხაზეთის ავტონომია რომ გაეუქმებინა, მთელი რუსული შოვინისტური პოლიტიკური ელიტა აუჯანყდებოდა:***

— როგორც აფხაზეთის, ისე სამუსლიმანო საქართველოს, ანუ აჭარის ავტონომიის საკითხი ჯერ კიდევ მენშევიკების დროს, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციით გადაწყდა. ეს აბსოლუტურად არ უშლიდა ხელს საქართველოს ერთიანობას, რადგან ყველამ კარგად იცის, თუ როგორ იომეს ბათუმისა და საქართველოს გადასარჩენად 1921 წლის თებერვალ-მარტში აჭარლებმა გენერალ **მემედ-ბეგ აბაშიძის** მეთაურობით, ხოლო 1921 წლის 4 მარტამდე სოხუმსა და გაგრას **კონსტანტინე ლაკერბაიას** ხელმძღვანელობით სწორედ აფხაზები იცავდნენ. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი პირველი, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობას მიესალმა, სწორედ აფხაზეთის ბოლო არჩეული მთავარი **გიორგი მიხეილის ძე შერვაშიძე** გახლდათ.

როგორც აჭარლები, ისე აფხაზები, უდიდესი ქართველი პატრიოტები იყვნენ. ერთისა და მეორისთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო როგორც თურქულ-ოსმალური, ისე რუსული სამყარო და საქართველოსთვის თავს სწირავდნენ. ასე რომ, არც აჭარისა და არც აფხაზეთის ავტონომია საქართველოს ერთიანობისთვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა, თანაც ამ საქმეში სტალინის გარევა დიდი უსამართლობა და უმეცრებაა!

**— ბატონო სვიმონ, ცხვინვალის ავტონომიაზე რას იტყვით, რომელიც 1922 წლის აპრილში შეიქმნა?**

— ერთხელ და სამუდამოდ შევთანხმდეთ იმაზე, რომ

## აფხაზეთმა, აჭარამ და ცხინვალმა საბჭოთა ავტონომიების სტატუსი ჯერ კიდევ მაშინ მიიღეს, როცა სტალინი მოსკოვში

## აბსოლუტურად ვერაფერს წყვეტდა და მისი ეროვნებათა სახალხო კომისრობა, ფაქტობრივად, ფიქცია იყო.

სამაგიეროდ, ცეკაში ყველაფერს წყვეტდნენ **ლენინი და ტროცკი.** 1922 წელს ცხინვალის ავტონომიაც სწორედ მათი შექმნილია.

საერთოდ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი საბჭოთა ავტონომიების უკან არა სტალინი, არამედ ლენინი, ტროცკი და ის მოღალატე ქართველები იდგნენ, რომლებიც 30-იან წლებში ბელადის მტრებად იქცნენ და ამის გამო დაიხვრიტნენ. დიახ, **ფილიპე მახარაძითა და ბუდუ მდივნით** დაწყებული, **სერგო ორჯონიკიძით** დამთავრებული, ქართველი ბოლშევიკები სტალინს აუმხედრდნენ, რადგან კრემლში ქართველის წარმატება და პირველკაცობა ვერ აიტანეს. ამიტომ 1922-1923 წლებში და მერეც, 30-იან წლებში, ისინი სტალინის წინააღმდეგ მოწყობილი ყველა შეთქმულების სათავეში იდგნენ. **სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც საინგილო გაასხვისა, სტალინის დაუძინებელი მტერი იყო...**

**— საინგილო საქართველომ რატომ ვერ შეინარჩუნა?**

— ამაში ბრალი მიუძღვით ქართველ მენშევიკებსაც, რომლებმაც საინგილოს საკითხში დიდი უნიათობა გამოიჩინეს. **ამ ტერიტორიაზე თურქულენოვანი ხალხები — დღევანდელი აზერები არ ცხოვრობდნენ და საინგილო დასახლებული გახლდათ ქრისტიანი ან გამუსლიმებული ქართველებით, ასევე უდინებითა და დაღესტნური მოსახლეობით.** ზაქათალის ოკრუგი თბილისის გუბერნიაში შემოდიოდა და 1921 წლამდე იურიდიულად საქართველოს შემადგენლობაში იყო, მაგრამ რეალურად ამ ტერიტორიის ასათვისებლად და იქ საქართველოს ინტერესების გასატარებლად მენშევიკებს არაფერი გაუკეთებიათ. ამ ტერიტორიის ბედი გადაწყვიტა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბ) კავკასიის ბიუროს თავმჯდომარემ **სერგო ორჯონიკიძემ,** რომელმაც საინგილო საბჭოთა საქართველოს ჩამოაჭრა და აზერბაიჯანს მიუერთა. ორჯონიკიძის ამ ნაბიჯს არასოდეს იზიარებდა და იწონებდა სტალინი. **„— ბიჭო, ბარემ ლორეშაც მიგეცა!“ — სტალინის ეს ფრაზა, რომელიც მან სერგო ორჯონიკიძეს სწორედ საინგილოს გადაცემის გამო უთხრა, საბჭოთა ეპოქაში მითის სახით ვრცელდებოდა, მაგრამ ზუსტად ასახავდა მომხდარი უსამართლობის მიმართ სტალინის დამოკიდებულებას.** მოგეხსენებათ, სერგო ორჯონიკიძე, რომელიც პოლიტბიუროს წევრი იყო, 1937 წელს ოფიციალურად არ დაუხვრეტიათ, მაგრამ აშკარად ლიკვიდაცია გაუკეთეს. **ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საინგილოს საკითხი იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც 1937 წელს სერგო ორჯონიკიძის მიმართ დამდგარი უმძიმესი განაჩენი დიდწილად განსაზღვრა.** სტალინისა და ავტონომიების საკითხი იმ პოლიტიკის კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რა პოლიტიკასაც საბჭოთა კავშირი ეროვნულ საკითხში ატარებდა!




## ისტორიკოსის თვალით ★



**— დააკონკრეტეთ!**

— კომუნისტებმა ჩაიბარეს 8-მილიონიანი ჩრდილოეთ კავკასია, რომელიც მოსახლეობის შემადგენლობით, ტრადიციულად, ჭრელი იყო. **არავითარ ერთიან დაღესტანს არასოდეს უარსებია ისევე, როგორც არასოდეს არსებობდა ჩეჩნურ-ინგუშური სახელმწიფოებრიობაც.** ეს ხალხები საუკუნეების განმავლობაში დეცენტრალიზებული, გვაროვნული წყობის პირობებში ცხოვრობდნენ და სახელმწიფო პოლიტიკური ინსტიტუტები — ჯარი, პოლიცია მათ არასოდეს ჰქონიათ! თუ სიმართლე გვაინტერესებს, **შამილმა** ჩრდილოეთ კავკასიელთა ნაციონალისტური სულისკვეთება ბოლომდე მოკლა. შამილი 1859 წელს **გენერალ ბარატინსკის** ჩაჰბარდა, რუსებს შეეკრა, მათგან პენსიას იღებდა და ვორონეჟის თეატრში წარმოდგენებს ესწრებოდა. **ის იმდენად უსაფრთხო პიროვნებას წარმოადგენდა, რუსებმა ბოლოს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მედინაშიც კი გაუშვეს, სადაც 1871 წელს გარდაიცვალა.**

შამილმა ყველაზე ცუდი რაც გააკეთა, ის იყო, რომ კავკასიური ადათი შარიათის კანონებით შეცვალა და მერე ეს კანონებიც რუსულ პენსიაზე დაახურდავა. აი, მაგალითად, კავკასიური ადათით საქართველოს მეფე მთელი ჩრდილოეთ კავკასიის მბრძანებლადაც ითვლებოდა. ერეკლე მეფის შვილიშვილი **ლევან იულონის ძე ბატონიშვილი** გზად ლეკმა ყაჩაღებმა რომ მოკლეს, ლეკებმა ქართველი უფლისწულის მკვლელები მთელ დაღესტანში მოძებნეს და ოჯახებიანად ამოწყვიტეს, რადგან არ შეიძლე-

**„შამილმა ყველაზე ცუდი რაც გააკეთა, ის იყო, რომ კავკასიური ადათი შარიათის კანონებით შეცვალა და მერე ეს კანონებიც რუსულ პენსიაზე დაახურდავა!“**

**„შამილი 1859 წელს გენერალ ბარატინსკის ჩაჰბარდა, რუსებს შეეკრა, მათგან პენსიას იღებდა და ვორონეჟის თეატრში წარმოდგენებს ესწრებოდა!“**

ბოდა კავკასიელის მიერ ქართველთა მეფის შვილიშვილის მკვლელობა.

**ერეკლეს ლეკები კი ებრძოდნენ, მაგრამ ის მაინც თავის ბატონად მიაჩნდათ, ამიტომ პიროვნულად მეფის ოჯახი ხელშეუხებელი იყო. შამილმა აი, ეს ადათი დაანგრია, როცა რუსებს ჩაჰბარდა.** ამან საფუძველი ჩაუყარა მთიელების მაქსიმალურ ინტეგრაციას რუსულ სივრცეში.

ჩრდილოეთ კავკასიაში არ არსებობდა არცერთი ოსური, ჩეჩნური, ინგუშური ან ჩერქეზული და დაღესტნური სკოლა. ეს ხალხი განწირული იყო აბსოლუტური გარუსებისთვის...

## 1924 წელს ხელისუფლებაში მოვიდა სტალინი და რა გააკეთა? საკუთრივ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე შექმნა ავტონომიები, რაც მანამდე რუსეთისთვის აბსოლუტურად უცხო იყო.

მაგალითად, 1924 წელს სტალინმა შექმნა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომია...

**— ანუ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიაზე უფრო ადრე შეიქმნა?**

— ცხადია! მოკლედ, სტალინმა 1924 წლიდან 1936 წლამდე შექმნა **თათრეთის, ყალმუხეთის, ჩუვაშეთის, დაღესტნის, ჩეჩნეთის, ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, უდმურტეთისა** და სხვა უამრავი ხალხის ავტონომია. სტალინმა შორეულ აღმოსავლეთში თვით **ებრაელებსაც** კი ავტონომია შეუქმნა. ისეთ ხალხებსაც კი, მაგალითად, **ევენკებსა** და **ბურიატებს,** რომლებსაც არასოდეს არავითარი სახელმწიფო ინსტიტუცია არ ჰქონიათ, სტალინმა სახელმწიფოებრიობის განცდა შეუქმნა და ავტონომიები დაუფუძნა.

ცნობისათვის, საბჭოთა კანონმდებლობით და სამართლით ავტონომიური რესპუბლიკა ეს იყო სახელმწიფო, მაგრამ არა სუვერენული. საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი — 1924 წლის შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვიდა, სტალინს არცერთ მოკავშირე რესპუბლიკაში არცერთი ავტონომიური ერთეული არ შეუქმნია, სამაგიეროდ, საკუთრივ რუსეთის ტერიტორიაზე შეიქმნა უამრავი ავტონომია, სადაც განათლების მიღება ადგილობრივ ენებზე წარმოებდა.


კომუნისტი
საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო
შაბათი, 20 თებერვალი 1937 წ. № 41 (4843)

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან

მთავრობის ცნობა

გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

ამხანაგ ორჯონიკიძის ხსოვნას

ამხანაგ სერგოს ხსოვნას

# „საინგილოს საკითხი იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც 1937 წელს სერგო ორჯონიკიძის მიმართ დამდგარი უმძიმესი განაჩენი დიდწილად განსაზღვრა!“

# „სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც საინგილო გაასხვისა, სტალინის დაუძინებელი მტერი იყო!“

**— ისე, საქართველოში შექმნილი ავტონომიების გაუქმების შანსი იყო?**

— ჩვენ ერთი რამ ნუ გვავიწყდება — სტალინი ამდენ სლავებს შორის, რომლებიც პოლიტბიუროსა და ცეკაში აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ფაქტობრივად, ერთადერთი ქართველი იყო! ნურც იმას ვიფიქრებთ, რომ პოლიტბიუროსა და ცეკაში მოკალათებული ეს ამდენი რუსი ბრმა, ფანატიკოსი და სტალინზე შეყვარებული იყო. არამც და არამც! პირიქით, ერთი სული ჰქონდათ, როდის ჩაიგდებდნენ ხელში ძალაუფლებას და სტალინის მემკვიდრეობას თავდაყირა დააყენებდნენ.

ამ ადამიანებს ჭკუაც ჰქონდათ, მზაკვრობაც და მოხერხებაც... **ნიკიტა ხრუშჩოვის** მაგალითმა დაამტკიცა, რომ ეს ნამდვილად ასე იყო. არაკაცმა და ჩანჩურამ, რომელსაც დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ და ყველაზე გონებაშეზღუდული ეგონათ, ბოლოს ყველა ჩამოიშორა და ამოდენა იმპერიის სათავეში აღმოჩნდა. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, სტალინს, რომელიც საკუთრივ რუსეთის ფედერაციას ავტონომიებად ანაწევრებდა და მცირე ერებს პარლამენტებსა და ეროვნულ სკოლებს უქმნიდა, ამ დროს თავის სამშობლოში, საქართველოში ოსებისთვის და აფხაზებისთვის რომ ავტონომიები გაეუქმებინა, ამას დანარჩენი რუსეთი როგორ შეხედავდა? სტალინს ეს რომ გაეკეთებინა, დამერწმუნეთ, ის შოვინისტური რუსული ელიტა, რომელიც ასე უხვად გახლდათ წარმოდგენილი საბჭოთა ცეკასა და პოლიტბიუროში, ყველაფერზე წავიდოდა და არ გამოვრიცხავ, ბელადი პოლიტბიუროს სხდომაზეც კი მოეკლათ! ამის გაკეთება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო... მეორე მხრივ,

## სტალინის სიცოცხლეში აფხაზეთის, ცხინვალისა და აჭარის ავტონომიები აბსოლუტურ ფორმალობას წარმოადგენდა, რადგან ხელმძღვანელ თანამდებობებზე ყველგან ქართველი პატრიოტები იყვნენ.

რაც შეეხება ცხინვალის ავტონომიას, ცხინვალს თბილისი მართავდა და ოსური სეპარატიზმის გაღვივებას ვინ წარმოიდგენდა? ანდა 1931 წლიდან 1953 წლამდე აფხაზეთში სეპარატისტული მოძრაობის დაწყება ვინმეს თავში მოუვიდოდა? რაც შეეხება რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ ავტონომიებს, იქ, როგორც გითხარით, ერები იბადებოდნენ!

**— დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ!**

— აი, მაგალითად, დღეს რომ ჩეჩნები ბევრს ლაპარაკობენ და თავიანთ სახელმწიფოებრიობას ხაზს უსვამენ, გასარუსებლად იყვნენ განწირულები და ვინ შეუქმნა მათ ავტონომია? სტალინმა არ შეუქმნა?

**— ჩეჩნები და ინგუშები სტალინს ძალიან ცუდად იხსენიებენ, რადგან 1944 წელს მათი დეპორტაცია მოხდა და ჩეჩნები და ინგუშები ყაზახეთში გადაასახლეს!**

— სტალინმა ისინი გადაასახლა და დაადეპორტირა, რომლებიც რუსული ასიმილაციისთვის იყვნენ განწირული! მოდით, კავკასიურად შევაფასოთ და განვსაჯოთ ეს ყველაფერი — **სტალინმა ჩეჩნებსა და ინგუშებს სახელმწიფოებრიობა შეუქმნა, ეროვნული სკოლა და განათლება მისცა, ეროვნული პარლამენტი მისცა და აი, ასეთი ხალხი მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერს შეეკრა.** გეკითხებით, ჩვეულებრივი, ბიჭური გაგებითაც კი, არის თუ არა ეს ღალატი? დიახ, არის! ჰოდა, მორჩა, დახვრეტით არ დაუხვრეტია, მაგრამ ადგა და ეს ხალხი გაუშვა შუა აზიაში... გაიხსენეთ ევროპაში როგორ იყო — ჰიტლერთან თანამშრომლობის გულისთვის კი არა, გერმანელი რომ იყო და გერმანიას უჭერდა მხარს, ამის გამო 6 მილიონი გერმანელი კენინგსბერგიდან და პოლონეთის ტერიტორიიდან რომ გაასახლეს, ამას რატომ არ იხსენებენ? კენინგსბერგსა და პოლონეთში მცხოვრებ გერმანელებს საბჭოთა კავშირისთვის არ უღალატიათ, ისინი გერმანელები იყვნენ და ომის დროს თავიანთი სამშობლოს მხარეს დადგნენ, რაც სავსებით ბუნებრივი მოვლენა იყო. ხოლო **ხუჩბაროვმა** და სხვებმა, რომლებსაც ფაშისტური სამხედრო წოდებები ჰქონდათ, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში იარაღით დაუწყეს ბრძოლა სტალინს! ამ ღალატს ომის დროს რომელი სახელმწიფო აპატიებდა თავის მოქალაქეს? მთელი რაზმები შექმნეს და აჯანყებას გეგმავდნენ... **სტალინის მიზანი არ ყოფილა რუსული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის რესტავრაცია, სტალინი მსოფლიო ინტერნაციონალური, ღირსეული სისტემის აშენებას გეგმავდა.** ბელადი რუსეთის ტერიტორიაზე ქმნიდა ავტონომიებს და მას რომ საქართველოში ცხინვალისა და აფხაზეთის ავტონომია გაეუქმებინა, მთელი რუსული შოვინისტური პოლიტიკური ელიტა აუჯანყდებოდა!



# „ლავრენტი ბერიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნახევარი პროფესურა, ფაქტობრივად, სოხუმში გადაასახლა და იქ დააფუძნა, რათა აფხაზეთში საქართველოს ინტერესები და ქართული მენტალიტეტი გაეძლიერებინა!“



სტალინმა რუსეთის ტერიტორიას ჩამოაჭრა რამდენიმე სუვერენული სახელმწიფო და შექმნა მანამდე არარსებული **ყარა-ყირგიზეთი,** რომელსაც დაარქვა **ყირგიზეთი,** ხოლო **ყირგიზეთს** დაარქვა **ყაზახეთი** და ასევე შექმნა **კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.** ამით სტალინმა რუსეთიდან გამოყო სამი სუვერენული სახელმწიფო. აღარაფერს ვამბობთ **ტაჯიკეთზე, თურქმენეთსა და უზბეკეთზე,** რომელთა ცალკე სახელმწიფოებად ფორმირების პროცესი ცოტა უფრო ადრე იყო დაწყებული.

**მოკლედ, სტალინი იყო ანტიბაბილონისტი, რომელიც ერთა მშვიდობიანი თანაარსებობის მოდელს ქმნიდა და ყველა პატარა ერის თვითმყოფადობის გადარჩენას ცდილობდა.** 1936-1937 წლებში სტალინმა გააუქმა რუსეთის კომუნისტური პარტიის ბიურო, რომლის ხელმძღვანელიც **ნიკოლაი ეჟოვი** გახლდათ და რომელმაც კინაღამ სტალინი დაამხო. ანუ პარტიული ლიდერშიპი, მოკავშირე რესპუბლიკებისგან განსხვავებით, რუსეთის კომპარტიას არ გააჩნდა. ეს ყველაფერი არის პირდაპირი პასუხი იმაზე, თუ რატომ არ გააუქმა სტალინმა საქართველოში არსებული ავტონომიები!

გავიხსენოთ, რა გააკეთა ლავრენტი ბერიამ, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნახევარი პროფესურა, ფაქტობრივად, სოხუმში გადაასახლა და იქ დააფუძნა, რათა აფხაზეთში საქართველოს ინტერესები და ქართული მენტალიტეტი გაეძლიერებინა.

# „ერეკლეს ლეკები კი ებრძოდნენ, მაგრამ ის მაინც თავის ბატონად მიაჩნდათ, ამიტომ პიროვნულად მეფის ოჯახი ხელშეუხებელი იყო. შამილმა აი, ეს ადათი დაანგრია, როცა რუსებს ჩაჰბარდა!“

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# უფლებადამცველის პროტესტი

## ნიკოლოზ მჟავანაძე:

# გურამ კაშიამ ლგბტ სამკლაური შეიბა, ხოლო შოთა არველაძემ ძაღლის ეჟვანი გამოიბა!

***ცნობილმა ქართველმა ფეხბურთელმა შოთა არველაძემ ბოლო დროს სააკაშვილის ჩანგს ჩამოჰკრა და სოციალურ ქსელებში დაწერა —*** *როგორ მივედით იქამდე, რომ უკრაინაში დაღუპულ გმირებს სათანადოდ არ ვაფასებთო!* ***„უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ზემოხსენებულ განცხადებას ეხმაურება და მიიჩნევს, რომ არველაძე, რომელსაც ნაცების ცხრაწლიანი რეჟიმის დროს არავითარი პროტესტის განცდა არ ჰქონია, არამკითხესავით გამოხტა:***

— უკრაინის ომმა ნიღაბი საქართველოშიც და საქართველოს ფარგლებს გარეთაც ბევრს ჩამოგლიჯა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამაკვირვა ქართველი ფეხბურთელის **შოთა არველაძის** ბოლოდროინდელმა განცხადებამ, რომელმაც „ფეისბუქზე" დაწერა:

> *„თუ ასე უერთმანეთოდ, შეურიგებლად და უმისამართოდ ვაპირებთ ცხოვრების გაგრძელებას, თუ იქამდე მივალთ, რომ დაღუპული ხალხის მშობლებს თანადგომას არ ვაგრძნობინებთ და ღირსეული შვილის აღზრდისთვის მადლობას ვერ ვიტყვით, ფასი არ ექნება ჩვენი შვილებისთვის ნათქვამ არცერთ სიტყვას, შეგონებას და რჩევას. როგორ მივედით იქამდე, რომ ჩვენივე სისხლს და ხორცს თანადგომას ვერ ვუცხადებთ და ხმამაღლა ვერ ვამბობთ, რომ ტრაგედია დაგვემართა. ძალიან უცხოა ეს მდგომარეობა და მიჭირს გაგება მაშინ, როცა ბიჭები იღუპებიან. ჩვენ როგორ ვერ ვარქმევთ ტრაგედიას თავის სახელს და როგორ გვიჭირს ამაზე ლაპარაკი. დიდება გმირებს!"*

მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინათ **შოთა არველაძე** ინგლისური „ჰალსიტიდან" გამოუშვეს, სადაც მან კარიერა ვერ ააწყო. **თუ ამ კაცს პოლიტიკაში მოსვლა უნდა, გამოვიდეს და პირდაპირ თქვას, რომ ნაცია!** ისე, მაგისი ძმა **არჩილ არველაძე** გახარიას პარტიის პრეზენტაციაზე ბრძანდებოდა და სულ არ გამიკვირდება, თუ ისინი გახარიას ან ნაცპარტიის პოზიციას აჟღერებდნენ, რომლებიც, ფაქტობრივად, ერთი ძალაა! შოთა არველაძეს თუ ომი უნდა, სხვის შვილებს გაანებოს თავი, აისხას იარაღი და თავის შვილებთან ერთად წავიდეს უკრაინაში საომრად!

**— საინტერესოა, რა გახდა შოთა არველაძის მიერ მსგავსი განცხადების გაკეთების მიზეზი?**

— ყველაზე უფრო საინტერესო ის არის, **შოთა არველაძის** აზრით, კიდევ რა უნდა გააკეთოს საქართველომ უკრაინის ომთან მიმართებაში?

**შოთა, არამკითხე მოამბესავით რომ გამოხტები და ცხრა წელი რომ ხმა არ ამოგიღია მაშინ, როცა საქართველო სისხლში იხრჩობოდა, ის ვაჟკაცური საქციელი იყო?**

ყოველთვის ვიკავებდი თავს და ვერიდებოდი შოთა არველაძეს, რადგან, ასე თუ ისე, მაინც ცნობილი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ჩვენში დარჩეს, საქართველოს რა ტიტულები მოუპოვა, თავისი თამაშით თავს რომ გვაყვედრის? ვერც ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანა ეროვნული გუნდი და ვერც მსოფლიოს ჩემპიონატზე... **შე დალოცვილო, თუ ასე გული შეგტკივა ქვეყანაზე, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს აგელო იარაღი და დაგეცვა ქვეყანა! ცნობისათვის, შოთა არველაძემ გიორგი დემეტრაძე გაწირა!**

**— როგორ გაწირა?**

— გახსოვთ, ალბათ, ნაძირალა სააკაშვილმა უნიჭიერესი ქართველი ფეხბურთელი **გიორგი დემეტრაძე** რომ დაიჭირა, შოთა არველაძე „მაესტროზე" გამოვიდა და თქვა — დემეტრაძემ თუ კანონი დაარღვია, მაშინ დაიჭირონ, ხოლო, თუ უშვებენ, გამოუშვანო! ანუ შოთა არველაძე ბიკი ყუფვარიას მორალის მატარებელი კაცია — იქითაც ლაპარაკობდა და აქეთაც!

**საქართველოს ძალიან ბევრი კარგი სპორტსმენი, პოეტი, მხატვარი და მწერალი ახსოვს, მაგრამ ზოგიერთებს სამშობლოსთან ისე შეეშალათ, მათ გასვენებაში ოცი კაცის მეტი არ მივიდა!** ასეთებმა ძირითადად პუტჩისტებს დაუჭირეს მხარი და ზოგიერთებმა იარაღიც კი ესროლეს ზვიად გამსახურდიას, რის გამოც დაისაჯნენ... ყურის ძირში დგას რუსის ჯარი და მაინტერესებს, **რამე რომ მოხდეს, შოთა არველაძე და მისთანები რუსებს წინ გადაუდგებიან იარაღით ხელში თუ შოტლანდიასა და თურქეთში მოძუძგავენ და იქიდან დაიწყებენ ტიკტიკს?** თუ ასე შესტკივა გული, რატომ არ უშვებს თავის შვილებს უკრაინაში ან თვითონ რატომ არ მიდის?

**ე.ი. სხვისი შვილები უნდა მოკვდნენ, სხვისმა დედებმა ძაძები უნდა ჩაიცვან და შოთა არველაძემ და მისნაირებმა „დიდება უკრაინას!" იძახონ?**

რა უნდათ, რას უჩხიკინებენ ამ საცოდავ ქვეყანას, რით ვეღარ გამოინელეს ამ სააკაშვილის სიყვარული?

**— შოთა არველაძე სააკაშვილის ფანკლუბის წევრია?**

— არ ვიცი, ვისი ფანკლუბის წევრია, მაგრამ **2007 წლის 7 ნოემბერს, როცა სააკაშვილმა მთელი საქართველო ცემა, შოთა არველაძის ძმა არჩილ არველაძე გამობრძანდა და ნაცების მხარდამჭერი ე.წ. ინტელიგენციის შეკრებაზე სამარცხვინო განცხადება გააკეთა** — არ ვეთანხმები უცხო ძალების მიერ დაგეგმილ გადატრიალებას და ხელისუფლებას ვუჭერ მხარსო! ეგ კიდევ არაფერი, **შოთა არველაძე გამოვიდა და განაცხადა** — რუსეთში სამუშაოდ მიწვევენ, მაგრამ არ წავალ, რადგან რუსეთი ოკუპანტიაო! შოთა, შე დალოცვილო, თუ ეგრე ფიქრობ და მიგაჩნია, რომ, ვისაც საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს, იქ არ უნდა წახვიდე და ფული არ უნდა აკეთო, მაშინ იმ თურქეთში რატომ აიწყვე კარიერა, რომელსაც საქართველოს ძირძველი ტერიტორიები ანექსირებული აქვს?

**— ცხადია, ოკუპაციასა და ანექსიას შორის დიდი განსხვავებაა, ოკუპაცია შესაძლოა, დაასრულო, მაგრამ ანექსიას რას უშველი?**

— ჰოდა, ამიტომაც მაინტერესებს, შოთა არველაძეს ტაოკლარჯეთის შესახებ არაფერი გაუგია? თურქეთმა ტაო-კლარჯეთი რომ წაგვართვა, ქართველები რომ გაატყავა და რჯული შეუცვალა, შოთა არველაძეს ასეთ თურქეთში თამაში არ რცხვენოდა? რა უნდა, ბოლოს და ბოლოს, რა გმირებს არ ვაფასებთ? **აბა, ხელისუფლებამ რა გააკეთოს, თვითმფრინავებით, ბემებით და ორკესტრით გაუშვას ჩვენი ბიჭები უკრაინის ომში, რათა მთელი საქართველო გაშავდეს?** აი, ეს უნდა სწორედ შოთა არველაძეს, რომელიც არის სულით და გულით ნაცი... მოკლედ, **გურამ კაშიამ** თავი მოიჭრა და ლგბტ სამკლაური შეიბა, ხოლო **შოთა არველაძემ** ძაღლის ეჟვანი გამოიბა და სააკაშვილის ქადაგად იქცა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***









სააკაშვილის რეჟიმის პატიმარი გიორგი დემეტრაძე ციხიდან გამოსვლისას.



**„შოთა, თუ მიგაჩნია, რომ, ვისაც საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს, იქ არ უნდა წახვიდე და ფული არ უნდა აკეთო, მაშინ იმ თურქეთში რატომ აიწყვე კარიერა, რომელსაც საქართველოს ძირძველი ტერიტორიები აქვს ანექსირებული?"**

*როგორც „გენერალისიმუსის“ 2022 წლის 36-37 -ე ნომერში ვწერდით, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, **1945 წლის დეკემბერში,** ქართული საბჭოთა პრესის ფურცლებზე გაცოცხლებულ იქნა თემა **საქართველოს სამართლიანი ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ თურქეთის რესპუბლიკის მიმართ.** აშკარა იყო, რომ დიდი სამამულო ომის ტრიუმფატორი, გენერალისიმუსი **იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი** სერიოზულად ფიქრობდა **საქართველოს იმ ტერიტორიების დაბრუნებაზე, რომლებიც თურქეთს ჰქონდა მიტაცებული.** ამაზე ისიც მეტყველებს, რომ **თურქეთისადმი საქართველოს კანონიერი პრეტენზიების შესახებ** ვრცელი წერილი დაწერეს და გაზეთ „კომუნისტის“ 1945 წლის 14 დეკემბრის ნომერში გამოაქვეყნეს დიდმა ქართველმა ისტორიკოსებმა — **სიმონ ჯანაშიამ** და **ნიკო ბერძენიშვილმა,** რომლებიც **სტალინთან** დაახლოებული მეცნიერები იყვნენ. ქართული ისტორიოგრაფიის კორიფეთა მიერ საბჭოთა პრესაში დაბეჭდილი წერილი — **„თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“** ჩვენ „გენერალისიმუსის“ 2022 წლის 36-37 -ე ნომერში გამოვაქვეყნეთ, რადგან მიგვაჩნია, რომ იგი აქტუალობას მოკლებული არც დღეს გახლავთ. ის კი არა, თანამედროვე მსოფლიოში დაწყებული ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის ფორმირების პირობებში **შესაძლოა, უფრო აქტუალურიც კი არის, ვიდრე 77 წლის წინათ.** დღეს კი იმავე საკითხთან დაკავშირებით გთავაზობთ კიდევ ერთი დიდი ქართველი მამულიშვილის, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესად აღიარებული და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი **ექვთიმე თაყაიშვილის** წერილს **„თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს მიწაზე“**, რომელიც პირველად გაზეთ „კომუნისტის“ 1946 წლის 25-26 მაისის ნომრებში გამოქვეყნდა.*

**მიუძინებელი ისტორია ★**



*ექვთიმე თაყაიშვილი*

# თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს მიწაზე

ამ რამდენიმე თვის წინათ გამოქვეყნდა ორი წერილი თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწების შესახებ, ერთი აკადემიკოსების **ს. ჯანაშიას** და **ნ. ბერძენიშვილისა** გაზეთ „კომუნისტში“, მეორე — აკადემიკოს **არნ. ჩიქობავასი** გაზეთ „Заря Востока“-ში. სიმართლეს ჰღაღადებენ. დაათვალიერეთ სამხრეთ-საქართველოს ტერიტორიის ის ნაწილები, რომლებიც სახეში აქვთ ავტორებს და ისინი თვითონვე გეტყვიან, დაგიმოწმებენ, თუ რომელი ერი ცხოვრობდა მრავალ საუკუნეთა მანძილზე მათს წიაღში. საკმარისია მარტო გაიხსენოთ მათს სივრცეზე გადარჩენილი, ზოგი ნანგრევების სახით, ზოგიც მთლიანი ძეგლები, საკმარისია გადაათვალიეროთ ამ მხარის შემსწავლელ ქართველ და არაქართველ მეცნიერთა, არქეოლოგთა შრომები, და ურწმუნონიც კი დარწმუნდებიან, რომ **ეს მხარე სამყოფი ადგილებია ძველ დროს მჭიდროდ მოსახლე და ახლა ნარჩენებად გადაქცეულის ჩვენი ღვიძლი ძმებისა — ქართველი ერის შვილებისა.**

ამ მხარის თაობაზე მომთხრობ შრომათა ავტორები ცნობილნი არიან ყველასათვის და დიდი ავტორიტეტიც აქვთ მოპოვებული. მოთავისეობას, მიმკერძველობას მათ ვერავინ დასწამებს. საკმარისია გავიხსენოთ **დ. ბაქრაძე** თავისი **„აჭარა-გურიაში მოგზაურობით“, გ. ყაზბეგი** თავისი „Три месяца в Турецкой Грузии“-თ, **პავლინოვი** „Материалы по археологии Кавказа“-ს III წიგნი მოთავსებული ნაკვლევებით, **უვაროვა** ამავე „Материалы по Археологии Кавказа“-ს IV წიგნში მოთავსებული ნაკვლევებით, **ნ. მარი** თავისი „Григорий Хандзтиский“-თა, და „Путешествие по Кларджию, Шавшию и Имерхеви“-თა, და თვალწინ აღგემართებათ ამ მხარეში **ქართველის სისხლითა და ოფლით შექმნილი მატერიალური კულტურა, მისი ნაშთები, რომლებიც ვერ გადარეცხა ვერც დროთა სრბოლამ და ვერც უცხო ტომთა დაუნდობელმა ხელმა.**

ჩემი თვალით მინახავს საქართველოსაგან მიტაცებული — ოსმალეთის ხელით ძალით მოგლეჯილი ეს მხარე. ჩემი თვალი გადამივლია იმ ძეგლებისათვის, რომლებითაც თამამად შეუძლია იამაყოს ჩვენმა ერმა. სამი ექსპედიცია მომიწყვია ამ მხარის შესასწავლად და თითოეული ექსპედიციის შედეგები მიკარნახებდა, **შენი მშობელი ერისაა ეს მხარეო, მის ღვიძლ შვილთა ნაღვაწევია აქ ყველაფერიო.** ქართველი ერის შვილები არასდროს არ შერიგებიან თავისი ეჭვშეუტანელი დიადი კულტურის ერთი მთავარი კერის დაკარგვასა და მუდამ ელოდებოდნენ მისი დაბრუნების დროსა, სამართლიანობის გამარჯვებასა.

თვალწინ მიდგას ბუმბერაზი, საოცარი **ბანა,** რომლის შესწავლის შესაძლებლობა მომცა პირველმა ჩემმა ექსპედიციამ 1902 წელს, და სხვა ძეგლები, ამავე დროს ჩემს მიერ ნანახი. თვალწინ მიდგას მრავალი თვალსაჩინო ძეგლი, **კოლა-ოლთისში** მობნეული, რომელთა შესწავლის შესაძლებლობა მომცა 1907 წელს მოწყობილმა მეორე ექსპედიციამ. არაჩვეულებრივ ძეგლებს შემახვედრა მესამე ექსპედიციამ 1917 წელს. მომეცა საშუალება შემესწავლა: **იშხანი, ოშკი, ხახული, ექექი, პარხალო, ოთხთა ეკლესია და ყველა ჩამოთვლილის გვერდში ამომდგარი სხვა ძეგლები, მიმობნეული ტაო-თორთუმ-ისპირში, ჭოროხის ხეობაში.**

**ბანა, იშხანი, ოშკი, ხახული** შექმნილია ცნობილი ქართველი მოღვაწეების მესვეურობით. მათ რიგში მოსჩანან **გრიგოლ ხანძთელი,** მისი მოწაფე **საბანი, გრიგოლ ოშკელი,** ტაო-კლარჯეთის მფლობელი დიდი **დავით კურაპალატი** და სხვანი მისნი ნათესავნი. ძეგლები ბრწყინავენ თავისი სახოვნების ძნელად ასაწერი სილამაზით, ფრაგმენტებად გადარჩენილი კედლის მხატვრობით, ბარელიეფებით, ჩუქურთმებით. **ძეგლები ჰღაღადებენ უმაღლეს წერტილამდე მიღწეულ ხელოვნებაზე. ეს ხელოვნება კი გვიჩვენებს ამ ძეგლების შემცველ ტერიტორიაზე მათი შემქმნელი ერის მრავალსაუკუნიან ცხოვრებას.** ყოველი შემსწავლელი ამ ძეგლებისა მხოლოდ ერთს დაასკვნის, რომ ისინი ქართული ძეგლებია, ქართული ხელოვნების ნაკვეთია, და ხალხის ნარჩენებიც ამ ძეგლების ტერიტორიაზე ქართველის იერით იცქირებიან.

ჟამთა უკუღმართობის წყალობით სადავოდ გამხდარი ჩვენი სამხრეთი მხარის ნაწილები, თურქი მფლობელების სიხარბით, თურქეთზე მიკერებული რომ უდავოდ ჩვენია, ჩვენი ერის ღვიძლი შვილების სისხლითა და ოფლითაა მორწყული, ამის დასასაბუთებლად უნდა მივცე ჩემს თავს ნება და მოკლედ მაინც გაგაცნოთ, თუ ყველა არა, ნაწილი მაინც ჩვენი ძეგლებისა, რომელთა წარწერები მრავალი საუკუნის სიღრმიდან **მხოლოდ ქართულით ჰღაღადებენ** და არა სხვა რომელიმე ენით და მოგვითხრობენ **მხოლოდ ქართველთა ღვაწლზე.**

საქართველოსაგან ჩამოკვეთილსა და თურქეთის მოძალადე მფლობელების მიერ თურქეთის საზღვრებში ძალით მოქცეულს მიწა-წყალს შეადგენს **ყოფილი არტაანის (არდაგნის) ოლქი** მთლიანად, ესე იგი ზემოწელი მტკვრის ხეობისა და ზემოწელი ფოცხოვის ხეობისა, **მთლიანად ყოფილი ოლთისის ოლქი** და საზოგადოდ **მდინარე ჭოროხის მთელი ხეობა,** აჭარის გამოკლებით. სამმა ჩემმა ექსპედიციამ ამ მხარეში მაჩვენა ქართული ხუროთმოძღვრების აუარებელი ნაშთები ეკლესიების სახით.

როგორც ყველგან საქართველოში, ისე აქაც, გავრცელებულია ჩვეულებრივი ოთხკუთხედი ეკლესიები, მომრგვალო საკურთხევლით, ანუ აბსიდით აღმოსავლეთ მხარეზე. ამ ნაგებობათა საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ: არტაანის ოლქში — **ეკლესიები ვაშლობისა, ჩაისისა, ჩომარდოსა, ამპურისა, კოპისა და სანსუთისა,** და ოლთისის ოლქში — ეკლესიები სოფლებისა: **კერ-ლუხისა, სეხჩერისა, ჯიჯორისა, უკიამისა, ზარდანესისა, ტახტაკრანისა, კოპისა, პერნიავისა და ოთხთა ეკლესია კოლაში.** სიმრავლე ასეთი ეკლესიებისა მოგვითხრობს, თუ როგორ მჭიდროდ იყო დასახლებული მხარე.

ამ მხარეში მრავლადვე მობნეული ციხეების საშუალებით ქართველი მოსახლეობა რამდენიმე საუკუნის მანძილზე მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ადრე — სხვა შემოსეულ მტრებს, და შემდეგ — **მოზღვავებულს თურქთა ლაშქრებს,** რომელთა ძალას ვერ გაუმაგრდა ბიზანტიის იმპერია და დაეცა, ხოლო ევროპის სხვა სახელმწიფოები მას შიშის თვალით უცქეროდნენ.

**არტაანის რაიონში, ველისციხეში,** რომელსაც დიდი, მტკიცედ შემოზღუდული ადგილი უჭირავს, დაცულია თლილი ქვით ნაგები და ქართული კედლის მხატვრობის შემცველი X საუკუნის ეკლესია. ეკლესია დაცულია აგრეთვე **მგელციხეშიაც.** პატარაა, მაგრამ კოხტაა, ჩუქურთმებით შემკობილი. პატარა ეკლესია დაცულია არტაანის ოლქში, მტკვრის ნაპირას მდებარე **ქაჯის ციხეში.** თვით არტაანის უზარმაზარ ციხეშიაც ყოფილა ეკლესიები. ფრაგმენტები მათი წარწერებიანი ქვებისა ჩაშენებულია თურქებისაგან განახლებულს ციხის ზღუდეში. ერთი ფრაგმენტის წარწერა თამარ მეფის ასულის **რუსუდან დედოფლის** დროს ეკუთვნის. ისპირის მხარეს **ოთხთა ეკლესიის** ზემოთ თითქმის მიუვალ კლდეზე აღმართულ ციხეშიაც აღმოჩნდა ეკლესია, რომლის კედელზე, შიგნით, დახატულია, როგორც წარწერა გვამცნობს, ვინმე **მურვან კავკასიძე და მისი მეუღლე.** წარწერა იკითხება ასე: **„სახელითა ღმრთისაითა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისაითა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისაითა, მე მურვან კავკასიძემან აღვაშენე ეკლესიაი ესე მეორედ განსრულებით სალოცველად სულისა...“** გაგრძელება წარწერისა არაა გადარჩენილი. მხატვრობა XV საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ეკლესია ყოფილა **კალმახის ციხეშიაც,** რომლის მდებარეობა არ ყოფილა გამორკვეული ჩვენს ექსპედიციამდე. მისი ნანგრევები, ოლთისის რაიონში, **სოფელ ნიაკომის მახლობლად** მდებარე მაღალ კლდეზეა აღმართული. ეკლესიები ციხეებში გვეუბნებიან, რომ მათი შემცველი ციხეები ქრისტიანთა მოსახლეობისა ყოფილა და მათი წარწერების ქართულობა კიდევ მოწმობს, რომ ეს ქრისტიანთა მოსახლეობა ქართველობა ყოფილა და არა სხვა ვინმე.

**კალმახის ციხის** კლდის ქვემოთ, სოფელ ნიაკომის ხევში აღმოჩნდა ლიტერატურაში სრულიად უცნობი **ვაჩიგორის დიდი მონასტერი — ლავრა.** მთავარი შენობა წარმოადგენს გუმბათიანს სამნავიან ბაზილიკას მრავალი ეკვტერის შემცველს უფრო მეტად დასავლეთით. ამ მხარეზე დაცულია სამრეკლო და მთავარ ტაძარზე სხვადასხვა

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*






„გენერალისიმუსი“ 2022 წლის №36-37

# თურქეთის მიერ მიტაცებულ

## ექვთიმე თაყაიშვილი

### მიუქინეზელი ისტორია ★

**დასაწყისი მე-5 გვერდზე**

დროს მიშენებული სამი ეკვტერი, ანუ მცირე ეკლესია. უკანასკნელი მათგანი, როგორც წარწერა უჩვენებს, აშენებულია მეფის **დიმიტრი III** ასულის **რუსუდანის** მიერ 1306 წელს. ირგვლივ მონასტერს ახლავს კიდევ ხუთი პატარა ეკლესია და ამას გარდა სხვა მრავალი შენობა. აქვე ჩვენ ვნახეთ და ფოტოგრაფიულად გადმოვიღეთ ექვსი საბუთი, მღვიმეში ნაპოვნი.

ჩვენმა ექსპედიციამ აღმოაჩინა კიდევ მეორე უცნობი მონასტერი ოლთისის რაიონში, **კინეპოსი,** სადაც დაცულია ოთხი ეკლესია. სამი სხვა ეკლესია და სამრეკლო დანგრეულია. მთავარი ეკლესია ოთხფასადიანი, ლამაზი და ჩრდილოეთის მხრით მიშენებული აქვს სამი ეკვტერი.

დიდი მონასტერი — ლავრა ყოფილა **სოფელ ლექსორშიც,** ბარდუსის მაღალ კლდოვან ნაპირზე. მთავარი ეკლესია უბრალო ბაზილიკაა, მოდიდო, სამი ეკვტერით; ორი ეკვტერი სამხრეთითაა და ერთი — ჩრდილოეთით; მთავარი ეკლესიის შორი-ახლოს ხუთი პატარა ეკლესიაა. ყველა ესენი კარგად არის დაცული.

ოთხაფსიდიანი ეკლესია, კინეპოს მთავარ ეკლესიას გარდა, გვხვდება კიდევ **სადგურ კოსორის** მახლობლად მდებარე მღვიმეში, **ბანას** დიდი ტაძრის ჩრდილოეთით. მაგრამ, ამ მხრივ ყველაზე უფრო შესანიშნავია ოლთისის რაიონის **ბობიქგურის ეკლესია,** გარედან მრავალწახნაგოვანი, თლილი ქვით შემოსილი ყოფილა. ეხლა კი თითქმის მთლად შემოძარცულია გარედან. კანკელზე გამოკვეთილი ყოფილა წმიდანების რელიეფური სახეები. გადარჩენილია მხოლოდ ერთი წმიდანის სახე, ვგონებ **წმიდა ნიკოლოზისა.** გადარჩენილია წარწერა ირგვლივ, ასომთავრული, რომელშიაც მოხსენებულია ვინმე მიქელ ცოდვილი. ეკლესიის შინაგანი ასახულობა მომხიბლავია. ეს ნაგებობა IX-X საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

ჩემმა ექსპედიციამ ამ მხარეში კიდევ აღმოაჩინა **სამაბსიდიანი ეკლესიები.** ერთი სამაბსიდიანი ეკლესია ვნახეთ **კოლის ოთხთა ეკლესიის სოფელში,** მეორე — **სოფელ ორთულში,** მესამე — **ბაღჩალოკიშტაში** და მეოთხე — **სოფელ ისსში** თორთუმის ტბის ნაპირას.

ორაბსიდიანი ეკლესიაც არის ნახული კოლის რაიონის სოფელ **ფარსადანში.** ოლთისის რაიონში, ბანას მახლობლად, სოფელ **ჩამხუსში,** მცხეთის ჯვარის გეგმის მსგავსი ეკლესიაც შემხვდა. მცხეთის ჯვარისებურად ოთხაბსიდიანია, აბსიდთა შორის შექმნილ კუთხეებში თითო ოთახის ჩართვით. მხოლოდ აქ გარედან ამ ოთახების ასახულობა სამწახნაგოვანია, მცხეთის ჯვარში კი ორწახნაგოვანი. სამწუხაროდ, ეს ნაგებობა ისეა დანგრეული, რომ სხვა მეტი ვეღარა ითქმის რა მასზე.

ამ მხარეში გავრცელებული მრგვალი ტიპის ეკლესიები უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენენ ექვსაბსიდიან ნაგებობას, გარედან გუმბათოვანსა და მრავალწახნაგოვანს. ასეთებია ეკლესია **კიაგმისალტში,** ბანას მახლობლად, **ოლთისის ციხის ეკლესია და გოგიუბას ეკლესია,** არტაანის რაიონში, **სოფელ ველის** მახლობლად. უკანასკნელი პირველებისაგან განირჩევა თავისი სიმაღლით და მდიდრული შემკულობით, ბარელიეფებით შიგნით, რომელთაგან ცოტაღაა გადარჩენილი. მრგვალი ტიპისვე ეკლესიაა **სვეტშიაც, ართვინის მახლობლად.** ამავე ტიპისაა ორიგინალური გეგმის **ტაძარი ტაოსკარისა,** ბურჯებ შორის სენაკების მქონე. უნიკუმია. მისი მსგავსი და თვალწარმტაცი ნაგებობა ჯერ არსად არის ნახული.

მრგვალი ტაძრის ტიპის დამგვირგვინებლად გვევლინება **ბანას დიდებული კათედრალი,** ბუმბერაზი თავისი აღნაგობით, მთასავით მაღლა აზიდული. აღაშენა **„ხელითა კვირიკე ბანელისათა“ ადარნასე II კურაპალატმა,** ქართველთა მეფედ კურთხეულმა 898 თუ 899 წელსა. **კვირიკე ბანელი** პირველი ეპისკოპოსი იყო ბანისა.

ბანის კათედრალისთანა ტაძრის საერთო გეგმას მის აგებამდე ტაოში უკვე იცნობდნენ VI საუკუნის ნახევარში აგებულის იშხნის ტაძრის სახით. იშხნის ტაძრის სახე განმეორებულ იქნა ამავე საუკუნეში **ვალარშაპატში.** მაგრამ ეს ტაძრები მოკლე დღისანი აღმოჩნდნენ. მალე დაინგრნენ. ასევე მალე მოეღო ბოლო 1000 წელს აშენებულს **გაგიკის ტაძარს ანისში.** აშენების დღიდან ორ საუკუნესაც ვერ გადააბიჯეს თავისი მთლიანობით. **ბანა კი მრავალი საუკუნე არსებობდა და იარსებებდა კიდევ, რომ თურქთა მფლობელების ბარბაროსულ ხელს ციხე-სიმაგრედ არ გადაექცია რუს-ოსმალოს ომის დროს, XIX საუკუნის პირველ ნახევარში.**

ბანის კათედრალის უდრეკელობა გამოიწვია იშხნის ტაძრის გეგმაში შეტანილმა გენიალურმა ცვლილებამ. ცვლილება შემდეგში გამოიხატა: ხუროთმოძღვარმა ჩვეულებრივი სვეტების ნაცვლად აღმოსავლეთის და დასავლეთის აბსიდებით შექმნილ კუთხეებში ამოიყვანა სამსამი სართული ოთხკუთხა პატრონიკეთა. ისინი ტაძარს ბურჯობასაც უწევდნენ თავიანთი სიმტკიცითა და გამძლეობით, და ამშვენებდნენ კიდეც. 1843 წელს ბოტანიკოს კოხს უნახავს **ბანის ტაძარი** ჯერ კიდევ კარგად შენახული, თვალი მოსჭრია და ასეთი სიტყვები აღმოხდომია: **„მთელ აღმოსავლეთში, მხოლოდ კონსტანტინეპოლის გამოკლებით, რაც კი მინახავს უეჭველად ეს ყველაზე ულამაზესია და უმშვენიერესი“.** სხვანაირად რომ ვსთქვათ: **კოხის** აზრით აია სოფია თუ შეედრება ბანას, თორემ სხვა არც ერთი ძეგლი აღმოსავლეთისა. ბანის ტაძარი უსათუოდ სიამაყეა ქართული ხუროთმოძღვრებისა და ქართული ისტორიისა.

თურქეთის მფლობელებისაგან მითვისებულს ამ ჩვენს მხარეში შეხვდებით საერთოდ მარტო ზევით დასახელებულს ტაძრის ტიპებს კი არა, სხვა მრავალრიცხოვან ტიპებსაც. იშვიათი არაა აქ წმინდა სამნავიანი ბაზილიკა. **სოფელ ურთაში** შენახულია ამ ტიპის კოხტა პატარა ტაძარი, ექვსსვეტიანი, უძველესი, ჩემის რწმენით, ქართული წარწერით. სვეტები, იონური რიგის, თავისი შესაფერისი სვეტისთავებით დამთავრებული, მსხვილია და დაბალი, უკვარცხლეკი და ორ მწკრივადაა მოცემული, მწკრივში სამი სვეტის აღმართვით. მათზე დამყარებული კამარები სამ ნავად ჰყოფენ ნაგებობის სივრცეს. ნაგებობა არ ასცდენია თურქ მესვეურთა ხელით დამახინჯებას. გარედან ზედნაშენი კედლებით ციხედ გადაუქცევიათ. მისი შიგნითა შუა ამაღლებული ნაწილისათვის ხის იატაკის დამატებით პატრონიკეს სახე მიუციათ და ნაწილობრივ სვეტის თავები დაუფარიათ. ძეგლი V საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

სამნავიანი ბაზილიკა უფრო დიდი და ძველი დაცულია **ჩილდარის რაიონში, წყაროსთავში.** V-VI საუკუნეს ეკუთვნის. XI საუკუნეში ეს ტაძარი გადაუკეთებიათ გუმბათიან ნაგებობად სამი მკლავის მიშენებით მის აღმოსავლეთ ნაწილზე.

ამგვარივე ბაზილიკა ყოფილა **კლარჯეთში,** ჩვენი სასიქადულო ოქრომქანდაკებლების **ბეშქენისა და ბექას** სამშობლო **ოპიზაში** და IX საუკუნის პირველ მეოთხედში გუმბათიან ტაძრად გადაუკეთებია **აშოტ I კურაპალატს,** რომლის ქანდაკება თვით ტაძრის გამოსახულებით ხელში, ტაძრის გადაკეთებულ კედელზე, „ფრიად საჩინო ადგილზე“, როგორც **გიორგი ყაზბეგი** მოწმობს, ყოფილა გამოკვეთილი. ახლა ეს ქანდაკება, თბილისში ფოტოგრაფ **ერმაკოვის** ხელით მოტანილი, საქართველოს მუზეუმში ინახება.

უფრო მკვეთრი სახის სამნავიანი დიდი ბაზილიკები დაცულია **ისპირის დასავლეთ ნაწილში, ოთხთა ეკლესიის მახლობლად, და პარხალში.** უკანასკნელი აუგებინებია 973 წელს **დავით მაგისტროსს,** შემდეგ **კურაპალატს.** ამაზე წინათ, როგორც ჩვენმა ექსპედიციამ გამოარკვია, აშენებული ყოფილა **ოთხთა ეკლესიის ბაზილიკა,** რომელიც შემდეგ შეუძერწინებია თლილის ქვით **დავით დიდ კურაპალატს,** რასაც თვით წარწერა ამტკიცებს. აქ ყოფილა დიდი მონასტერი. დაცულია სხვადასხვა ნაგებობანი, მათ შორის დიდი სემინარია — საოსტიგნეც. ეს ადგილი ერთი აკვანთაგანია ჩვენი კულტურის მოღვაწეებისა. აქედან არიან გამოსულნი **ექვთიმე მთაწმინდელი, არსენ ნინოწმინდელი** და სხვა ცნობილი პირნი. საერთო გეგმა ოთხთა ეკლესიის ბაზილიკისა ურბნისის ბაზილიკის გეგმას მოგაგონებს.

**პარხლის ბაზილიკა** ოთხთა ეკლესიის ბაზილიკის განმეორებაა. მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი, პარხლის ბაზილიკისათვის თავიდანვე დაურთავთ პატრონიკე და შემდეგ ამის მიბაძვით ამგვარივე ოთხთა ეკლესიის უკვე აგებული ბაზილიკისათვის დაუმატებიათ. პარხლის ბაზილიკა თავიდანვე თლილი ქვით აუგიათ და შეუმკიათ მრავალნაირი ლამაზი ჩუქურთმებით, უფრო მცენარეთა და ცხოველების სურათებით. ბაზილიკის შუა ნავის კამარნარი უჩუქურთმოდაა დატოვებული, მაგრამ შემკობილია შემდეგ დროში პოლიხრომის საშუალებით **იოანე ქართლის პატრიარქისა** და სხვების მიერ. შერჩენილია ნაშთები ძველი მხედრული წარწერისა, რომელიც ტაძრის მოხატვას ეხება. ტაძრის წარწერაში აღსანიშნავია ერთი მოვლენა: შიგ ლაზურ-მეგრული სიტყვები ურევია.

❖❖❖

საქართველოს სამხრეთ ნაწილში გვხვდება ტაძრის კიდევ ერთი გახშირებული ტიპი. ეს არის ცენტრალური გუმბათიანისა და ბაზილიკის ტიპის ტაძრის სინთეზი. ეს სინთეზი საქართველოში უფრო ადრე გვხვდება (IX-X საუკუნეებში), ვიდრე ბიზანტიაში. **ამ სინთეზმა, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე თურქეთის მიერ მითვისებულს სამხრეთ საქართველოს ნაწილებში, დიდი შედევრები მოგვცა. მისი ნიმუშებია იშხანი, ოშკი და ხახული.** მომხიბლავია მათი ასახულობა და სამკაულობა — ფრესკები, ჩვენამდე ბევრი მათგანი ფრაგმენტებად მოღწეული, ჩუქურთმები მრავალფეროვანი და ბარელიეფები.

**იშხანი.** ეს კათედრალის ტაძარი აგებულია ტაოში, ოლთისის წყლის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ ტაფობზე. ტაძარი აუგია გრიგოლ ხანძთელის მოწაფეს, საბანს IX საუკუნის პირველ ნახევარში.

თავისი გეგმით **იშხნის კათედრალი** წარმოადგენს ერთნავიანი ბაზილიკისა და ცენტრალურ გუმბათიანი ტაძრის სინთეზს, და ამის გამო ჯვრის სახოვნებას. დასავლეთი მკლავი წაგრძელებული აქვს. ტაძრის სწორედ ეს ნაწილი უკვე თაღჩაქცეული და შემდეგ კრამიტგადახურული მაჰმადიანებს თავისი მიზგითისათვის გამოუყენებიათ. ტაძრის აღმოსავლეთი ნაწილი და გუმბათი საკმაოდ კარგად არის დაცული. კათედრალი ნაგები ყოფილა მსუბუქად ნათალი აგურისებური ქვით, ხოლო 1032 წელს, **ბაგრატ IV** დროს შეუძერწიათ მოყვითალო ნათალი ქვით. **ბაგრატ IV** შვილის **გიორგი II** დროს კიდევ გადაუკეთებიათ სამხრეთის კარის ბჭე. დასავლეთის ეკვტერი აღარ არსებობს. მოსპობილია აგრეთვე რესტავრაციისას, ჩემის აზრით, გალერეიაც, სამხრეთის მხრით სამი ფრონტონით, იმგვარი, როგორიც დაცულია ოშკის ტაძარში. კარ-სარკმლები ტაძრისა შემკობილია ფრიად ლამაზი ჩუქურთმებით, რომლის მსგავსიც **ბაგრატ IV** დროის სხვა ძეგლებში იშვიათი არ არის. განსაკუთრებით ლამაზია სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფასადები. რესტავრაციისას, ე. ი. 1032 წელს, გუმბათს ცოტა ცვლილება განუცდია. მისი რვა გლუწახნაგი შეუმკიათ გარედან ლამაზად მოჩუქურთმებული თითო მრგვალი სარკმლით. ამ სარკმლების გამოკვეთის დროს დაუზიანებიათ, თითქოს დაუკოდიათო, წინასწარმეტყველთა სურათები და მათი წარწერები.

იშხნის კათედრალი ცნობილია კარგი ფრესკებით. ტყუილად კი არ არის აქ გავრცელებული ასეთი გამოთქმა: **„საქებარია სილამაზე ოშკის ტაძრისა, ადგილ-მდებარეობა ხახულისა და მხატვრობა იშხნისა“.** მხატვრობა კედლებზე მთლად წარხოცილია. გუმბათში სხვათა შორის გადარჩენილია ლამაზი სტილის **ჯვართამაღლება და ზაქარია წინასწარმეტყველის ხილვის ფრესკა** — ეტლები, რომლებშიაც შებმულია ფერადი ცხენები. საკურთხეველში მარჯვნივ, კანკელის ზემოთ, თაღზე მედალიონში ყოფილა დახატული ქალი, რომლის ძლიერ წაბღალული წარწერა მე ასე აღვადგინე: **„(ნანა მეუღლე მირიანისა მცხეთისა) დედოფალი ნინოის მიერ განათლებული“.**

ჩრდილოეთის ეკვტერში ვიპოვე უძველესი წარწერა, 27-სტრიქონიანი, შესრულებული ლამაზი ასომთავრულით. წარწერის რვა უკანასკნელი სტრიქონი სრულიად წარხოცილია, დანარჩენები — მკრთალად მოსჩანან, მაგრამ წაკითხვა მათი მაინც შევძელი.

**იშხანში** გადარჩენილია კიდევ კედლის მხატვრობის სამი წარწერა, თვით სურათები წარწერებში მოხსენებული პირებისა კი აღარ არსებობენ. პირველი წარწერა დასაწყისში დაზიანებულია. გაგრძელება იკითხება ასე: **„(... ძე ბ) ბაგრატ კურაპალატისაი...“ მეორე წარწერა — „ბაგრატ (მაგისტ) როსი, ქართველთა მეფე“.** მესამე წარწერა იკითხება სრულად: **„ბაგრატ ერისთავთ ერისთავი: ძე ადარნესე კურაპალატისაი“.**

ეს წარწერები მოგვითხრობენ ადრეულ ბაგრატიონებზე, რომელთა ჩამომავალნი XIX საუკუნემდე საქართველოს სახელმწიფოებრიობის მესვეურობას ეწეოდნენ და XI საუკუნის დასასრულიდან XIII საუკუნის პირველ მეოთხედამდე ჩვენი „ოქროს ხანის“ შემქმნელები გახდნენ.

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ბევრი რამ ცხადი ხდება მისგან უსამართლოდ ჩამოკვეთილ მხარეში მობნეულის ძეგლების გადათვალიერებით.

**ოშკი.** ეს ტაძარი თავისივე სახელის სოფელშია აღმართული, თორთუმის წყლის მარცხენა მხარეს, თორთუმის ტბაში ჩამდინარე თორთუმის წყლის შესართავის მახლობლად მაღალ მთაზე. სოფელ ოშკის მცხოვრებნი ქართველი მაჰმადიანნი არიან. მთის კალთა, საცა ტაძარია მოთავსებული, საგანგებოდ მო-





# ჩვენს მიწაზე

## ჟამთა უკუღმართობის წყალობით სადავოდ გამხდარი ჩვენი სამხრეთი მხარის ნაწილები, თურქი მფლობელების სიხარბით. თურქეთზე მიკერებული უდავოდ ჩვენია, ჩვენი ერის ღვიძლი შვილების სისხლითა და ოფლითაა მორწყული...




ვაკებულია. კალთას აღმოსავლეთით ღრმა ნაპრალი საზღვრავს. **ოშკი ბანას შემდეგ პირველხარისხოვანი ძეგლია ტაოში თავისი ბუმბერაზობით, ჰარმონიული სტილით და სამკაულადობით. თანატოლია ქუთაისის ბაგრატის ტაძრისა, მცხეთის სვეტიცხოვლისა და კახეთის ალავერდისა.** მას უსათუოდ გავლენა მოუხდენია ქუთაისის კათედრალის აგებაზე.

ოშკის გეგმა რამდენადმე განმეორებაა **იშხნის ტაძრის** გეგმისა, მხოლოდ დიდი მასშტაბით. აქაც სინთეზი გვაქვს ცენტრალურ გუმბათოვანი ტაძრისა და ერთნავიანი ბაზილიკის ერთის ჩრდილოეთის ეკვტერით. მაგრამ **ოშკსა და იშხანს** შორის განსხვავებაც არის. ოშკს ჯვრის აღმოსავლეთისა, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავები სამ-სამი აბსიდით უთავდება, იშხანს კი სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავები ოთხკუთხედად აქვს დათავებული. **ოშკს** ამშვენებს ორი პატრონიკე, ერთი დასავლეთით და მეორე ჩრდილოეთით ეკვტრის ზემო სართულში. პატრონიკე დასავლეთ მკლავში ოთხი ლამაზი კამარით გამოიმზირება. გარედან დასავლეთის მკლავის სამხრეთს გრძელი ლამაზი გალერია ახლავს თავისი ოთხი ფრონტონით. ტაძარი თავიდანვე აგებულია ლამაზად ნათალის მოყვითალო წითელი ქვით. ძეგლი დაზიანებულია: ჩანგრეულია მისი დასავლეთის მკლავისა და ნაწილობრივ აღმოსავლეთის მკლავის თაღი. მაღალი გუმბათი კი, დამყარებული დიდს, მრგვალს, მაღალს და მდიდრულად შემკულს ოთხ სვეტზე, კარგადაა დაცული. საკმარისად დაცულია ტაძრის ფასადებიც. **ტაძრის სამხრეთი მკლავი ჯამედაა გამოყენებული და ამით დაუშნოებულია.**

ოშკი მოხატული ყოფილა. ცოტაოდენი მხატვრობა გადარჩენილია საკურთხეველში. დაცულია მხატვრობის ერთი წარწერა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ტაძარი მოხატულია **ჯოჯიკ პატრიკის** საფასით 1036 წელს. მხატვრობის სტილი მონუმენტურია. გადმოღებულია მისი ორი ნიმუში: წმ. თეკლა და ერთი ანგელოზი.

ტაძარი აგებულია X საუკუნის მეორე ნახევარში. მისი აგება დამთავრებულია 961 წელს. აღმშენებელნი არიან **ტაოს ბაგრატიონები, ძენი ადარნესე III კურაპალატისა** — ბაგრატ **ერისთავთ ერისთავი** (966) და მის **ძმა დავით III** — ოშკის აშენებისას ერისთავთ ერისთავი და მაგისტროსი, შემდეგ დიდი კურაპალატი ტაოსი, ტაოს მეფე, რომელიც მიიცვალა 1001 წელსა. ორთავე მაშენებელი ტაძრისა ოთხს სხვადასხვა წარწერაშია მოხსენებული. დაცულია ერთისაც და მეორის ბარელიეფიც ვედრებისა, ბარელიეფის აქეთ-იქით ტაძრის გამოსახულებით ხელში თვითეული. ვედრების ქანდაკებას აწერია: **„წმინდაო ღვთისმშობელო და წმინდაო ნათლის მცემელო ადიდენ მეფენი ჩუენნი, გლახაკნი შენნი, მშენებელნი ამის წმინდისა (ეკლესიისა) და კუალად წარუმართენ მეფეთა ჩვენთა ბაგრატსა და დავითს“.**

**დავით მაგისტროსის** ბარელიეფს აწერია: **„მონაი ღმრთისაი მეფე ჩვენი დავით მაგისტროსის ადიდენინ ღმერთმან ორთავე ცხოვრებათა მაშენებელი ამის წმინდისა ეკლესიისაი — ამინ“.**

**ოშკს** სხვა წარწერებიც აქვს. ერთი აღმოსავლეთის აბსიდის სარკმლის თავზე ასომთავრული ხუთსტრიქონიანი, ერთი ათსტრიქონიანი — დასავლეთის მკლავის სამხრეთის კარის თავზე. ერთიცა და მეორეც საყურადღებოა, მაგრამ ყველაზე დიდი და ძვირფასი წარწერა დაცულია სამხრეთის მკლავის კარის თავზე. ის თორმეტსტრიქონიანია. ჯერ მოხსენებულია ტაძრის მაშენებელი **ბაგრატ ერისთავთ ერისთავი და დავით მაგისტროსი,** მერმე მშენებლობის ხელმძღვანელი, ალბათ მნე, **გრიგოლი** და შემდეგ თუ რამდენი კალატოზი, ხურო და მჭედელი მუშაობდა ტაძრის აგებაზე, რამდენი ღვინო, რკინა, ხორბალი იხარჯებოდა, რამდენ საქონელს ამუშავებდნენ, საიდან მოჰქონდათ ქვა და რამდენი სხვა მუშა ხელი მოქმედებდა. ამ წარწერაში მოხსენებულის **გრიგოლის** ბარელიეფიც შერჩენია ტაძარს სამხრეთ გალერიაში, დიდს ექვსწახნაგიან სვეტზე. ეს სვეტი საუცხოოდ არის შემკობილინაირნაირი ჩუქურთმებით, ბარელიეფებით, გორელიეფებით და ქანდაკებებით. თვით გრიგოლი ვედრების ქანდაკების ქვემოთ არის მუხლმოდრეკით წარმოდგენილი. აქვე არის **წმინდა ნინოს ქანდაკებაც.** სხვა წახნაგებზე წარმოდგენილი არიან სხვადასხვა დასი ანგელოზთა და სხვათა შორის **გორელიეფები კოზმანისა და დომიანესი.**

ოშკის სამხრეთ ფასადს ამშვენებს ხუთი მთავარანგელოზის ქანდაკება და ბარელიეფები არწივისა, ირმებისა და სხვათა, ჩრდილოეთ ფასადს ქანდაკებანი — ლომისა და კუროსი, დასავლეთის ფასადს — ბიუსტი **სიმეონ მესვეტისა.**

ოშკის სამკაულადობაში უხვად გამოყენებულია პოლიხრომი. წარწერები, ორს ამოჭრილს გარდა, წითელი საღებავით არის შესრულებული. სხვათა შორის საღებავით შესრულებულია ზევით მოხსენებული თორმეტსტრიქონიანი წარწერაც. ატმოსფერული მოვლენებისაგან დაუცველ ადგილებში წარწერა გადასულია, დაცულში კი შენახული.

**ოშკი** დიდი მონასტერი ყოფილა. მის გარშემო სხვა შენობების დიდძალი ნანგრევებია. სამხრეთით ორი მცირე ეკლესიაა თლილი ქვით ნაგები. ერთს ქვა მთლად შემოძარცვული აქვს. ოშკის ჩრდილოეთის მკლავს უშუალოდ ეკვრის ერთი საყურადღებო ნაგებობა — სამნავიანი ბაზილიკა სამხრეთიდან აღმოსავლეთისაკენ გაგრძელებული თავისი ორწყება სვეტებით და ამ სვეტებზე დამყარებული კამარებითურთ. ამ ნაგებობის ჩრდილოეთის კედელი ეკვრის ჩამოჭრილ მთასა და გლუვია. ნაგებობა თაღჩამოქცეულია. სხვა მისი ნაწილები დაცულია. ასეთი ნაგებობა კლარჯეთის სხვა მონასტრებშიაც გვხვდებოდა — **ოპიზასა, შატბერდსა და ტბეთში.** ჩემის აზრით, ნაგებობა საკრებულო სახლს წარმოადგენდა, სახელდობრ სემინარიის ბინას, სადაც განათლებულ ხალხს ამზადებდნენ. ამაზე მიგვითითებს ზევით დასახელებულ ნაგებობასთან ჩრდილოეთით მოდგმული უშველებელი კვადრატული, გვირგვინიანი დარბაზი. გვირგვინი ტრომპებზეა ამოყვანილი. დარბაზი თავისი გამშუქებელი გვირგვინითურთ კარგადაა დაცული. თავისი კონსტრუქციით მოგვაგონებს ჩვენში აქ-იქ სოფლებში გადარჩენილს დარბაზებს. ეს დარბაზი, თქმა არ უნდა, გაწესებული იყო საბიბლიოთეკოდ და ხელნაწერების გადასაწერად. ამ დარბაზის გვირგვინის ქვეშ 978 წელს **თორნიკე ერისთავის** შეკვეთით გადაწერილია ქართული დაბადება და მრავალი სხვა წიგნი, რომელნიც ეხლა ათონის ივერიის მონასტერში ინახება და თავისი წარწერებით მოწმობენ, რომ ოშკში არიან გადაწერილნი. მიქელ მოდრეკილის საგალობლების წიგნი ამ დარბაზში უნდა იყოს გადაწერილი.

ოშკი ერთ-ერთი აკვანია ჩვენი ღვაწლმოსილი ძველი განათლებული ხალხისა და ამასთანავე წყაროც ყოფილა ჩვენი მწიგნობრობისა. ქართველთა განათლების ამ მნიშვნელოვან ცენტრს, ახლა უპატრონოდ მიგდებულსა და ნაწილობრივ გაპარტახებულს(?) — *see below*

**ხახული.** ეს ტაძარიც თავისი სახელის სოფელშია აღმართული. სოფელს უჭირავს ხახულის წყლის ვიწრო ხეობა ექვსი კილომეტრის მანძილზე. ეს მდინარე ჩადის **თორთუმის წყალში** მარცხენა მხრიდან. მის შესართავთან ახლოს ჩვეულებრივი ტიპის ეკლესიაა, რომლის გასწვრივ თორთუმის წყალზე ერთმალიანი და ცალკამარიანი ქვით ნაგები ძველი ხიდია გადებული. თორთუმის წყლის სათავეში ციხეა, ციხის ქვემოთ კიდევ **სოფელი თორთუმი. თორთუმის ციხის მახლობლად მთაზედ სოფელ ექექში (ეკეკი)** დაცულია ლამაზი, გუმბათიანი ეკლესია, თლილის ქვით მკვიდრად ნაშენი. ახლა მიზგითად არის გადაქცეული. აშენებულია XI საუკუნის დასაწყისში. ჩვენი ექსპედიციის დროს თორთუმის ხეობა ექვს უბნად იყოფოდა. მცხოვრებთა რიცხვი აღწევდა 14 ათასს, რომელთა შორის 79 სომეხი აღმოჩნდა. დანარჩენნი მესხები იყვნენ. **ხახული ბაღნარით მოცული მთავარი სოფელია თორთუმის ხეობაში.** ხახულის ტაძარს ქვიტკირის გალავანი არტყია. გალავანი დანგრეულია. გალავანში მოქცეულია ხუთი მცირე ეკლესიაც. ერთი — მთავარი ტაძრის სამხრეთითა და მეორე ჩრდილოეთით — მთლად დაუზიანებელია. გალავანში შესასვლელი კარი სამხრეთით არის მოთავსებული. მის თავზე სამრეკლო ყოფილა დაშენებული. თურქეთის ხელში ჩავარდნილს ჩვენი ქვეყნის მთელს მხარეში არც ერთი ტაძარი არაა ისე დაცული, როგორც ხახულში. **ტაძარი გამუსლიმანებულ ქართველებს მიზგითად გადაუკეთებიათ, ამგვარად ზრუნვის საგნად გაუხდიათ და კარგად შეუნახავთ.**

ხახული სინთეზია ცენტრალურ გუმბათოვანი ტაძრისა და სამნავიანი ბაზილიკისა. ამით განირჩევა **იშხნისა და ოშკისაგან.** ეს წინ წადგმული ნაბიჯია ოშკის აშენების შემდეგ მე-10 საუკუნის დასასრულს, **დავით კურაპალატის** დროს, ხახულიც, როგორც ქართლის ცხოვრება მოწმობს, უეჭველად, დავით კურაპალატის ბრძანებით არის აშენებული. ხახულის ერთი წარწერა გვიან მიშენებულის გალერიის სვეტზეა ამოკვეთილი და იკითხება ასე: **„სახელითა ღმრთისაითა მე საბა სალირის ძემან შევსწირე წისქვილის ადგილი წმიდასა ღმრთის მშობელსა და დავდევ აღაპი სალოცველად თავის ჩემისა და მშობელთა და ძმათა ჩემთათვის და ვინც შეუცვალოს შეჩვენებულ არს ღვთისა პირითა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა. ამინ“.** ტაძრის აგების დროის წარწერები აღმოჩნდა გუმბათის სვეტების კვარცხლბეკებზე, მაგრამ, როგორც ეტყობა, ესენი იხსენიებენ მხოლოდ კალატოზებს. ამ წარწერებს ჩვენ ვკითხულობთ ასე: **„გურსი, ადერკ, მიქელ, ჯავახ, თვალშავ, გიორგი და თვალის, მუხწის (მხწს)“.**

**ხახულს** თავდაპირველად ჰქონია ორი ეკვტერი — ერთი დასავლეთით და მეორე ჩრდილოეთით. ეს უკანასკნელი სანოვაგისა და ნივთების საწყობი ყოფილა. ამას მოწმობს ეკვტერში ნახული ნაქვევრალი ადგილები და მისი უაბსიდობა. XIII-XIV საუკუნეებში ხახულისათვის სამხრეთით მიუშენებიათ გალერია სამი ღია თაღით. ამ მინაშენს დაუფარავს ხახულის სამხრეთის სარკმელი, დაუფარავს ნაწილობრივ სვეტებით ბარელიეფები და ჩუქურთმები, მოთავსებული ტაძრის ერთადერთ შესასვლელზე. კარგად მოსჩანან აქ ბარელიეფი — პეტრე მოციქული გასაღებით, მამალი ლომი ხარის მბრდღვნელი, ნიანგი იონას მყლაპავი და ლომი. ტაძარი მოხატულია. საკურთხეველში წარმოდგენილი მოციქულები უფრო კარგად არიან დაცულნი, ვიდრე სხვა ადგილების ფრესკები. ტაძრის სამხრეთის მკლავის ორმაგი სარკმელი შემკულია ორმაგი სვეტებით, დამშვენებულია პოლიხრომით შექმნილი მარაოთი, რომლის შუაში მოთავსებულია საუცხოო ბარელიეფი — კურდღლის მბრდღვნელი არწივი. ყველაფერი ეს ერთად სამხრეთ ფასადს თვალწარმტაცობას უქმნის. მშვენიერია ტაძრის დასავლეთი ფასადიც. ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი ნაკლებად არის შემკული, თუმცა სარკმელი ამ მხრითაც ლამაზია.

**ხახული — დიდი ლავრა — მონასტერი,** ეს კიდევ ერთი აკვანია ჩვენი ქვეყნის ძველ, განათლებულ შვილთა. აქედან არიან გამოსულნი **გიორგი მთაწმინდელი,** მისი ხელმძღვანელი და ნათესავი **გიორგი მწერალი,** რომელიც იყო მწერალთა ზედა მთავარი **ბაგრატ III** დროს. აქ გაჩაღებული იყო ხელნაწერების გადაწერაც. სხვათა შორის, აქ გადაიწერა XI საუკუნის დამდეგს თარგმანებანი იოანე ოქროპირისა. ეს ხელნაწერი სინას მთაზეა დაცული. აქედანაა გამოჩენილი **იოანე ეპისკოპოსიც, იოანე ხახულელი,** რომელსაც **ოქროპირს** უწოდებდნენ. მისი გადაწერილი სადღესასწაულო დაცულია იერუსალიმის მახლობლად ჯვარის მონასტერში.

ამრიგად, თურქეთის საზღვრებში მოქცეულია საქართველოს ტერიტორიის სამხრეთი მხარე, ჩემს მიერ და სხვა მეცნიერთაგან დავლილი, და **ჭანეთლაზეთი,** რომელიც, მე არა, მაგრამ სხვა ჩვენ მეცნიერთ დაუვლიათ, შეუსწავლიათ ისტორიულად, ეთნოგრაფიულად, რასიულად და კულტურულად, საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მისი შვილების შრომით, ოფლითა და კულტურული უნარით იყო აყვავებული. **საქართველოს აღნიშნული ნაკვეთის უხეში ძალით ჩამოშორებას ქართველი ერი არასოდეს არ შეჰრიგებია და არც შეურიგდება.**

### ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირ-ინგლის-ამერიკის კოალიციამ ფაშისტური გერმანია და იმპერიალისტური იაპონია დაამარცხა და მთელი ევროპა იხსნა მონობისაგან, დადგა ჟამი მრავალი ისტორიული უსამართლობის გამოსწორებისა.

რეაქციის შეიარაღებული ძალების განადგურებაში მთავარი როლი საბჭოთა ქვეყნის წითელმა არმიამ და მისმა შემქმნელმა და ხელმძღვანელმა **გენიოსმა დიდმა სტალინმა შეასრულეს.** ქართველმა ერმა, საბჭოთა კავშირის სხვა ერებთან ერთად, დიდი მსხვერპლი გაიღო ამ ომში, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენს გამარჯვებაში. **მისი კანონიერი მოთხოვნები თურქეთის მიმართ უნდა დაკმაყოფილდეს.**

## ჩემი თვალით მინახავს საქართველოსაგან მიტაცებული – ოსმალეთის ხელით ძალით მოგლეჯილი ეს მხარე. ჩემი თვალი გადამივლია იმ ძეგლებისათვის, რომლებითაც თამამად შეუძლია იამაყოს ჩვენმა ერმა!

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## სტალინის დროს ჩინეთი ჩვენი გულითადი მეგობარი იყო. ყველგან გაისმოდა ვანო მურადელის სიმღერა „მოსკოვი-პეკინი“ – „სტალინი და მაო გვისმენენ...“ მაგრამ ხელისუფლებაში ხრუშჩოვის მისვლის შემდეგ ეს მეგობრობა თვალსა და ხელს შუა მტრობაში და ლამის საომარ კონფლიქტშიც კი გადაიზარდა. სად ვეძებოთ ამ მტრობის ფესვები?

მე-20 ყრილობის გადაწყვეტილებებმა მართლაც ნეგატიური როლი შეასრულა არამხოლოდ ჩინეთთან, არამედ ბევრ კომუნისტურ და მუშათა პარტიასთან ურთიერთობაში. მთავარი საკითხი, რომელშიც მოსკოვმა და პეკინმა თანხმობას ვერ მიაღწიეს, საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში პირველობა გახლდათ. **სტალინის სიცოცხლეში ეს საკითხი, ბუნებრივია, არ წამოჭრილა, რადგან მისი ავტორიტეტი მსოფლიო კომუნიზმში მეტისმეტად მაღალი იყო. მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ მაო ძე-დუნმა გადაწყვიტა** (და საამისოდ ყველა საფუძველი ჰქონდა), **რომ მსოფლიო კომუნიზმის ცენტრს პეკინში უნდა გადაენაცვლა. ხრუშჩოვს და მის ლაქიებს კი ამასთან შეგუება არ სურდათ.**

რაც შეეხება „მტრობის ფესვებს“, ისინი ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში ჩაისახა. ბელადი დიდი ყურადღებით და გარკვეული მღელვარებით აკვირდებოდა მოვლენების განვითარებას მაშინ თითქმის მილიარდიან ჩინეთში. მან თვითონ შეუწყო ხელი ხელისუფლების სათავეში მაოს მისვლას, მაგრამ იმავე დროს ეშინოდა გიგანტური ჩინეთისა, რომლის მოსახლეობა ხუთჯერ აჭარბებდა საბჭოთა კავშირისას. ცნობილია, მაგალითად, რომ სტალინმა კატეგორიული და ფრიად უხეში უარით უპასუხა მაოს წინადადებას ორი ქვეყნის ერთიან კომუნისტურ სუპერ-სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ, რადგან კარგად ესმოდა, რომ მსგავსი გაერთიანება სულ მოკლე ხანში „გადაყლაპავდა“ საბჭოთა კავშირის ყველა ერსა და ეროვნებას. ასევე კატეგორიულად უარყო სტალინმა მაოს თხოვნა მისთვის ბირთვული იარაღის მიწოდების შესახებ. რომ არა ეს უარი, ადვილი წარმოსადგენია, რა საფრთხეს შეუქმნიდა მთელ მსოფლიოს ჩინეთი მომდევნო — 60-70-იან წლებში.

**სხვადასხვა წყაროებიდან ცნობილია აგრეთვე, რომ სტალინი დიდად არ ენდობოდა მაოს, მიაჩნდა, რომ მას „მეორე ტიტოს“ როლის შესრულება შეეძლო, ჩინელ კომუნისტებს კი ნიადაგ „მარგარინის კომუნისტებს“ უწოდებდა, რითიც ხაზს უსვამდა არა ინტერნაციონალური, არამედ ნაციონალური იდეისადმი მათ ერთგულებას.**



ცნობილია ისიც, რომ სტალინი დიდხანს აყოვნებდა მეგობრობის შესახებ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულების ხელმოწერას. **1949 წლის 16 დეკემბერს მაო პირველად ჩამოვიდა მოსკოვში ი.ბ. სტალინის 70 წლის იუბილის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად და ხელშეკრულების ხელმოსაწერად. საზეიმო სხდომაზე ის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და საპატიო სტუმარი გახლდათ, მაგრამ სტალინთან მიღებას მთელი ორი თვე ელოდებოდა. ამდენივე ხანი დასჭირდა დოკუმენტებზე ხელმოწერასაც.**

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის დათბობა კორეაში ომის დროს დაიწყო. 1950 წლის ივნისში პროამერიკულმა სამხრეთკორეულმა მთავრობამ კომუნისტურ ჩრდილოეთ კორეასთან ომი დაიწყო. სამხრეთ კორეელებს მყისვე დაუჭირა მხარი აშშ-ის რეგულარულმა არმიამ. ფხენიანის რეჟიმი ბეწვზე ეკიდა. მდგომარეობა მაშინ მილიონობით ჩინელმა მოხალისემ იხსნა.

## როგორ მოხდა, რომ მე-20 საუკუნეში, ევროპის ცენტრში, უმაღლესი კულტურის მქონე გერმანიაში ანტისემიტიზმი ყველაზე საშინელი ფორმით დაკანონდა და მილიონობით ებრაელის ფიზიკური განადგურება გამოიწვია, ჰიტლერული რეჟიმის კრახის ერთ-ერთ ფაქტორად ხომ სწორედ ეს პოლიტიკა იქცა?

ჰოლოკოსტი (ამ ტერმინით აღინიშნება ებრაელთა მასობრივი ჟლეტა მეორე მსოფლიო ომის წლებში) მართლაც იქცა ფაშისტური გერმანიის დამხობის ერთ-ერთ მიზეზად და მესამე რაიხს, არსებითად, ბუმერანგივით დაუბრუნდა. **გააფთრებული ანტისემიტიზმის გამო გერმანიას ბევრმა სახელმწიფომ აქცია ზურგი, მათ შორის აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა, სადაც ებრაულ კაპიტალს ძლიერი პოზიციები ჰქონდა.** შედეგად მხურვალე ანტიკომუნისტები **ჩერჩილი და რუზველტი** იძულებული გახდნენ, ნაციზმთან საბრძოლველად ბოლშევიკებს დაკავშირებოდნენ.

ე. წ. ებრაული პრობლემა გერმანიაში 1933 წლამდე, ანუ ხელისუფლებაში ნაციონალ-სოციალისტების მოსვლამდე არსებობდა. მე-18-19 საუკუნეებიდან მოყოლებული, ებრაელები აქ საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში სულ უფრო მზარდ გავლენას იძენდნენ. ხოლო 30-იანი წლების დასაწყისში, ფაქტობრივად, დომინირებდნენ გერმანულ კულტურაში, პრესაში, განსაკუთრებით კი ეკონომიკასა და ფინანსურ საქმიანობაში. **შეიძლება სრულიად დარწმუნებით ითქვას, რომ ბანკების და სამრეწველო საწარმოების დიდ უმრავლესობას ებრაული ეროვნების პირები ფლობდნენ ან მართავდნენ. ისინი იყვნენ აგრეთვე გაზეთების, თეატრების, ტიპოგრაფიების უმეტესობის მფლობელები.**

ჰიტლერის პარტია, რომელსაც ოფიციალურად გერმანიის მუშათა ნაციონალ-სოციალისტური პარტია ეწოდებოდა, ამ გარემოებას ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე ფართოდ იყენებდა პროპაგანდისტულ მუშაობაში. ეს პროპაგანდა მიმდინარეობდა დევიზით: **„გერმანელო მშრომელო, შენ ებრაელი კაპიტალისტის გასამდიდრებლად ღვრი სისხლს.“** სხვაგვარად რომ ვთქვათ, ებრაელობის წინააღმდეგ ბრძოლა გამოკვეთილად სოციალურ ხასიათს ატარებდა, ეს იყო ბრძოლა არა ებრაელთან, როგორც უცხო ერის წარმომადგენელთან, არამედ **ებრაულ კაპიტალთან.** უნდა ითქვას, რომ ამან დიდად შეუწყო ხელი ნაცისტური პარტიის გარშემო გერმანელი ხალხის უმრავლესობის კონსოლიდაციას და ხელისუფლებაში მის მოსვლას. **პარტიის რიგითი წევრებიც და ბობოლა ნაცისტებიც თვლიდნენ, რომ ეს ბრძოლა დროებითია, იგი ებრაული საწარმოების თუ ბანკების ნაციონალიზაციასთან ერთად დასრულდება და ისტორიის არქივს ჩაბარდება.**

1933 წლის იანვარში ნაცისტები ხელისუფლებაში მოვიდნენ (პარლამენტური გზით), ორი წლის შემდეგ კი გამოქვეყნდა ე. წ. ნიურნბერგის კანონები, რომლებმაც ებრაული ეროვნების პირებს მთლიანად წაართვა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებები.

**ებრაელობასთან ბრძოლამ ბიოლოგიური ხასიათი შეიძინა. წამოიჭრა გერმანიიდან ყველა ებრაელის დეპორტაციის საკითხი. ჰიტლერმა და მისმა უახლოესმა თანამოსაგრეებმა, პირველ რიგში, ჰენრიხ ჰიმლერმა** და **ალფრედ როზენბერგმა** „ებრაული საკითხის საბოლოოდ გადაჭრის“ გეგმა წამოაყენეს. ამ ბუნდოვანი ფორმულირების ქვეშ სიკვდილის ბანაკებში ებრაელთა მასობრივი განადგურება იგულისხმებოდა. ეს სხვა ნაცისტი ხელმძღვანელების მხრიდან პროტესტის ფონზე მოხდა. მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრი **იოახიმ ფონ რიბენტროპი** მიიჩნევდა, რომ ასეთი მიდგომა დამღუპველია რეჟიმისათვის. იგი აცხადებდა, რომ **„მსოფლიო ებრაელობასთან ბრძოლა კიდევ ერთ ძლიერ სახელმწიფოსთან ბრძოლას უდრის.“** ნაცი № 2 **ჰერმან გერინგიც** წინააღმდეგი იყო. სხვათაშორის, გერმანული ავიაციის შტაბში ათობით ოფიცერი-ებრაელი მსახურობდა (ბუნებრივია, შენიღბული). სამხედრო ავიაციის დარგში გერინგის მოადგილე **ფელდმარშალი მილხი** კი თვითონაც ებრაელი გახლდათ. ეს გესტაპომაც იცოდა და, ბუნებრივია, ჰიტლერმაც, მაგრამ გერინგი მეტისმეტად დიდი ავტორიტეტით და ფიურერის განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდა. როდესაც იმპერიის უშიშროების სამმართველოს უმაღლესმა ჩინებმა გერინგს მის შტაბში ებრაელთა მოძალებაზე მიუთითეს, რაიხსმარშალმა უხეშად უპასუხა: **„ჩემთან, ლუფტვაფეში, მე თვითონ ვსაზღვრავ, ვინ ებრაელია და ვინ — არა.“**

უკანასკნელი სიტყვა ებრაელთა საკითხში **ჰიტლერს** ეკუთვნოდა, რომლის ცხოველური ანტისემიტური პრინციპები ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაწერილ **„მაინ კამპფში“** გამომჟღავნდა. 1935 წლის შემდეგ ებრაელთა გენოციდის შეჩერება უკვე შეუძლებელი გახლდათ. მისი შედეგები საყოველთაოდ ცნობილია. ისიც კარგად ვიცით, რა დაუჯდა ეს თავად ჰიტლერს.



## 1945 წელს, პოტსდამის კონფერენციაზე ტრუმენმა და ჩერჩილმა სტალინს აცნობეს, რომ ამერიკელები ატომურ ბომბს ფლობენ. სტალინმა ეს ინფორმაცია მშვიდად მოისმინა, სახეზე კუნთიც კი არ შესტოკებია. სულ მალე, ყოველგვარი საომარი აუცილებლობის გარეშე, ატომური ბომბები იაპონიის ქალაქებში ხიროსიმასა და ნაგასაკიში ჩამოყარეს. რამდენად მართებულია ვერსია, რომ მშვიდობიანი იაპონური ქალაქები სტალინის შესაშინებლად დაიბომბა?



**ეს ვერსია ერთადერთ მართებულ ვარაუდად მეჩვენება.** ხიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვა მაშინ, როდესაც იაპონიამ ომი უკვე წააგო, პოტსდამში დაწყებული შანტაჟის გაგრძელება გახლდათ, რომლის მსხვერპლი ათიათასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანი შეიქნა. პირველი ბომბი ხიროსიმაზე **1945 წლის 6 აგვისტოს** ჩამოაგდეს. დაიღუპა 140 ათასი მშვიდობიანი მცხოვრები. მაგრამ შანტაჟისტებს ეს ეცოტავათ და 9 აგვისტოს მეორე ატომური თავდასხმა ქალაქ ნაგასაკიზე განხორციელდა. დაიღუპა 75 ათასი ადამიანი. აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს ეშინოდათ, რომ სტალინი მეორე მსოფლიო ომში ბრწყინვალე გამარჯვებისა და მთელი აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობის შემდეგ ამაზე არ შეჩერდებოდა და ადრე თუ გვიან ევროპის კონტინენტის დანარჩენი ნაწილის შემოერთებასაც ეცდებოდა. უნდა ითქვას, რომ ამ შიშს რეალური საფუძველი ჰქონდა. **მიქოიანის** მოგონებებიდან ცნობილია, რომ **1945 წელს პოლიტბიუროს სხდომაზე სტალინმა წინადადება შემოიტანა, „წითელი არმიის განმათავისუფლებელი ლაშქრობა ლა-მანშამდე გაეგრძელებინათ“,** ხოლო მოლოტოვის შეკითხვაზე — **რა საბაბი ექნებოდა მსგავს ლაშქრობას,** დაუდევრად მიუგო: **„საბაბი ყოველთვის მოიძებნება“.** სტალინის მიერ შეთავაზებული „ლაშქრობა“ გადაიდო და, შესაძლოა, სწორედ იაპონიის დაბომბვის გამო. შემდგომში სტალინიც დაეუფლა ატომურ ბომბს, პარიტეტს მიაღწია და მის მიერ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში წამოწყებული „მშვიდობისთვის ბრძოლა“ სხვა არაფერი იყო, თუ არა ახალი „განმათავისუფლებელი“ ომის უვერტიურა.



ასავალ-დასავალი
2022 წლის 12 დეკემბერი, № 41-42 (165-166)
სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# ქეთევან გაგნიძე: რისი იმედი უნდა მქონდეს, როცა სასამართლო და პროკურატურა თაღლითი ნუნუ გინტურის მოკავშირეა?



*ექიმების **ქეთევან გაგნიძისა** და **გიორგი მეზუკეს** ოჯახი ერთ-ერთია იმ მრავალთა შორის, რომელიც თაღლითობაში მხილებულმა **წყეულმა ნუნუ გინტურმა** დააზარალა და ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია. ახალგაზრდა წყვილი, რომელმაც ამ თხუთმეტი წლის წინათ საცხოვრებელი ბინის შესაძენად დიდძალი თანხა გადაიხადა, დღემდე გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს და აცხადებს, რომ სამართლიანობის აღდგენის იმედი გადაეწურა:*

— 2007 წელს მე და ჩემმა მეუღლემ **გიორგი მეზუკემ** 113 ათას 500 ამერიკულ დოლარად თბილისში, გოგებაშვილის ქუჩის №34 სახლში, 115 კვადრატული მეტრი ბინა და ავტოსადგომი შევიძინეთ. კორპუსის მშენებლობა, ფაქტობრივად, მთავრდებოდა, ხოლო ჩვენი ბინა უკვე აშენებული იყო. ხელშეკრულება ბინის შეძენის შესახებ სწორედ **ნოტარიუს ნუნუ გინტურთან** გავაფორმეთ, რომელიც, თურმე, პარალელურად სამშენებლო ბიზნესშიც ყოფილა ჩართული და იმ კომპანიაში ფლობდა წილს, რომელიც ჩვენს სახლს აშენებდა.

**— ქალბატონო ქეთევან, ნუნუ გინტურმა სახლი რა მდგომარეობაში გაგიფორმათ?**

— **თაღლითმა გინტურმა** დაგვიმალა, რომ სახლი ბანკში ჰქონდა ჩადებული და იპოთეკით დატვირთული, ხოლო თანხა — შეჭმული! უფრო სწორად, გინტურმა მიწის ორივე ნაკვეთი, რომლებზეც სახლები შენდებოდა, ბანკში ჩადო და უზარმაზარი თანხა აიღო... შესაბამისად, სახლების მშენებლობა რომ დაიწყო, ბანკის იპოთეკა ყველა ჩვენს ბინას გადმოჰყვა. მოკლედ, ერთ მშვენიერ დღეს გავარკვიეთ, ნუნუ გინტურმა ყველა „გადაგვაგდო“!

**— ეს როდის გაიგეთ?**

— ეს გავიგეთ 2009 წელს, როცა აღსრულების ეროვნული ბიურო დაგვიკავშირდა და გვითხრა, რომ ჩვენი ბინების მშენებლობა გადაცემული იყო იძულებით აღსრულებაზე და პირველად უნდა გაყიდულიყო მეორე კორპუსი, ანუ გოგებაშვილის ქუჩის №32-ში მდებარე სახლი. ატყდა ერთი ამბავი, შევიკრიბეთ ბინის მობინადრენი, დოკუმენტაციის გამოსატანად შევედით ბანკში და საინიციატივო ჯგუფიც შევქმენით. **აღმოჩნდა, რომ ნუნუ გინტურს ჩვენგან უჩუმრად ბანკთან ისეთი კაბალური ხელშეკრულება გაუფორმებია, რომ, თუ პირადად ეს თაღლითი და ამხანაგობის მაშინდელი თავმჯდომარე გელა ხუციშვილი ვალს მთლიანად არ გადაიხდიდნენ, ბანკს შეეძლო, მთელი მშენებლობა იძულებით აღსრულებაზე გაეტანა და საჭიროების შემთხვევაში დამფუძნებლების მამაპაპისეული ქონებაც წაეღო!**

**— გინტური როგორ ბინას გპირდებოდათ და სინამდვილეში რა დაგხვდათ?**

— ხელშეკრულების თანახმად, უნდა ჩაგვბარებოდა კეთილმოწყობილი ბინა მოჭიმული იატაკითა და თეთრი კარკასით. მსგავსი არაფერი მომხდარა და ბინაში რომ შევედით, შავი კარკასიც კი არ დაგვხვედრია... ტიხრებიც არ იყო აშენებული. ფაქტობრივად, დაგვხვდა შავი კედლები, სადაც ყველაფერი ჩვენი გასაკეთებელი გახდა.

**— ნუნუ გინტურს ბინა რომ იპოთეკაში ჰქონდა ჩადებული, ამას რით უშველეთ?**

— თანხის ნაწილის გადაფარვა მოხერხდა, შემოვიდა სხვა ინვესტორიც... მერე მოხდა ისე, რომ ადვოკატთან ერთად აღმოვაჩინეთ ბანკის ლაფსუსი — კერძოდ, სესხის გაცემისას დაფიქსირდა ლიმიტის გადაჭარბება, რაც უკანონოა! საერთოდ, ბანკი ძალიან ცუდად გვექცეოდა და ახლაც ცუდად იქცევა...

**— რომელ ბანკზეა ლაპარაკი?**

— „პროკრედიტ-ბანკის“ შესახებ მოგახსენებთ! ვინაიდან ბანკის მხრიდან ლიმიტის გადაჭარბებას ჰქონდა ადგილი, ამიტომ ავდექით და მთელ ბინებს, მათ შორის, მიწებსაც იპოთეკა მოვხსენით! ახლა სიტუაცია ასეთია — დარჩენილი კრედიტის საპირწონედ სასამართლოს მიერ ბინები დაყადაღებულია! ლიფტებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ხოლო საცხოვრებელი სახლის სადარბაზო ისეთ მდგომარეობაშია, თქვენს მტერს... აი, ასეთ დღეში ჩაგვყარა **ნუნუ გინტურმა!**



ნუნუ გინტური

**— გინტური ერთხელ მაინც თუ მოსულა და უთქვამს, რომ თქვენ წინაშე ვალდებულება აქვს შესასრულებელი?**

— არასოდეს გინტური ჩვენთან არ მოსულა, მხოლოდ სასამართლოებზე მყავს ნანახი და ისიც ისეთი პოზით, თითქოს პატივს გვდებდა, რომ პროცესებზე მოდიოდა და თავად არაფერ შუაში იყო. არადა, ამ ქალმა, რომელიც დღეს თავისუფლად დანავარდობს და კაციშვილი ხმას არ სცემს, ხალხის ქონება გაანიავა და აურაცხელი თანხა თავისი ვალების გადასაფარად მიიტაცა!

## „ამ ქალმა, რომელიც დღეს თავისუფლად დანავარდობს და კაციშვილი ხმას არ სცემს, ხალხის ქონება გაანიავა და აურაცხელი თანხები თავისი ვალების გადასაფარად მიიტაცა!“

**— რისი იმედი გაქვთ?**

— როცა **ნუნუ გინტურს** ნოტარიუსობა ჩამოართვეს, იმედი გაგვიჩნდა, რომ სამართალი პურს ჭამდა და ამ თაღლითს, ბოლოს და ბოლოს, პასუხს აგებინებდნენ, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ! როგორც გავიგეთ, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, თურმე, ეს თაღლითი ისევ ნოტარიუსად აღადგინეს... აი, ამ ფაქტის შემდეგ პირადად მე ყველაფრის იმედი დავკარგე! **რისი იმედი უნდა მქონდეს, როცა სასამართლო და პროკურატურა თაღლითი ნუნუ გინტურის მოკავშირეა?**

## ვფიქრობ, ქვეყანას, სადაც გინტურისთანა თაღლითები ხელშეუხებლები არიან, მომავალი არა აქვს!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

















# ხაზარაძევ, ზვიადის სახელს უწმინდური სააკაშვილის სახელში ნუ ურევ!

*„ხანდაზმულმა თაღლითმა“ და სააკაშვილის ფინანსურმა ჟანდარმმა მამუკა ხაზარაძემ, რომელმაც 1992 წლის აგვისტოში, აფხაზეთში ომის დაწყებიდან ერთი კვირის თავზე, შევარდნაძის ლოცვა-კურთხევით თაღლითური ორგანიზაცია „საქართველოს სახალხო-საინვესტიციო კორპორაცია“ შექმნა და საბჭოთა ანაბრები შეხვილიფა, ამ დღეებში საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ცხონებული ზვიად გამსახურდია ახსენა:*

*„ახლაც იგივე ხდება, რაც 30 წლის წინ. პრეზიდენტ გამსახურდიას მკვლელობა დიდი ღალატის შედეგი იყო, ღალატის, რომელშიც მისი გარემოცვა და მტრები თანაბრად მონაწილეობდნენ. მაშინ საღმა აზრმა ვერ გაიმარჯვა, პრეზიდენტი მოვკალით! დიახ, ყველამ ერთად მოვკალით, მიუხედავად მომხრისა თუ მოწინააღმდეგისა, ის მოკლა ღალატმა, რომელიც პროცესების თანმხლები იყო, როგორც ქართული ფენომენი.* ***სააკაშვილის მიმართაც იგივე სცენარია დაწერილი, როგორც აქ, ასევე რუსეთის სპეცსამსახურებში, ზუსტად ისე, როგორც გამსახურდიას დროს, მაშინაც და ახლაც ქართველების ხელით ხდება ერთ დროს უმრავლესობით არჩეული პრეზიდენტის მკვლელობა!“***

ნათქვამია, თოკით ჩამომხრჩვალის სახლში თოკზე არ ლაპარაკობენო! შესაბამისად, **მამუკა ხაზარაძეს,** რომელიც **1989 წლის 18 თებერვალს მაშინდელი „გეპეის“ პირველი კორპუსის წინ სულმნათი მერაბ კოსტავას მიტინგს კომკავშირელ ზონდერებთან ერთად არბევდა და საქართველოს ეროვნულ გმირს სკამის გადაჭრილ ფეხს უქნევდა, სინდისის ნატამალი რომ გააჩნდეს, ზვიად გამსახურდიაზე არც უნდა ლაპარაკობდეს, მაგრამ მისი და მისთანების უტიფრობა, როგორც წესი, ყოველგვარ ზღვარს ცდება!**

სწორედ მამუკა ხაზარაძისთანა უსინდისო უნდა იყოს კაცი, ზვიად გამსახურდიას სააკაშვილი შეადაროს, ანდა პირველ პრეზიდენტთან, რომელიც საქართველოსთვის მოკვდა, **ეს შარაგზის ყაჩაღი, ომის წამგები, საქართველოს ტერიტორიების გამყიდველი, მიწაზე მფორთხავი, ტელევიზიის პირდაპირ ეთერში ჰალსტუხის მღეჭავი, პორნომასაჟისტ „დოქტორ დოტის“ მიერ უკანალზე დაკბენილი, კაცების გამაუპატიურებლების უსტაბაში და კოკაინზე გაგიჟებული ნარკომანი გააიგივოს!**

ანდა რა პირით ადარებთ ზვიადს სააკაშვილს, როცა ეს უკანასკნელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს „კავკასიის სადამ ჰუსეინს“ უწოდებდა? ამის უტყუარი დასტურია 1992 წლის იანვარში პოლონურ ყოველკვირეულ გაზეთ **„ვპროსტში“** ჟურნალისტ **მარია გრიჟაკთან** სააკაშვილის ორგვერდიანი, ვრცელი ინტერვიუ, სადაც ის აცხადებს — **„გამსახურდიამ დაიწყო, როგორც დისიდენტმა და დაასრულა, როგორც ტირანმა სადამ ჰუსეინმა!“** ამ ინტერვიუში სააკაშვილი მოხსენიებულია, როგორც „დემოკრატიული ოპოზიციის თვალსაჩინო ლიდერი“!

მამუკა ხაზარაძეს რომ თავი გავანებოთ, რომელსაც ოდენ თავისი მილიარდების ბედი ადარდებს და ზვიადიც ფეხებზე ჰკიდია და საქართველოც, ე.წ. „მიშას ზვიადისტებს“ უნდა ვკითხოთ — **რისთვის ცოცხლობთ ან სააკაშვილის პოლიტიკურ ბორდელში რა პირით ხართ მიძუძგული? როგორ უსწორებთ ზვიად გამსახურდიას წმინდა ხატებას თვალს მაშინ, როცა თავზე სააკაშვილის ბინძური ნიფხავი გაქვთ ჩამომხობილი და სამეგრელოს სამალავებში ნაწამები ხალხის გმინვა ჯერაც ყურში ჩაგესმით?**

ხაზარაძეს რატომღაც ჰგონია, რომ **ზვიად გამსახურდია და სააკაშვილი** ქართველმა ხალხმა საქართველოს პრეზიდენტად ერთნაირი განწყობით აირჩია. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლა გადაწყვიტა მხოლოდ და მხოლოდ ქართველმა ხალხმა, რომლის არჩევანსაც მსოფლიო პოლიტიკის გრანდებმა სულ მოკლე ხანში მიაფურთხეს და მოგვიწყვეს ის უბედურება, რაშიც ერთ დროს გადაჭრილი სკამის ფეხით შეიარაღებული მამუკა ხაზარაძე არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებდა.

ზვიად გამსახურდია ისე მოკლეს, ამქვეყნად არავითარი სიმდიდრე და ქონება არ მოუხვეჭავს, სააკაშვილმა და მისმა ხროვამ კი აურაცხელი ქონება დააგროვეს! დღეს არათუ სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, ცისკარიშვილი და კირკიტაძე, არამედ გიული ალასანიაც კი მულტიმილიონერია, რომელმაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსები მიიტაცა და ცოტა ხნის წინათ ტელევიზიით ურცხვად გამოგვიცხადა — **ეს ყველაფერი ჩემმა მშობლებმა დამიტოვესო!**

ხაზარაძემ კარგად იცის, რომ ზვიად გამსახურდიასა და ნაძირალა სააკაშვილს შორის დიდი უფსკრულია, მაგრამ დღეს ასე აწყობს. და მაინც, **ზვიადის სახელს უწმინდური სააკაშვილის სახელში ნუ აურევ, ისტორიას კარგად ახსოვს, ვინ იარა გადაჭრილი სკამის ფეხზე წამოცმული ღალატის დროშით!**

***დიტო ჩუბინიძე***




## რა პირით ადარებთ ზვიადს სააკაშვილს, როცა ეს უკანასკნელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს „კავკასიის სადამ ჰუსეინს“ უწოდებდა?

## კვირგვინოსნები

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



რადიკალური არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებისა და ყოფილი ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსნის მხრიდან **იგეგმება უმძიმესი პროვოკაცია ცხინვალისა და აფხაზეთის მიმართულებით.** მინდა, გავაფრთხილო ეს ადამიანები, მავნებლები, რომ იმ შემთხვევაში, **თუ ისინი არ იტყვიან უარს ამ მავნებლურ ქმედებაზე, გაჟღერდება მათი სახელები და გვარები.** მათ მიზნად აქვთ, რომ ამ პროვოკაციის შედეგად საქართველოში მოხდეს დესტაბილიზაცია, არიონ სიტუაცია და ამ სახით მიაღწიონ შედეგს.

„ალია“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



ქვეყნის გარეთ დაწერილი დიდი სცენარის მიხედვით, **საქართველოში მეორე ფრონტი უნდა გახსნილიყო** — უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის განცხადებაც ამის დასტურია.

„აიპრესი“

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს“ წევრი*



თუ დავინახეთ, რომ **ამ დიდი აურზაურის შედეგი** ის იქნება, რომ **პარტიის მართვას ხელისუფლებაში ყოფნის წლებში ნაცმოძრაობის ოდიოზური პირები აიღებენ ხელში,** თანამშრომლობის შანსი დაიკარგება.

„კვირის პალიტრა“

**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**პატარკაციშვილი ივანიშვილთან** შედარებით **„ფოჩიანი კანფეტი“** იყო.

„ახალი თაობა“

**მურმან დუმბაძე**
*პოლიტიკოსი*



**ევროპა გეოგრაფია არ არის,** როგორც „ქართულ ოცნებას“ ჰგონია. **ევროპა ღირებულებებია, ევროპა კეთილდღეობაა, ევროპა ადამიანად ყოფნის გარანტიაა.**

„ახალი თაობა“

# 52 წლის შემდეგ ნუგზარ შარია საქართველოში დაბრუნდა!




*ამერიკასა და ევროპაში მოღვაწე ქართველი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი და რეჟისორი ნუგზარ შარია 81 წლის ასაკში მიუნხენში აღესრულა. საქართველო მან 52 წლის წინათ, 29 წლის ასაკში დატოვა, როცა უკვე წარმატებული და ცნობილი მსახიობი იყო. მისმა ვაჟმა, რუსთაველის თეატრის მსახიობმა ზურა შარიამ ძვირფასი მამა თბილისში, მახათას პანთეონის მიწას გასულ კვირას მიაბარა:*



**„მამაჩემს ანდერძად ჰქონდა დაბარებული, რომ ბოლო განსასვენებელი საქართველოში ჰქონოდა!“**

## ზურა შარია: მამას არ ვემშვიდობები!

— მე და მამა ყოველდღე ვესაუბრებოდით ერთმანეთს, როცა რეკავდა, აუცილებლად იმწუთშივე უნდა მეპასუხა. „ოსკარების“ ჟიურის გამგეობიდან უპრეცედენტო მოწვევა ჰქონდა — ნებისმიერ ნომინაციასა და ცერემონიალზე მისთვის საპატიო ადგილი უნდა გამოეყოთ, ასევე **კვენტინ ტარანტინოს** სამდივნოს სახელით 5 იანვარს მიწვეული იყო „ოსკარების“ შეკრებაზე. ბოლო საუბრისას მითხრა — ეს ამბავი ჯერ არ გაახმაურო, ბოლომდე ზუსტად არ ვიცი, რას აპირებენ, თან**სტივენ სპილბერგმა** მთხოვა, მისთვის ქართული ფილმების კლასიკა გადამერჩია და ახლა ამ ფილმებს ვარჩევო! ჯერ კიდევ ორი წლის წინათ, 2020 წელს, სწორედ სპილბერგმა წარადგინა მამა „ოსკარების“ ჟიურის თავმჯდომარედ და აირჩიეს კიდეც.

**— ნუგზარ შარია ბოლოს სად ცხოვრობდა?**

— ზამთარს ფლორიდაში ატარებდა, გაზაფხულს — მიუნხენში, ასევე ხორვატიაშიც, სადაც მის მეუღლეს საკუთარი სასტუმრო აქვს. მამა ბოლოს სწორედ ხორვატიაში ვნახე, გასტროლზე ვიყავი, 2 კვირა მასთან დავრჩი. ეს იყო დაუვიწყარი დღეები, ის ადგილი გაგრას ჰგავს, მამა ყოველდღე 2 საათი ცურავდა, ამერიკაში ქიმიოთერაპია ჩაიტარა და სიმსივნე უკვე დამარცხებული ჰქონდა! ბოლო დრომდე ძალიან კარგად იყო, ენერგიულად, მუშაობას განაგრძობდა, ბევრი გეგმა ჰქონდა, **მეგონა, კიდევ 20 წელს იცოცხლებდა. მაგრამ ზუსტად 20 დღის წინ ყველაფერი შეიცვალა.**

**— კონკრეტულად რამ გამოიწვია მისი გარდაცვალება?**

— გრიპი დაემართა, მაგრამ ეს არ იყო კოვიდი. მამა თავის მეუღლესთან და გერთან ერთად ხორვატიაში ისვენებდა, შემდეგ მისი მეუღლე მიუნხენში გადაფრინდა ექიმთან, კოვიდი აღმოაჩნდა. ამასობაში ხორვატიაში მამას და მის გერსაც ხველა დაეწყოთ, იფიქრეს, რადგან მეუღლეს კოვიდი ჰქონდა, ამათაც ეს ვირუსი შეხვდათ. მამა გადაფრინდა მიუნხენში, დაიწყო წამლებისა და წვენების მიღება. ერთხანს გამოკეთდა, თუმცა, მერე მითხრა, სუნთქვის უკმარისობა დამეწყოო. როცა ხაზზე აღარ იყო და ვერ ვუკავშირდებოდი, მივხვდი, რომ ცუდად გახდა. მისი გერისგან გავიგე — რეანიმაციაში მოუთავსებიათ. შემდეგ მისმა მეუღლემ ატირებულმა დამირეკა, ნუგზარი აღარ არისო... **მამა გიორგი ზვიადაძე** ლოცულობდა მისი სულისთვის... ფიქრი დავიწყე გადმოსვენებაზე და უცებ სასწაული მოხდა — მისმა გერმა მომწერა, რაღაც პროცედურები ჩაუტარეს და მამაშენი გონზე მოვიდაო — გაცოცხლდა კაცი.

**— მდგომარეობა რამ დაამძიმა?**

— კუჭიდან სისხლდენა დაეწყო, პირველი ოპერაცია კარგად გადაიტანა, მეორე ოპერაციაც გაუკეთეს და ეს სამწუხარო შედეგი დადგა. **მამაჩემს ანდერძად ჰქონდა დაბარებული, რომ ბოლო განსასვენებელი საქართველოში ჰქონოდა!** ასეც მოხდა, გადმოვასვენეთ და თბილისში, მახათას პანთეონში დავკრძალეთ. დიდი მადლობა დახმარებისთვის საქართველოს კულტურის მინისტრს **თეა წულუკიანს,** საქართველოს საელჩოს გერმანიაში და ჩვენს ელჩს **ლევან იზორიას, მამა გიორგი ზვიადაძეს** და თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეს **გოგი გეგეჭკორს.**

**— ბოლო საუბარი მამასთან?**

— დიდი გეგმები ჰქონდა, ემზადებოდა ფლორიდაში გასამგზავრებლად. ჩაწერილია მისი ვრცელი ინტერვიუ, რომელიც „ობიექტივზე“ უნდა გასულიყო, მაგრამ ამ არხზე კულტურის შესახებ გადაცემა დაიხურა. ვერ მოხერხდა მისი ვარსკვლავის გახსნაც, ყველა საბუთი თავმოყრილი გვქონდა, მაგრამ **არ შესრულდა რეზო ჩხეიძის ანდერძი — ნუგზარ შარიას ვარსკვლავი ჩემი ვარსკვლავის გვერდით უნდა გაიხსნასო! ამასვე ამბობდა მსოფლიოში ცნობილი მსახიობი იულ ბრინერი — ჩემი ვარსკვლავი ნუგზარ შარიას გვერდით უნდა იყოსო!** იულის დაც ამბობდა — ჩემი ფერფლი ჩემი ძმისა და ნუგზარ შარიას ვარსკვლავზე მოაბნიეთო. მამა საქართველოთი ცხოვრობდა, მისი უპირველესი ფიქრი სამშობლო იყო.

**— უცხოეთში წასვლის მერე პირველად როდის შეხვდით მამას?**



ონისე და ძიძია – ნუგზარ შარია და ლეილა აბაშიძე

კადრი ფილმიდან „ხევისბერი გოჩა“

— 1970 წელს წავიდა და 21 წლის შემდეგ დაბრუნდა, **1991 წელს პირველად შევხვდი მას თბილისის აეროპორტში და ახლაც უკვე მის ცხედარს ზუსტად იმავე ტერმინალზე დავხვდი.** ის იყო საოცრად თბილი მამა, ოქროს ადამიანი, რამეს თუ სთხოვდი ან დაავალებდი, მთებს შეძრავდა და გააკეთებდა.

**— ქალიშვილის გარდაცვალებას მოესწრო...**

— ჩემი დის გარდაცვალება გვიან გაიგო, მაშინ შეუძლოდ იყო, ვერ ვუთხარი. ბათუმში ვიყავი გადაღებაზე, რომ დამირეკა — ნესტანის ამბავი როგორ დამიმალეო! **ვოვა გუცაევს** გაუგია ნესტანის გარდაცვალების შესახებ, მოსკოვში **დათო დანელიასთვის** დაურეკავს, ამ უკანასკნელს კი — მამაჩემისთვის და მიუსამძიმრებია. ასე გაიგო.

**—ქართველ მაყურებელს რომელი როლით დაამახსოვრდება ნუგზარ შარია? აღფრთოვანებას იწვევდა მისი ონისე ფილმიდან „ხევისბერი გოჩა“...**

— **მამა ნეგატიურ გმირებს თამაშობდა, მაგრამ ხალხს მაინც ძალიან უყვარდა!** ქართველი მაყურებლისთვის ის დარჩება ფილმებით **„ხევისბერი გოჩა“, „პალიასტომი“, „აბესალომ და ეთერი“, „ენგურის ნაპირებზე“.**

**— როგორ დაემშვიდობეთ მამას?**

— ჩვენ ჩვენი ურთიერთობა გვქონდა, **მამას არ ვემშვიდობები!**

*ესაუბრა*

***ქეთევან ხამიცაშვილი***



**„არ შესრულდა რეზო ჩხეიძის ანდერძი – ნუგზარ შარიას ვარსკვლავი ჩემი ვარსკვლავის გვერდით უნდა გაიხსნასო!“**



**„ამასვე ამბობდა მსოფლიოში ცნობილი მსახიობი იულ ბრინერი – ჩემი ვარსკვლავი ნუგზარ შარიას გვერდით უნდა იყოსო!“**

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!

პუტინმა სააკაშვილის ცინიზმი საკითხავი

## მიხეილ სააკაშვილი: პატარკაციშვილი კოდუას სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად 100 მილიონი დოლარის გამოყოფას დაჰპირდა!




დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2022 წლის №9–50

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

**მიხეილ სააკაშვილი** თავის მემუარებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს 2007 წლის 7 ნოემბრის ამბებს და, რა თქმა უნდა, თავს იმართლებს, მე დემოკრატი ვარ და იძულებული ვიყავი, კანონის ფარგლებში ოპოზიციური მიტინგი დამერბიაო:

***„იმედმა“ აჯანყებისკენ ღია მოწოდებები დაიწყო: გამოფხიზლდით, სპეცდანიშნულების რაზმი შედის სამების ტაძარში. ეს მტკნარი სიცრუე იყო. ჩვენ გამოვაცხადეთ განსაკუთრებული მდგომარეობა და შევუთვალეთ, რომ 48 საათით ვხურავთ არხს. მათ მაუწყებლობის შეწყვეტაზე უარი განაცხადეს და მაშინ „იმედში“ შევიდა სპეცდანიშნულების რაზმი. რა თქმა უნდა, სატელევიზიო სურათი მეტად არასასიამოვნო იყო. რამდენიმე დღეში ტელევიზიამ განაახლა მაუწყებლობა“*** *(მ.სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 240).*

და არცერთი სიტყვა ტელევიზიაში შევარდნილი სპეცრაზმის მიერ ავტომატმიშვერილი ჟურნალისტების პირქვე დამხობაზე, სახით იატაკზე თრევაზე, ღამით მინდორ-ველებში დევნაზე თუ ტელეაპარატურის კონდახებით მიზანმიმართულ ლეწვაზე!

სააკაშვილი ცრუობს, ტელევიზიამ ორ დღეში განაახლა მუშაობაო! „იმედი“ თვეობით იყო პარალიზებული და იქიდან ჟურნალისტები გაიქცნენ: ზოგი გადაიბირეს, იყიდეს და ბადრი პატარკაციშვილზე ამაზრზენი განცხადებები აკეთებინეს, ზოგმაც, საერთოდ, ჟურნალისტიკას დაანება თავი!

„იმედი“ კი პატარკაციშვილს საერთოდ წაართვეს!

მემუარისტი იმ დეტალებსაც იხსენებს, თუ როგორ გადადგა 7 ნოემბრის ფაშისტური რბევის შემდეგ:

***„ამ ძალიან მძიმე დღის ბოლოს, 12 საათისთვის, ყველა დაიშალა. 1 საათზე მითხრეს, რომ ნიკა რურუა და კახა ლომაია იყვნენ მისაღებში. მათთან ერთად კიდევ ერთი საათნახევარი ვაანალიზებდი სიტუაციას. ნიკა ამბობდა, რომ ჩვენ სანახევროდ ორსული ვერ ვიქნებოდით, ან ბოლომდე ავტორიტარული რეჟიმი უნდა დავამყაროთ, რაც ეგრევე გვაქცევს ტიპურ პოსტსაბჭოთა ქვეყნად ან რამე არაორდინარული უნდა მოვიფიქროთ. მე მცირე პაუზის შემდეგ ვთქვი: „ჰოდა, ავდგები და გადავდგები, წავალ ახალ არჩევნებზე“. კახაც და ნიკაც ძალიან გაკვირვებულები დარჩნენ“*** *(იქვე, გვ. 240).*

სააკაშვილი აქაც ურცხვად ცრუობს! მან იმავე ღამეს კი არა, მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ იძულებით მიიღო ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილება, რადგან, ჯერ ერთი, ნაცრეჟიმის ფაშისტური დარბევებით გაბრაზებული ხალხი ნაცხროვასთან შეპუებას არ აპირებდა და, მეორეც, დასავლეთი და, განსაკუთრებით, შეერთებული შტატები ღიად აკრიტიკებდნენ სააკაშვილს აშკარად ავტორიტარული ქმედებების გამო!

ამის შემდეგ სააკაშვილი იხსენებს, როგორ უპირებდა საპრეზიდენტო კანდიდატად დაფიქსირებული **ბადრი პატარკაციშვილი** ლონდონიდან გადატრიალების მოწყობას:

***„პატარკაციშვილმა ასევე წამოაყენა საკუთარი კანდიდატურა, მაგრამ გადაწყვიტა, სხვა მეთოდებით ემოქმედა. თავისი პარტიის ადგილობრივი ლიდერის მეშვეობით ის გავიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეზე ერეკლე კოდუაზე და შესთავაზა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა.*** *პატარკაციშვილი ამაზე 100 000 000 დოლარის გამოყოფას დაჰპირდა. ეს საუბარი ჩაწერეს, პოლიცია უკვე აპირებდა შუამავლის დაპატიმრებას, მაგრამ ჩემთან მოვიდა მერაბიშვილი და შემომთავაზა მისი დაკავების გადავადება — იქნებ თვით პატარკაციშვილზე გასვლა მოხერხდესო. ვანომ სწორად გათვალა.* ***პატარკაციშვილმა კოდუა თავისთან დაიბარა, ლონდონში. ის იყო პატიოსანი ქართველი ოფიცერი და პატრიოტი, მაგრამ პატარკაციშვილმა ჩათვალა, რომ, რადგან კოდუა ძველი პოლიციის წარმომადგენელია, მასთან მოლაპარაკება შესაძლებელია“*** *(იქვე, გვ. 241).*

სააკაშვილი კოდუას მიერ პატარკაციშვილის წინააღმდეგ განხორციელებული სპეცოპერაციის დეტალებსაც ყვება:

***„კოდუა ჩაიყვანეს პატარკაციშვილთან მის სახლში, ლონდონის გარეუბანში და სრულად გაჩხრიკეს. მას ეცვა გუჩის მარკის ფეხსაცმელი, წინ მიკერებული რკინებით და სწორედ იქ იყო ჩამონტაჟებული მიკროფონი. ფეხსაცმლის შემოწმება დაცვას აზრად არ მოსვლია. პატარკაციშვილი დიდხანს უხსნიდა კოდუას, როგორ უნდა მოხდეს სახელმწიფო გადატრიალება: როგორ უნდა მოიკლას შინაგან საქმეთა მინისტრი, როგორ უნდა დააპატიმრონ პრეზიდენტი.*** *უნდა დაეწყოთ სამი ოპოზიციონერის მკვლელობით, რომ აღშფოთების ტალღა გამოეწვიათ. მან ეს ყველაფერი დეტალურად ახსნა და დაამატა, რომ საქართველოში მე ცუდად მიცნობენო, ჰგონიათ, რომ მე კეთილი თოვლის პაპა ვარ, მხოლოდ რუსეთშია ცნობილი, როგორ ვიცი სროლა და კაცისკვლა.* ***ეს ორსაათიანი საუბარი სრულად ჩაიწერა — კლასიკური საჯაშუშო ისტორიაა“*** *(იქვე, გვ. 241).*

ის კი არა, სააკაშვილმა ისიც კი წამოაყრანტალა, როგორ ჩართო ამ სპეცოპერაციაში თავისი ბავშვობისდროინდელი მასწავლებელი, საქართველოს მაშინდელი ელჩი ბრიტანეთში **გელა ჩარკვიანი:**

***„კოდუა იქიდან რომ გამოვიდა, რაღაცნაირად უნდა გადმოეგზავნა „ფლეშკა“ ჩანაწერით თბილისში. ჩვენი ოფიცრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად წინასწარ გავაფრთხილეთ მი-5 ბრიტანეთის კონტრდაზვერვა და ახლა ვშიშობდით, რომ ამჯერად ბრიტანელები შეეცდებოდნენ ჩანაწერის ხელში ჩაგდებას. მაშინ მე დავურეკე ჩვენს ელჩს დიდ ბრიტანეთში, ჩემს მასწავლებელს გელა ჩარკვიანს და ვთხოვე, აეროპორტში კოდუასგან „ფლეშკა“ აეღო და თბილისში გადმოფრენილიყო. „ფლეშკა“ შესანიშნავი ხარისხის აღმოჩნდა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ ის ყველა ტელეარხს მიაწოდა. ეს იყო ბომბი“*** *(იქვე, გვ. 241).*

შემდეგ მემუარისტი უცინიკურესად წერს, როგორ გარდაიცვალა ამ ამბების კვალობაზე **ბადრი პატარკაციშვილი:**

***„პატარკაციშვილმა ეს ამბები ძალიან განიცადა და ორიოდე თვეში გარდაიცვალა გულის შეტევით. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე მან, როგორც ამბობენ, უთხრა თავის შვილებს, „თქვენი მამა ლოხია“*** *(იქვე, გვ. 242).*

წარმოიდგინეთ, როგორი დეგრადირებული უნდა იყო, რომ ასეთი სიბინძურე დაწერო მემუარებში და ასე საჯაროდ შეურაცხყო გარდაცვლილი კაცი, ვითომ მან აღიარა ჩემთან მარცხი და შვილებს უთხრა, რომ „ლოხი“ ვარო!

პატარკაციშვილს ეს მართლაც რომ ეთქვა შვილებისათვის, ისინი როგორ გაამჟღავნებდნენ და გაავრცელებდნენ ამას გარდაცვლილ მამაზე?!

სააკაშვილი ამის შემდეგ აშკარად ცდილობს, თავი იმართლოს იმ საყოველთაოდ ცნობილ ბრალდებაზე და ეჭვზე, რომ **პატარკაციშვილი, უბრალოდ, გულის შეტევით კი არა, სააკაშვილის დავალებით მოწამლეს და ამან გამოიწვია ის გულის შეტევაც!** და თავისთვის ალიბის შესაქმნელად ის, ისე რომ პირდაპირ ხელს არ ადებს, იწყებს თხრობას, როგორ აგინა პატარკაციშვილმა კოდუასთან პრივატული საუბრისას პუტინს:

***„კოდუასთან საუბრისას მან ძალიან ცუდად ილაპარაკა პუტინზე, უძახა მას არარაობა, რომელიც ჭაობიდან თავად ამოათრია ყურებით. თქვა, რომ ბერეზოვსკის არ სურდა მისი აღზევება, ეს მან თავად გააკეთა. პუტინს ეს, რა თქმა უნდა, ძალიან არ ესიამოვნა“*** *(იქვე, გვ. 242).*

ასე თავდაჯერებული რომ ამბობს, აი, საიდან იცის სააკაშვილმა, პატარკაციშვილის ნათქვამი როგორ ესიამოვნა თუ არ ესიამოვნა პუტინს?! მაგრამ აქ მთავარია, რომ სააკაშვილი განაგრძობს აშკარა მინიშნებას პუტინზე, აი, მან მოკლა პატარკაციშვილიო!

ამიტომაც იქვე იხსენებს ერთ ასეთ ამბავს:

***„დსთ-ს ერთ-ერთმა ლიდერმა ამასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო ისტორია მომიყვა. 2007 წლის ზაფხულში პუტინმა ის გააფრთხილა, რომ პატარკაციშვილი ჩამოვა მის ქვეყანაში ვიღაც რუსებთან შესახვედრად და რომ მათ ხელი არ შეეშალოს.*** *ჩამოვიდა პატარკაციშვილი და მასთან ერთად უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის ორი გენერალი.* ***პუტინმა ისიც თქვა, რომ პატარკაციშვილი საქართველოს მომავალი პრეზიდენტია. ეს მოხდა ნოემბრის ამბებამდე რამდენიმე თვით ადრე და მე რომ გამოვაცხადე ჩემი უფლებამოსილებების შეწყვეტა, პუტინს ამ ლიდერისთვის უთქვამს: ხომ გითხარით, პატარკაციშვილია მომდევნო პრეზიდენტი. ხოლო, როდესაც ეს ჩანაწერი გამოქვეყნდა, ის პუტინს ისევ გადაეკვეთა და, სხვათაშორის, ჰკითხა: „რაო, ბადრი როდის გახდება პრეზიდენტიო?“ რაზეც პუტინმა უპასუხა: „საერთოდ არ მაინტერესებს ეგ არარაობა“*** *(იქვე, გვ. 242).*

მოკლედ, სააკაშვილმა ეს ყველაფერი იმიტომ იჭორავა და იფანტაზიორა, რომ **ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა** პუტინისთვის გადაებრალებინა!

არადა,

**რაღაც ძნელი დასაჯერებელია, რომ პუტინი რომელიღაც პოსტსაბჭოთა ქვეყნის ლიდერს საქართველოსთან დაკავშირებით თავის საიდუმლოებებს უმხელს, აი, პატარკაციშვილი შეცვლის სააკაშვილსო, შემდეგ ეს ლიდერი სააკაშვილს პუტინის საიდუმლოებებს უმხელს და ბოლოს იგივე ლიდერი პუტინს დასცინის, აბა, ბადრი როდის გახდება საქართველოს პრეზიდენტიო?!**

და პუტინიც, აქაოდა, ჩავფლავდიო, გამწარებული პასუხობს, აღარ მაინტერესებს ეგ არარაობა პატარკაციშვილიო!






ერეკლე კოდუა



***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

# „ფუტკრის შხამის მზარდი რაოდენობით მიღება ხელს უწყობს ნებისმიერი დაავადების დაძლევას!“



*— მეფუტკრეობა მუხლჩაუხრელ შრომასთან ერთად, დიდ ცოდნას და გამოცდილებასაც მოითხოვს. ფუტკართან ურთიერთობა მადლის მატარებელია, რადგან ეს უნიკალური მწერი საკუთარი სიცოცხლის ფასად, ჯანმრთელობისთვის შეუცვლელ პროდუქტს, ფუტკრის შხამსაც იძლევა! —* ***ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი მეფუტკრე ლელა ქიტიაშვილმა, რომლის ოჯახის რამდენიმე თაობა ნატურალური, გაუყალბებელი თაფლის და ფუტკრის სხვა პროდუქტების მოპოვებით არის განთქმული:***

— ფუტკარი უფლის მიერ შექმნილი მადლიანი მწერია, რომელიც 6 საოცარ პროდუქტს — **თაფლს, სანთელს, ჭეოს, დინდგელს, ფუტკრის სადედე რძეს და ფუტკრის შხამს** ქმნის. აქედან ნაწილი, მაგალითად, თაფლი მცენარეული წარმოშობის პროდუქტია, ასევე მცენარეულია ჭეოც, მას ფუტკარი ყვავილის ბუტკოდან მოიპოვებს, ყვავილის მტვერი ფეხებით მოაქვს, რომელსაც სამუშე უჯრედში ტვირთავს და გარკვეული ქიმიური პროცესების შედეგად ჭეო წარმოიქმნება. ჭეოს სხვაგვარად ფუტკრის პურსაც უწოდებენ, რადგან ამ პროდუქტს ფუტკარი სადედე რძეში შეურევს და ბარტყების გამოსაზრდელად იყენებს. ამავე პროდუქტით გარკვეული დროის განმავლობაში დედა ფუტკარს კვებავენ, რომელიც სკაში უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს ასრულებს.

**დინდგელი,** იგივე **პროპოლისიც** მცენარეული პროდუქტია, რომელსაც ფუტკარი მცენარეთა ქერქებიდან აგროვებს. ეს პროდუქტი ერთ-ერთი საუკეთესო ბუნებრივი ანტიბიოტიკია, ოღონდ მოხმარების მკაცრად განსაზღვრული წესები გააჩნია, რათა ალერგიული რეაქცია არ განვითარდეს. მართალია, ალერგიის განვითარების საფრთხე 100-დან მხოლოდ 1 პროცენტია, მაგრამ ყურადღების გამოჩენა მაინც აუცილებელია.

**სადედე რძე და სანთელი** კი ფუტკრის ცხოველური პროდუქტებია. სანთელს ფუტკარი საკუთარი ორგანიზმიდან, კერძოდ, საცვილე ჯირკვლებიდან გამოიმუშავებს და იყენებს, როგორც სამშენებლო მასალას, მისგან აშენებს ფიჭის უჯრებს, ბეჭდავს თაფლს და ა.შ. ხოლო სადედე რძეს ზედა სარძევე ჯირკვლებიდან გამოყოფს და ძირითადად ბარტყებისა და დედა ფუტკრის საკვებად გამოიყენება, რაც დედა ფუტკრის აქტიურ, ნაყოფიერ მოღვაწეობას, ბევრი კვერცხის დადებას და ჯიშიანი, ჯანმრთელი თაობის გამოზრდას ემსახურება. ფუტკრის სადედე რძეს საკვებად ადამიანიც იყენებს და ეს არის ენერგეტიკულად აქტიური, უნიკალური და შეუცვლელი პროდუქტი, რომელიც იმავდროულად ყველა დაავადების უებარი მკურნალია!

**— ფუტკრის შხამი მცენარეულია თუ ცხოველური?**

— ფუტკრის შხამიც ცხოველური წარმონაქმნია. ფუტკარს კუდის დაბოლოებაში გააჩნია შხამის აპარატი, სადაც არის დაახლოებით 0,33 მილიგრამი შხამი, ანუ **ერთი ფუტკარი დანესტვრის შემთხვევაში მსხვერპლის ორგანიზმში უშვებს ამ რაოდენობით შხამს.** ამ მომენტში შხამის აპარატი ფუტკარს ძვრება და მსხვერპლის კუნთში რჩება, როგორც ცოცხალი ორგანიზმი. ის გარკვეული დროის განმავლობაში ფეთქავს და კუნთში როგორც ტუმბოს, შეჰყავს შხამი. თუ დანესტვრისთანავე ამ აპარატს ან ფრჩხილით ან ბასრი საგნით არ ამოვაგდებთ, შხამი ბოლომდე, ანუ 0,33 მილიგრამის ოდენობით ჩაიტვირთება კუნთში. ხშირად გვსმენია, რომ ნესტარის სხეულიდან ამოსაგდებად აუცილებელია ნაკბენ ადგილზე დანის პირის მსუბუქად დასმა, მაგრამ საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის, რომ ამ დროს ადამიანი საკუთარი ნებით უარს ამბობს ჯანმრთელობისთვის ძალზედ სასარგებლო პროდუქტზე — ფუტკრის შხამზე!

**— მაინც, რამდენი ფუტკრის დანესტვრამ შეიძლება გამოიწვიოს სახიფათო შედეგი?**

— ყველაფერი ფარდობითია, რადგან დანესტვრის გზით სხეულში ჩატოვებული ფუტკრის მცირე რაოდენობით შხამის მიმართ ორგანიზმი იმუნიტეტს გამოიმუშავებს. თუ არამეფუტკრე ადამიანს ერთ დღეს ერთი ფუტკარი დანესტრავს, მეორე დღეს 2 ან 3 და შემდგომ დღეებში დამნესტრავი ფუტკრების რაოდენობა თანმიმდევრულად გაიზრდება, შესაბამისად იმატებს იმუნიტეტიც და, ამ ადამიანის ორგანიზმი ფუტკრის შხამის მიმართ ხდება ისეთი მედეგი, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ერთდროულად 20-

# ლელა ქიტიაშვილი:

# ფუტკარი საკუთარი სიცოცხლის გაწირვის ფასად, ადამიანს სასიცოცხლო ენერგიას აძლევს!



„ფუტკრის შხამი რადიკულიტის, ჰიპერტონიის, ნევროზის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების უებარი წამალია!“

მა ან თუნდაც 50-მა ფუტკარმა რომ დანესტროს, ნაკბენი ადგილები აღარც კი შეშუპდება!

რაც შეეხება მეფუტკრეებს, მათ გააჩნიათ უძლიერესი იმუნიტეტი, რომელიც ხშირი დანესტვრის შედეგად შეიძინეს, ამიტომ სრული სიმართლეა მოსაზრება, რომ მეფუტკრეები განსაკუთრებით ჯანმრთელები არიან და დიდხანს ცოცხლობენ!

არცთუ იშვიათად მეფუტკრე დგება ფაქტის წინაშე, რომ გადაბრუნებული სკა თავის ადგილზე უნდა დააბრუნოს და ასეთ დროს შეიძლება, ერთდროულად რამდენიმე ასეულმა ფუტკარმა დაკბინოს, მაგრამ ნაკბენი ადგილები არც კი გაუსივდეს! მეფუტკრისგან განსხვავებით, ჩვეულებრივ ადამიანს, რომელიც ალერგიული მიდრეკილებით გამოირჩევა, შესაძლოა, ერთი ფუტკრის ნაკბენმაც კი საფრთხე შეუქმნას! ამიტომ, თუ ალერგიისკენ მიდრეკილ ადამიანს ფუტკარი დაკბენს, აუცილებელია სამედიცინო ჩარევა, რაც ძირითადად ანტიალერგიული პრეპარატების (სუპრასტინი, დექსამეტაზონი და ა.შ...) მიღებით გამოიხატება.

**— რა შემადგენლობისაა ფუტკრის შხამი და რის გამო არის ადამიანის ორგანიზმისთვის ასეთი სასარგებლო?**

— ფუტკრის შხამის ზუსტ ქიმიურ შემადგენლობაზე ვერ გესაუბრებით, ეს მეცნიერების სფეროა, თუმცა, გეტყვით, რომ **ფუტკრის შხამის მიმართ თანდათანობით გამომუშავებული იმუნიტეტი ორგანიზმს იმდენად აძლიერებს, რომ მეფუტკრე შეიძლება უვნებლად გადაურჩეს გიურზისგან დაგესვლასაც კი.**

გონივრული პერიოდულობით ფუტკრის შხამის მზარდი რაოდენობით მიღება ხელს უწყობს ნებისმიერი დაავადების დაძლევას!

ფუტკრის შხამი რადიკულიტის, ჰიპერტონიის, ნევროზის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების უებარი წამალია!

სხვადასხვა დაავადების გამომწვევი ვირუსები უძლურები ხდებიან ფუტკრის შხამის წინაშე და არსებობს არცთუ უსაფუძვლო ვარაუდი, რომ ფუტკრის შხამი ადამიანს კორონავირუსისგანაც იცავს!

**მე, როგორც მეფუტკრეს, არაერთხელ მქონია შემთხვევა, როცა რადიკულიტისგან გაშეშებული ადამიანისთვის მტკივან ადგილზე დამისვამს ფუტკარი, რომელსაც დაუნესტრავს ეს ადამიანი და მას რამდენიმე საათში გაუსაძლისი ტკივილები დაამებია!**

**— თვითონ ფუტკარს ნესტარი რაში სჭირდება?**

— ფუტკარს უამრავი მტერი ჰყავს და ამიტომ, შხამი და ნესტარი მისთვის თავდაცვის ერთადერთი იარაღია. გვქონია შემთხვევა, როცა გურიაში მდებარე უდიდეს საფუტკრესთან დააბეს ცხენი, რომელსაც ფუტკრები დაესია და უმალ იმსხვერპლეს. საქმე იმაშია, რომ ფუტკარს ძალზე განვითარებული აქვს ყნოსვა და მხედველობა. იგი თავისი 5 თვალით, რომელიც რამდენიმე ათასი ლინზისგან შედგება, 167-ჯერ უკეთ ხედავს, ვიდრე ადამიანი, ამასთან გააჩნია ღამის და დღის მხედველობა! „მტრის“ დანახვასთან ერთად, მისგან წამოსული უცხო სუნი სწრაფად აღწევს სკებში, სადაც ტყდება განგაში და დროის უმცირეს მონაკვეთში ყველა სკიდან ირაზმება ფუტკართა ლაშქარი. მტერთან შეტაკების ადგილისაკენ ფუტკრები თითქოს საგანგებოდ გაბმული ძაფის გასწვრივ მიფრინავენ... მათი ბრძოლაც ისეთივე მოწესრიგებულია, როგორც შრომა!

**— მსმენია, რომ დანესტვრის შემდეგ ფუტკარი აუცილებლად კვდება...**

— დედა ფუტკარი და მუშა ფუტკრები მდედრობითი სქესისანი არიან, მაგრამ შხამი მხოლოდ **მუშა ფუტკარს** გააჩნია. მამალ ფუტკარს შხამი არა აქვს, ის დაუცველია და მისი ფუნქციაც მცირეა — განაყოფიერება და ბარტყების გათბობა.

**შეიძლება მამალმა ფუტკარმა თავისი სიცოცხლე ისე დაასრულოს, რომ განაყოფიერებაში მონაწილეობა ვერც კი მიიღოს და თუ მიიღო, ამას ეწირება მისი სიცოცხლე, რადგან სქესობრივი აქტის დროს თავისი რეგალიები ძვრება...**

დანესტვრის დროს კი, როგორც მოგახსენეთ, მუშა ფუტკარი მსხვერპლის კუნთში ტოვებს ნესტარს, რის გამოც მისი სხეულის მთლიანობაც ირღვევა. **ამის შემდეგ ფუტკარი მაქსიმუმ 4 საათის განმავლობაში ცოცხლობს.** უფალმა ასე ინება, რომ ფუტკარი საკუთარი სიცოცხლის გაწირვის ფასად, ადამიანს სასიცოცხლო ენერგიას აძლევს! **ფუტკრისგან განსხვავებით, ბზიკი და კელა მსხვერპლს იმგვარად კბენენ, რომ თავისი შხამის აპარატს მსხვერპლის ორგანიზმში არ ტოვებენ, ამიტომ მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება!** ამავდროულად, თუ ფუტკრის შხამი მცირე რაოდენობით ორგანიზმისთვის სასარგებლოა, კელას შხამი მხოლოდ საზიანოა და არცთუ იშვიათად ადამიანები გარდაცვლილან კიდეც.

ადამიანისთვის ფუტკრის შხამის მიღების მხოლოდ ორი საშუალება არსებობს — **ინიექცია,** რაც ექიმთან ვიზიტს და ძვირადღირებული წამლების შეძენას უკავშირდება და **დანესტვრა,** რაც ბუნებრივ პირობებში მოულოდნელად ხდება ხოლმე, თუმცა, **შესაძლებელია დანესტვრის პროვოცირებაც, როცა მეფუტკრესთან მოდის სნეული ადამიანი და მის სხეულზე მეფუტკრე ათავსებს ფუტკარს, რომელიც იმყოფება რა, ექსტრემალურ გარემოში, კბენს პაციენტს, რითიც იმუნიტეტს, სასიცოცხლო ენერგიას აძლევს, თავად კი გარდაუვალ სიკვდილს ეგებება!**

**— როგორ ხდება ფუტკრის შხამის მოპოვება?**

— ამისთვის არსებობს სპეციალური, არცთუ იაფი მოწყობილობები, მინის ფირფიტები, მათში შედის 12 ვოლტი ძაბვა, რაც ფუტკრებს აღიზიანებს და ისინი იწყებენ შუშის ფირფიტების დანესტვრას, ოღონდ ამ დროს ნესტარს არ კარგავენ და მხოლოდ შხამს ტოვებენ მინაზე. ეს პროცესი ხდება მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ დროს — ღამის პირველიდან ორ საათამდე. მინაზე დატოვებული შხამი შრება, რომელსაც შემდეგ ფხეკენ და სპეციალურ სინჯარებში აგროვებენ.

ფუტკრის შხამი რთულად მოსაპოვებელი და ძალზე ძვირადღირებული პროდუქტია. იმის მიუხედავად, რომ ფუტკრის ოჯახის დაუზარალებლად შესაძლებელია კვირაში ერთხელ 1,5 გრამი ფუტკრის შხამის წარმოება, ამისათვის ძვირადღირებული აპარატურაა საჭირო, რასაც რიგითი მეფუტკრე ვერ გასწვდება. მაგრამ, თუ სახელმწიფოს მხრიდან იქნება ინტერესი და მზადყოფნა, ეს ქვეყანას დიდ შემოსავალს მოუტანს, რადგან საზღვარგარეთ 1 კილოგრამი ფუტკრის შხამის ფასი 60 ათას დოლარს აღწევს.



## P.S.

**ლელა ქიტიაშვილი** შხამის გარდა, ფუტკრის დანარჩენ პროდუქტებს — სხვადასხვა სახის თაფლს, სანთელს, ჭეოს, დინდგელს და ფუტკრის სადედე რძეს აწარმოებს. ეს პროდუქტები ჯანმრთელობისთვის აუცილებელი და შეუცვლელია. ვინც ფუტკრის პროდუქტებს რეგულარულად მოიხმარს, ის დიდხანს ცოცხლობს და საუკეთესო მდგომარეობაში აქვს მხედველობა, მეხსიერება, სისხლის მიმოქცევა, კუჭ-ნაწლავის მოქმედება, ორგანიზმის ზოგადი იმუნიტეტი!

**თბილისში ფუტკრის საუკეთესო ხარისხის, გარანტირებულად გაუყალბებელი პროდუქტების რეალურ, თითქმის წარმოების ფასებში შესაძენად მკითხველს შეუძლია, ლელა ქიტიაშვილს დაუკავშირდეს ტელეფონის ნომრებზე:**

**597-11-94-33, 597-11-96-33.**

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

***ერთი თვის წინათ კომპოზიტორმა და პოეტმა დათო ევგენიძემ 18-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ოფიციალურად იქორწინა ნინო ჟვანიასთან, თეთრი ვარდებისაგან შეკრული თაიგულიც პატარძალს პირადად შეურჩია:***





დათო ევგენიძე მეუღლესთან ნინო ჟვანიასთან ერთად

# დათო ევგენიძე:

# ჩვენს სახლში ყვავილები არ ჭკნება!

## „იები მიყვარს, ვარსკვლავებს ვადარებ!“

— ჩემს მეუღლეს ხშირად ვჩუქნი ყვავილებს — ვარდების გარდა — იასამნებს, იებს... ჩვენს სახლში ყვავილები არ ჭკნება. ძალიან ხშირად ღამით გამღვიძებია, გარეთ გავსულვარ და ახალგაღვიძებული მეუღლისათვის დილის გასალამაზებლად მაგიდაზე დამიხვედრებია ულამაზესი და სურნელოვანი ყვავილები.

**— თქვენ რომელი ყვავილები მოგწონთ?**

— იები მიყვარს, ვარსკვლავებს ვადარებ ხოლმე. დედაჩემს გაზაფხულის ყვავილები უყვარდა — იასამანი, ია, გვირილა... ყვავილებს ხშირად ვჩუქნი ჩემს შვილებსაც. ისე კი, სათბურში გამოყვანილ ყვავილებს ისეთი პეწი და სურნელი არა აქვთ, როგორც გაზაფხულზე ახალგაღვიძებულებს.

**— თქვენს ქალიშვილს — ანჟელიკას, რომელიც პარიზში ცხოვრობს, რომელი ყვავილი უყვარს?**

— მას იასამნები უყვარს.

**— ასოციაცია, რომელიც ყვავილებზე საუბრის დროს გიჩნდებათ?**

— უპირველეს ყოვლისა, მახსენდება ჩემი სოფელი ბევრეთი, ლისის ტბის ზემოთ, წოდორეთის მხარეს. ესაა ულამაზესი ადგილი მდიდარი ბუნებით, სადაც ელექტროენერგია 6 წლის წინათ გაიყვანეს და მანამდე სახლებს ლამფის შუქი ანათებდა. სამაგიეროდ, ყველა სახლის ეზოში ხარობდა ულამაზესი ყვავილები, ზოგან — ველური ვარდი, ზოგან — გვირილა და ეს იყო უდიდესი ბედნიერება. სწორედ ჩემი სოფლის ყვავილებთან ასოცირდება ყველაფერი ლამაზი და მშვენიერი.

**— ბევრეთში ყვავილების ბაღი გაქვთ გაშენებული?**

— ყვავილები არ გამიშენებია, მაგრამ ძალიან მომწონს ქალბატონებისთვის ყვავილების მირთმევა, უცნობებისთვისაც არაერთხელ მიჩუქნია. ჩემს პოეზიაშიც ბევრი ყვავილია. ერთი ასეთია: „ვარდის სული, ამოსული ყვავილად...“ საერთოდ, ყვავილის სურნელს ქალის მშვენიერებას ვადარებ. მაგრამ ისე არ გაიგოთ, თითქოს ქალბატონებს ყვავილებთან ვაიგივებ, ყვავილი ჭკნება, ქალი კი მზესავით მარადიულად უნდა ბრწყინავდეს.

**— ვის მიართმევდით დაგვიანებულ თაიგულს?**

— ვისთვისაც მსურდა ყვავილების მიტანა, მიმიტანია კიდეც და ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა, რომ ქალბატონისთვის ყვავილის ჩუქება დამვიწყებოდა. მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება გული, **დაგვიანებულ თაიგულებს — იებს ვაჩუქებდი ჩემს დას ლიკას. სამწუხაროდ, ისე ადრე წავიდა ამქვეყნიდან, რომ ვერ მოვასწარი იმ რაოდენობის ყვავილების ჩუქება, რაც მინდოდა.**

**— სად ყიდულობთ ყვავილებს?**

— კოლმეურნეობის მოედანთან, მეყვავილეები პირადად მიცნობენ, როცა მხედავენ, უხარიათ, იმდენი ყვავილი მიმაქვს ხოლმე. იქ ჰოლანდიური ყვავილებიც იყიდება, მაგრამ მე ყველაფერი ქართული მიყვარს და ამიტომაც ვარჩევ საქართველოში დაბადებულ სურნელოვან ყვავილებს.

**ავთანდილ ცქვიტინიძე,** ***დიზაინერი:*** — ვარდი მომწონს ყველაზე მეტად...

**— რომელი ყვავილი მოსწონს თქვენს მეუღლეს?**

— **ხათუნას** იასამნები უყვარს, როცა გაზაფხულზე ყვავის, ყოველთვის აქვს ეს მშვენიერი ყვავილები. მას ამჯერადაც იასამნებს მივართმევდი.

**მალხაზ ასლამაზიშვილი,** ***რეჟისორი:*** — ჩემს ეზოში უამრავი ყვავილი ხარობს, გვირილაც მომწონს, იაც. თუ ქალბატონებთან მივდივარ სტუმრად, ყოველთვის მიმაქვს ყვავილები. დღესასწაულებზე ყვავილებს მეუღლეს ვჩუქნი ხოლმე, მაგალითად, გაზაფხულზე იებს. დღემდე მახსოვს იმ ქრიზანთემების სურნელი, ჩემს ბავშვობაში ეზოში რომ ხარობდა, ჩემზე მაღლები იზრდებოდნენ, გვიან იწყებდნენ აყვავებას და ზამთარში ფიფქებიც ეფინებოდათ. მიყვარს ბალბას სურნელიც, ეს ყვავილიც ბავშვობაში მაბრუნებს, ბებიაჩემს ფანჯრის რაფაზე ედგა, მაშინ ეს ერთგვარი მოდა იყო.

**— ვის აჩუქებდით დაგვიანებულ თაიგულს?**

— ჩემს ეზოში ახლა ყვავის დაგვიანებული ვარდი... ყველა ქალი იმსახურებს ყვავილს. **მე ბებიაჩემს მივართმევდი ბალბას თაიგულს.**

**პაატა ბარათაშვილი,** ***მსახიობი:*** — შავი ვარდი მომწონს და მას ჩემს მეუღლეს **ირინას** მივართმევდი. შავი ვარდი მოსწონდა დედაჩემს **ერნა ხატიაშვილსაც,** რომლისთვისაც 8 მარტს მიმქონდა ხოლმე ეს ყვავილები.

**გივი ჩუგუაშვილი,** ***მსახიობი:*** — იასამანი მიყვარს, ჩემს მეუღლეს **მანანას** უყვარდა ძალიან და მეც შემაყვარა. სოფელში ჩვენს ეზოში ხარობენ ვარდებიც და იასამნებიც.

**— ვის მიართმევდით დაგვიანებულ თაიგულს?**

— უპირველეს ყოვლისა, იასამნებს მივართმევდი ჩემს მეუღლეს მანანას. დაგვიანებულ ყვავილებს — ათასფერ გაშლილ და ნამიან ვარდებს კი მივართმევდი სოფელ მუხრანის სკოლის მასწავლებელს, პატივცემულ **მარო გოლიჯანოვს,** რომელიც პირველი კლასიდან მეოთხე კლასამდე მასწავლიდა და იყო ძალიან ლამაზი, ცისფერთვალება ქალბატონი.

**გიო მგელაძე,** ***რეჟისორი:*** — დაგვიანებულ ყვავილებს — იებს მივართმევდი ჩემს მეუღლეს **თეონა მამფორიას,** ხოლო დედაჩემს — თავის საყვარელ მიხაკებს. დაგვიანებულ თაიგულს მივართმევდი ჩემი, 53-ე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს **თამარ ბურჯანაძეს.**



ავთანდილ ცქვიტინიძე



მალხაზ ასლამაზიშვილი



პაატა ბარათაშვილი



გივი ჩუგუაშვილი



გიო მგელაძე

*მოამზადა*
***ქეთევან ხამიაშვილმა***

ექიმის სიტყვა

# «კაცობრიობისთვის ეს

***აცივდა, ზამთარი ძალას იკრებს. როგორც ექიმები იტყობინებიან, ჩვენს მოსახლეობას გრიპის ვირუსი მოედო, კლინიკები გადატვირთულია. შემოდგომიდან მოყოლებული, პრობლემა უფრო ბავშვებში გაჩნდა — ფიქსირდება რამდენიმე სახეობის ვირუსი, რომლებიც ძალიან ჰგავს კოვიდს.***
***ამ და სხვა საინტერესო თემებზე „ასავალ-დასავალს“ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი ლევან რატიანი ესაუბრება.***

**— ბატონო ლევან, თუ შეიძლება, აგვიხსენით, რა ვირუსებთან გვაქვს საქმე?**

— ეს სეზონი ვირუსული ინფექციების აქტივაციით გამოირჩევა. განსაკუთრებით — ნოემბრის, დეკემბრისა და იანვრის პერიოდი. ამ ეტაპზე ვირუსები გააქტიურებულია ბავშვებში, მოზარდებსა და კოვიდგადატანილ ადამიანებში. **ძირითადი სირთულე ვლინდება ფილტვების ანთებით.** ჩვენი კლინიკის მაგალითზე გეტყვით, რომ მომართვიანობა გაზრდილია, ოღონდ ჯერჯერობით მხოლოდ ამბულატორიულ და არა — ჰოსპიტალურ სექტორზე, რაც დამაიმედებელია, რადგან პაციენტების უმეტესობას არ სჭირდება პალატებში გადაყვანა, მათ ეძლევათ შესაბამისი რჩევა-დარიგებები და განაგრძობენ მკურნალობას სახლის პირობებში ოჯახის ექიმის მეთვალყურეობით.

**— კონკრეტულად რასთან გვაქვს საქმე — ეს არის ე.წ. ტრადიციული ვირუსები, რამე ახალია თუ კოვიდის ნაირსახეობა შემოგვიტრიალდა?**

— სავარაუდოდ, ეს არის **მიქს-ინფექცია!** უმეტესი მათგანის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება და შეუძლებელია დადგენა — **გრიპია თუ კორონავირუსი?** ამას პოსტპანდემიურ პერიოდს ვერ დავარქმევთ, მაგრამ, **ჩემი აზრით, უკვე დგება მომენტი, როცა კოვიდპანდემია უნდა დამთავრდეს.** ისტორიულად აღწერილია, რომ პოსტპანდემიურ პერიოდებში ადამიანის იმუნური სტატუსი უფრო ქვეითდება და შესაძლებელია, ნებისმიერმა დაავადებამ აქტივაცია განიცადოს. ამიტომ, რაც ახლა ჩვენს ქვეყანაში ხდება, ეს არის გამოწვეული **მიქს-ინფექციით.**



## ლევან რატიანი:

# უკვე დგება მომენტი, როცა კოვიდპანდემია უნდა დამთავრდეს!

**— გამოდის, კოვიდპანდემია მთავრდება და ჩვეულებრივ ვირუსებზე გადავდივართ?**

— ალბათ, **კაცობრიობისთვის ეს არ იქნება ბოლო პანდემია!** გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ პანდემიის მინელებას დაახლოებით 3-4 წელიწადი სჭირდება. ისევ ჩვენი კლინიკის მაგალითზე გეტყვით, რომ კორონავირუსული პათოლოგია აშკარად შემცირებულია და რაც შემოგვრჩა, ისიც ნამდვილად აღარ არის მძიმე, რადგან სამყაროში უკვე გაჩნდა იმუნური ფენა. რა თქმა უნდა, დღეს მაინც არსებობს გამონაკლისი მძიმე შემთხვევები, მაგრამ ისეთი აღარ, როგორიც საწყის პერიოდში და შემდგომ გვქონდა.

**— თქვენს კლინიკაში, რომელიც მომავალი ექიმების სამჭედლოა, რა სიახლეები გაქვთ?**

— დიახ, ჩვენი კლინიკა პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** ინიციატივით სამედიცინო უნივერსიტეტს გადაეცა და კლინიკურ ბაზად იქცა, რაც მისასალმებელი ამბავია, რადგან მანამდე ჩვენს უნივერსიტეტს, რომელსაც 100 წლის საგანმანათლებლო ისტორია გააჩნია, ასეთი ბაზა არ ჰქონდა.

**ამ მთავრობის პირობებში მოხდა ძალიან კარგი რამ — ჩვენი კლინიკა განახლდა! სამედიცინო ინსტიტუტს კლინიკური ბაზა თუ არ ექნებოდა, ექიმის აღზრდის პროცესიც არ გამოვიდო-**

# ზურაბ ცინცქილაძე:
# ვლოცულობ, აკაკი ასათიანს ღმერთმა ფული აშოვნინოს და ტვირთი მოხსნას!



„სჯობს, მე ვიყო მოტყუებული, ვიდრე მატყუარა მერქვას!“

„როცა არავის ენდობი, ცხოვრება ძალიან ძნელია!“

თამრიკო-ფისო დათუაშვილი:

***ცნობილი მსახიობი ზურაბ ცინცქილაძე რამდენიმე წელია, ბანკში ყოველთვიურად 430 დოლარს იხდის — ვალს, რომელიც მისი ბინის ბანკში ჩადებით საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა აიღო და აღარ დაუბრუნებია.*** *„მეუბნებიან, ეს როგორ მოგივიდა, სხვისთვის ბინა ბანკში როგორ ჩადეო. სიკეთე გაკვირვებას იწვევს“,* ***— ამბობს მსახიობი, რომელიც თავის დღევანდელ მდგომარეობაზე გვესაუბრება:***

— არავის სჯერა, რომ ბანკში ბინის ჩადებაზე უანგაროდ დავთანხმდი, ჰგონიათ, რომ მე და **აკაკი ასათიანი** ერთობლივ ბიზნესს ვაკეთებდით და ჩავიფლავდა. გუშინაც მითხრეს — ეს როგორ მოგივიდაო! გავბრაზდი — წარმოიდგინეთ, **სიკეთის კეთება უკვე გაკვირვებას იწვევს!** ასათიანმა მითხრა, რომ მის შვილს, რომელიც საზღვარგარეთ სწავლობდა, უმაღლესი სასწავლებლიდან გამოუშვებდნენ, თანხას თუ არ გადაიხდიდა. ერთი წუთითაც არ მიყოყმანია, გადაღებაზე ვიყავი და იქიდანვე დავურეკე მეუღლეს, ბინა მის სახელზე იყო და ვუთხარი — ახლა შენთან **აკაკი ასათიანი** მოვა და ფურცლებზე ხელი მოუწერე-მეთქი. ასეც მოიქცა. ამ საბუთით ასათიანმა ბანკიდან ფული გამოიტანა, ვერ გადაიხადა და ახლა მე ვიხდი ამ ვალს.



**— მიგაჩნია, რომ შეცდომა დაუშვით?**

— **ჩემს სიკეთეს შეცდომად არ ვთვლი, შეცდომა აკაკი ასათიანს მოუვიდა!** იმ დღიდან დაიწყო ჩემი წვალება, მაგრამ რას ვიზამ, ალბათ, ეს გზა უნდა გამევლო.

**— აპატიეთ?**

— პატიება იმას ნიშნავს, რომ მის მიერ ბანკიდან გამოტანილი ფული მე უნდა გადავიხადო? არა, ვალი **აკაკი ასათიანმა** უნდა გადაიხადოს! მან უნდა იცოდეს, რომ ყოველთვიურად წელებზე ფეხს ვიდგამ, თანხას მის მაგივრად ვიხდი და გაუსაძლის სიტუაციას არ ვუქმნი. მხოლოდ ვლოცულობ, რომ ღმერთმა საშუალება მისცეს, ფული იშოვოს და ეს დიდი ტვირთი მოეხსნას. განათლებული კაცია და, ცხადია, გრძნობს, რა ტვირთაკიდებულს უწევს ცხოვრება.

**— დიდი ხანია, აკაკი ასათიანი არ გინახავთ?**

— არ მინახავს, მაგრამ ვიცი, რომ დღეს იქ აღარ ცხოვრობს, სადაც ცხოვრობდა. ვურეკავ ხოლმე და მაიმედებს, რომ ფულს გადაიხდის, მაგრამ ეს იმედი ერთი კვირა მყოფნის დასამშვიდებლად, შემდეგ ისევ იგივე წრეზე მივდივართ. უკვე კომპლექსი გამიჩნდა, რადგან მე მადანაშაულებენ, როგორ ენდე, ეს როგორ დაგემართაო! ადამიანისთვის გამოჩენილი თანაგრძნობა და სიკეთე უკვირთ!

**— ადამიანების მიმართ ნდობა დაკარგეთ?**

— **როცა არავის ენდობი, ცხოვრება ძალიან ძნელია!** თუკი მეგობარს დავჭირდები, ისევ ისე მოვიქცევი და თუ გაუგებარ სიტუაციაში აღმოვჩნდი, **სჯობს, მე ვიყო მოტყუებული, ვიდრე მატყუარა მერქვას!**

**— რას გეუბნებათ დღეს აკაკი ასათიანი?**

— ბოდიშს მიხდის — ეს რა მომივიდაო, საუბარი არ ეშლება! ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი, რომ ამ სიტუაციიდან თავის დაღწევა და ამ ტვირთის მოხსნა უნდა. 11 წელია, ვეხმარები, ყოველი თვის 17 რიცხვში მის გადასახდელ 430 დოლარს ვიხდი.

**— აკაკი ასათიანმა პრეზიდენტადაც იყარა კენჭი...**

— დიდი სურვილი მქონდა, პრეზიდენტი გამხდარიყო, ხელსაც შევუწყობდი. ცოდნა და გამოცდილება აქვს, ვუსურვებ წარმატებას პოლიტიკაში.

**— ფიქრობთ, რომ სიკეთე ისჯება?**

— ცხოვრება სიკეთესა და ბოროტს შორის ბრძოლაა, **ყოველთვის სიკეთე რომ იმარჯვებდეს, მაშინ ის თავის არსს დაკარგავს, თუმცა, ბოლოს აუცილებლად სიკეთემ უნდა გაიმარჯვოს.** არ დაკარგოთ მომავლის რწმენა, ახალი წელი მოდის და ვისურვებდი, ფეხბედნიერი ყოფილიყოს ყველასთვის დამდეგი 2023. **ილია ჭავჭავაძე** გამახსენდა: *„აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი! რა მივულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ?“* ყველაზე მთავარია ერთმანეთთან სამართლიანი და გულწრფელი დამოკიდებულება. **ყველას გადაეხადოს თავისი ვალი და თავისუფალსა და ლაღს გაებრძელებინოს ცხოვრება.**

**თამრიკო-ფისო დათუაშვილი**, ***მსახიობი, ზურაბ ცინცქილაძის მეუღლე:*** — მე და ჩემი მეუღლე **აკაკი ასათიანს** არ ვებრძვით, მისი მტრები არ გავმხდარვართ, მაგრამ ვთხოვთ, გამოასწოროს მდგომარეობა. **ამ სიტუაციამ არ გაგვაბოროტა და მიუხედავად ყველაფრისა, ვთვლი, რომ მეგობარი მეგობარს უნდა ენდოს და დაეხმაროს!** თუმცა, ყველამ უნდა გაითვალისწინოს, მსგავს სიტუაციაში თუ აღმოჩნდნენ, დაკვირვებით ჩაიხედონ საქმეში და გადაწყვეტილება განსჯის შემდეგ მიიღონ.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## აკაკი ასათიანს არ ვებრძვით, მისი მტრები არ გავმხდარვართ, მაგრამ ვთხოვთ, გამოასწოროს მდგომარეობა!

ექიმის სიტყვა

# არ იქნება ბოლო პანდემია!»

**და სრულყოფილი.** ამ ხელისუფლების პირობებში ინსტიტუტს ერთი კი არა, რამდენიმე კლინიკური ბაზა გააჩნია, რომელთაგანაც წამყვანი ჩვენი ბაზაა, სადაც 28 მიმართულებით მიდის კვლევა და მკურნალობა. ალბათ, ზედმეტი არ იქნება, გითხრათ, რომ **თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი ფლაგმანი სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი კლინიკა გახლავთ!**

**— 28 მიმართულება, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ თქვენთან ყველა სახის სერვისია.**

— დიახ, ყველაფერია, **კარდიოქირურგიის** გარდა, მაგრამ უახლოეს ხანში ესეც გვექნება.

**— კარდიოლოგიის კუთხით ამ ეტაპზე თქვენთან არანაირი ოპერაცია არ კეთდება?**

— კეთდება მხოლოდ შუნტირება, თუმცა, 2023 წლის პირველ ნახევარში გვექნება უახლესი აპარატურით აღჭურვილი კარდიოლოგიური ბაზა. ასევე მინდა, გითხრათ, რომ პანდემიის პირობებში ჩვენი კლინიკა აღიჭურვა მონიტორული სისტემით — დაახლოებით 150 მონიტორია ყველა პალატაში, რაც სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, რექტორისა და კანცლერის დამსახურება გახლავთ. ჩვენთან აქამდე არ არსებობდა ახალშობილთა რეანიმაცია, მაგრამ ახლა უკვე გვაქვს, თანაც, თანამედროვე აპარატურით არის აღჭურვილი და ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი განყოფილებაა, სადაც ლეტალობის ინდექსი ყველაზე ნაკლებია — 0,5 პროცენტი. გვაქვს მესამე დონის სამეანო-გინეკოლოგიური სამსახურიც და ქვეყნის მასშტაბით ყველა მძიმე ორსული ხვდება ჩვენი კლინიკის ბაზაზე. ჩვენთან ასევე შეიქმნა ინსულტის ცენტრი, სადაც პაციენტები პირველი 4 საათის განმავლობაში შემოდიან და სრულიად გამოჯანმრთელებულები საკუთარი ფეხით ბრუნდებიან სახლში.

**— უცხოეთის კლინიკებთან თუ გაქვთ ურთიერთობა?**

— რა თქმა უნდა! ჩვენთან ინტერნაციონალური სწავლებაა — დაახლოებით 115 ქვეყნიდან გვყავს სტუდენტები და ამდენივე ქვეყნის უნივერსიტეტებთან გვაქვს ურთიერთობა მემორანდუმების დონეზე. ესენია — **ავსტრია, გერმანია, თურქეთი და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები.**

**— ყველაზე მეტი სტუდენტი რომელი ქვეყნიდან გყავთ?**

— ყველაზე ბევრია **ინდოეთიდან, ირანიდან, შრი-ლანკადან.**

**— როდესაც სწავლას ამთავრებენ, თავიანთ ქვეყნებში მიდიან, თუ რაღაც ნაწილი რჩება?**

— თითქმის ყველა ტოვებს საქართველოს — აქ ამთავრებენ ბაკალავრიატს და შემდეგ სხვა ქვეყნებში აგრძელებენ სწავლას. ჩვენს დიპლომს საერთაშორისო აკრედიტაცია გააჩნია!

**— მაგალითად, ინდოეთიდან ჩამოვიდა ადამიანი, ვასწავლეთ, განათლება მივეცით და შემდეგ წავიდა... ამ შემთხვევაში საქართველოს რა ხეირი — მხოლოდ სწავლის პერიოდში გადახდილი ფული?**

— დიახ, ეს არის ერთგვარი ინვესტიცია. ჩვენ დაახლოებით 7 ათასი სტუდენტი გვყავს და აქედან 2 ათასი არის უცხოელი. ისინი 6 წლის განმავლობაში ფულს ხარჯავენ, სწავლის საფასურის გარდა, ბინებსაც ქირაობენ, თუმცა, პროფესიული თვალსაზრისით არაფერში გვარგიან. ძალიან მცირე ნაწილი შეიძლება დარჩეს, სხვებისთვის კი მთავარია, აიღონ დიპლომები და წავიდნენ აქედან. ფაქტობრივად, ჩვენი ქვეყანა მათთვის არის ტრამპლინი — აქ შედარებით იაფად იღებენ მაღალი დონის განათლებას. ევროპაში იგივე სახის განათლება უფრო ძვირია.

*ესაუბრა*
***გელა ზედელაშვილი***




„თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი ფლაგმანი სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი კლინიკა გახლავთ!“

## „სავარაუდოდ, ეს არის მიქს-ინფექცია! უმეტესი მათგანის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება და შეუძლებელია დადგენა — გრიპია თუ კორონავირუსი?“

***ქართველი მეცნიერი და ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი ᲙᲐᲮᲐ ᲡᲐᲑᲐᲮᲢᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ მამაკაცთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული სენის — პროსტატის ადენომის კლინიკაზე გვესაუბრება და აცხადებს, რომ პროსტატა ადამიანის ცხოვრებაში იმაზე ბევრად მეტ ფუნქციას ასრულებს, ვიდრე ზოგიერთს წარმოუდგენია:***



# ᲙᲐᲮᲐ ᲡᲐᲑᲐᲮᲢᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲐᲓᲔᲜᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ!

## „ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲐᲓᲔᲜᲝᲛᲐ ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲙᲘᲑᲝᲨᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ!“




— პროსტატის ჯირკვალს, ანუ უბრალოდ, პროსტატას „მამაკაცების მეორე გულსაც“ უწოდებენ! ეს არ არის შემთხვევითი, რადგან პროსტატა დიდ როლს თამაშობს რეპროდუქციასა და შთამომავლობის გაგრძელებაში. პროსტატა ფორმით წაბლის ნაყოფს წააგავს და ნორმალურ მდგომარეობაში 20-30 გრამს იწონის, ხოლო მისი მოცულობა 37-45 კუბურ სანტიმეტრს შეადგენს. თავის მაქსიმალურ ფუნქციონირებას პროსტატა 40-45 წლის ასაკში აღწევს, ხოლო შემდეგ მისი ფუნქციები ნელ-ნელა ქვეითდება.

**— ბატონო კახა, რა არის პროსტატის ძირითადი ფუნქცია?**

— მოგეხსენებათ, მამაკაცის სასქესო ჯირკვლები, ანუ სათესლეები გამოიმუშავებენ სპერმატოზოიდებს, რომელთა მოძრაობისათვის აუცილებელია თხევადი გარემო. სწორედ ამ თხევად გარემოს ქმნის პროსტატა და მას პროსტატის წვენი ეწოდება. 60 წლის ზემოთ თითქმის ყველა ადამიანი პროსტატის ჯირკვლის გადიდებით, მისი ჰიპერპლაზიით, ანუ პროსტატის ადენომით იტანჯება. ორმოციდან ორმოცდაათ წლამდე პროსტატის ადენომის ნიშნები ყოველ მეოთხე მამაკაცს აღენიშნება; ორმოციდან სამოც წლამდე — ყოველ მეორე მამაკაცს; სამოციდან სამოცდაათ წლამდე აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანების სამოცდაათ პროცენტს პროსტატის ადენომა აწუხებს, ხოლო სამოცდაათი წლის ზემოთ მამაკაცთა თითქმის ასი პროცენტი პროსტატის ადენომით არის დაავადებული.

**— მაინც რა ნიშნებით გამოირჩევა პროსტატის ადენომა და როგორ უნდა შევატყოთ, რომ პროსტატის ადენომა გვჭირს?**

— პროსტატა არამარტო მამაკაცთა სქესობრივ ფუნქციებში ასრულებს დიდ როლს, არამედ შარდის ნორმალურ გამოყოფასაც არეგულირებს. პროსტატა შარდის ბუშტის ქვემოთ და სწორი ნაწლავის წინ მდებარეობს. სწორედ პროსტატის ჯირკვლის სიღრმეში, მის შუა ნაწილში გადის შარდგამტარი არხი, ანუ ურეთრა. ცხადია, ეს არხი ყოველთვის თავისუფალი უნდა იყოს, არ უნდა იყოს შევიწროებული და შარდს თავისუფლად ატარებდეს. როდესაც პროსტატის ადენომის დროს პროსტატის ჯირკვალი დიდდება და მოცულობაში იზრდება, ცხადია, ის აწვება მასში გამავალ შარდგამტარ არხს, არხი ვიწროვდება და შარდვასთან დაკავშირებით პრობლემები ჩნდება. ეს პრობლემები შესაძლოა, იყოს: შარდის ნაკადის შემცირება, წყვეტილ-წყვეტილი შარდვა, შარდვის გაძნელება, შარდვის დროს გაჭინთვის აუცილებლობა, შარდის ბუშტის დაუცლელობის შეგრძნება, მოთხოვნის მიუხედავად შარდის შეკავება, ღამით სამ-ოთხჯერ და მეტჯერ მოშარდვა, შარდვის მოთხოვნისას მისი შეუკავებლობა. თუ ამ ნიშნებიდან სახეზე ერთ-ერთი მაინც გვაქვს, საქმე გვაქვს პროსტატის ადენომასთან, რომელსაც დროზე უნდა ვუშველოთ!



ტუია

**— ნუთუ არ შეიძლება პროსტატის ადენომის თავიდან აცილება?**

— **ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲐᲓᲔᲜᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲗᲐ ᲡᲐᲡᲥᲔᲡᲝ ᲰᲝᲠᲛᲝᲜ ᲢᲔᲡᲢᲝᲡᲢᲔᲠᲝᲜᲡ,** ხოლო ასაკის მატებასთან ერთად მისი ოდენობა მცირდება. პროსტატის ადენომას **ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲘᲛᲡᲘᲕᲜᲔᲡᲐᲪ** უწოდებენ. ბევრი ფიქრობს, რომ რაკი სიტყვა **ᲙᲔᲗᲘᲚᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲛᲡᲘᲕᲜᲔ** ესმის, ის შესაძლოა, საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს და პროსტატის ადენომა პროსტატის კიბოში გადაიზარდოს; მით უფრო, რომ პროსტატის კიბოს საწყისი ნიშნები ძალიან ჰგავს პროსტატის ადენომის კლინიკას. მინდა, დავამშვიდო ყველა: **ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲐᲓᲔᲜᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲙᲘᲑᲝ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲐᲓᲔᲜᲝᲛᲐ ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲙᲘᲑᲝᲨᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ!** თუმცა, შესაძლებელია ასეთი ვარიანტიც — ადამიანს ჰქონდეს პროსტატის ადენომაც და პროსტატის კიბოც!

**— როგორ უნდა გავარჩიოთ პროსტატის ადენომა პროსტატის კიბოსგან უმარტივესი ხერხით?**

— ორმოცი წლის ზემოთ ყველა მამაკაცმა აუცილებლად უნდა გამოიკვლიოს პროსტატის სპეციფიკური ანტიგენი. ეს ძალიან მარტივი პროცედურაა — ვენიდან იღებენ სისხლს და ლაბორატორიულად განსაზღვრავენ **ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲤᲘᲙᲣᲠ ᲐᲜᲢᲘᲒᲔᲜᲡ,** ანუ **„პსა“**-ს. „პსა“ პროსტატის კიბოს მარკერია და მისი მაჩვენებელი 0-დან 4 ერთეულამდე უნდა მერყეობდეს.

## ᲗᲣ „ᲞᲡᲐ“-Ს ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲛᲐ 4 ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲝᲜᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲡᲐᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.

ზოგიერთი ჩემი კოლეგა მიიჩნევს, რომ ასაკთან ერთად „პსა“-ც იზრდება და როცა 70-80 წლის მამაკაცს „პსა“-ს მაჩვენებელი 6-7 ერთეული აქვს, ეს ნორმალურია. ამერიკელები მიიჩნევენ, რომ, თუ პსა“-ს დონე 4 ერთეულს ცდება, ეს უკვე ყურადსაღები პროცესია. საერთოდ, პროსტატის ადენომის შესახებ მრავალი მითი არსებობს. მაგალითად, ზოგი თვლის, რომ, თუ პროსტატის ადენომის დროს ნაკლებ სითხეს მივიღებთ, ეს უკეთესია, რადგან ღამე ნაკლებად მოგვიწევს ადგომა. რეალურად, როცა პროსტატის ადენომა გვაწუხებს, დღის პირველ ნახევარში, დაძინებამდე სამი-ოთხი საათით ადრე, სითხე უნდა მივიღოთ! საქმე ის გახლავთ, რომ პროსტატის ადენომის დროს შარდის ბუშტი ბოლომდე არ იცლება, რჩება ე.წ. ნარჩენი შარდი, რომლის გამოყოფაც პრობლემაა. ასეთ დროს თუ სითხეს არ მივიღებთ, შარდის ბუშტსა და თირკმლებში შესაძლოა, დაგროვდეს მარილის კრისტალები, რომლებიც ხვალ-ზეგ კენჭებად გარდაიქმნება. გარდა ამისა, შარდის გამოყოფის შეფერხებამ შესაძლოა, შარდსაწვეთსა და შარდის ბუშტში გაზარდოს წნევა და ამ ყველაფერმა თირკმლის უკმარისობამდე ან არტერიულ ჰიპერტენზიამდე მიგვიყვანოს! ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, როგორც კი პროსტატის ადენომა გამოვლინდება, მაშინვე უნდა მივმართოთ ექიმს!

> **„ᲙᲝᲜᲘᲝᲡ, ᲢᲣᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲐᲗᲔᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲘ ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲐᲓᲔᲜᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲣᲕᲐᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲠᲩᲔᲜᲘᲐ!“**

**— ვიდრე ექიმს მივმართავდეთ, რა ხალხური საშუალებები არსებობს პროსტატის ადენომის მოსარჩენად?**

## – ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲯᲘᲠᲙᲕᲐᲚᲖᲔ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲡ ᲪᲮᲔᲜᲘᲡ ᲯᲔᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘᲗ ᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲐ.

ველოსიპედის პედლების ტრიალის შედეგად მცირე მენჯის ღრუში სისხლის მიმოქცევა მკვეთრად იზრდება, პროსტატის ჯირკვალში შეგუბებითი და ანთებითი პროცესები იხსნება და პროსტატის ადენომის სიმპტომები კლებულობს. თუ ველოსიპედის ტარება არ შეგვიძლია, მაშინ ზურგზე უნდა დავწვეთ, ფეხები ავწიოთ და



ᲙᲝᲜᲘᲝ

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲑᲔᲜᲓᲣᲥᲘᲫᲔ**
*კახა ბენდუქიძის შვილი*



სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, **დედაჩემი არ ჰგავდა ქართველ დედებს, რომლებიც განსაკუთრებული მზრუნველობით გამოირჩევიან,** 7 წლის შვილებს საკუთარი ხელით აცმევენ ტანსაცმელს, აჭმევენ საჭმელს და ა.შ. პატარაობიდანვე თვითონ ვუვლიდი საკუთარ თავს.

„ᲡᲐᲠᲙᲔ“

**ᲛᲐᲘᲐ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ**
*ტელეჟურნალისტი*



**ერთი წლის ვიყავი, როცა ჩემი მშობლები ერთმანეთს გაშორდნენ.** რა, როგორ და რატომ მოხდა, ამაზე ლაპარაკი არ მინდა, რადგან საკმაოდ მტკივნეულია. **მას მერე მამაჩემთან არანაირი კავშირი აღარ მქონია.**

„ᲡᲐᲠᲙᲔ“

**ᲕᲐᲠᲓᲝ ᲗᲝᲓᲠᲘᲐ**
*ხალხური ანსამბლ „ნართის“ ხელმძღვანელი*



ჩოხატაურში **პირველი ქალი** ვიყავი, ვინც მანქანას მართავდა.

„ᲡᲐᲠᲙᲔ“

**ᲖᲣᲠᲐ ᲮᲐᲩᲘᲫᲔ**
*მომღერალი*



ორი **მაჰმადიანი,** ორი **გრიგორიანელი** და ერთი **ბუდისტი** მყავს მონათლული.

„ᲡᲐᲠᲙᲔ“

**ᲡᲝᲤᲝ ᲑᲔᲓᲘᲐ**
*მომღერალი*



**ისეთი ადამიანის მონათვლა, ვისაც საერთოდ არ იცნობ, გამართლებულად არ მიმაჩნია.**

„ᲡᲐᲠᲙᲔ“

მოვახდინოთ ველოსიპედის ტარების იმიტაცია. 1952 წელს ამერიკელმა გინეკოლოგმა **არნოლდ კეგელმა** შეიმუშავა უნიკალური ვარჯიშების სისტემა, რომელიც არამარტო პროსტატის ადენომისა და პროსტატიტების სამკურნალოდ, არამედ შარდის შეუკავებლობის დროსაც კი გამოიყენება. მეთოდის პრინციპი მარტივია — მცირე მენჯის ღრუს ძირში, სადაც პროსტატის ჯირკვალია მოთავსებული, არსებობს გავა-კუდუსუნის პატარა კუნთი, რომელიც შარდისა და დეფეკაციის უცბად შესაკავებლად გადამწყვეტ როლს თამაშობს. აი, სწორედ ეს კუნთი უნდა ვავარჯიშოთ, ოღონდ შემდეგნაირად — წამოვწვეთ ზურგზე, ფეხები მოვხაროთ, ტერფით იატაკი დავაფიქსიროთ, სამი წამის განმავლობაში შევისუნთქოთ და თან მენჯი ავწიოთ. სამი წამის შემდეგ ამოვისუნთქოთ და მენჯი ნელა დავუშვათ იატაკზე.

**— ასაკოვანი მამაკაცი ამ ვარჯიშს ვერ შეასრულებს!**

— მაშინ არსებობს სხვა მეთოდიც! კერძოდ, დამჯდარ ან დამდგარ მდგომარეობაში შევკუმშოთ გავა-კუდუსუნის კუნთი ისე, თითქოს შარდს ვიკავებთ, შევიკავოთ სუნთქვა რამდენიმე წამით, გავაძლიეროთ კუნთის შეკუმშვა და მერე ამოვისუნთქოთ და მოვდუნდეთ! დღეში სამჯერ ასე გავაკეთოთ ათ-ათჯერ, ოღონდ ორი-სამი საათის ინტერვალით.

ხშირად ისეც ხდება, რომ ადამიანი მოშარდვის მიზნით ღამეში სამ-ოთხჯერ წამოდგება, მაგრამ არც ექოსკოპიით და არც სიმპტომატიკით პროსტატის ადენომა არა აქვს. ბუნებრივად დაისმის კითხვა — მაშ, რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე? **საქმე ის არის, რომ ადამიანთა საკმაოდ დიდ ნაწილს, განსაკუთრებით მათ, ვინც ჭარბწონიანია, აღენიშნებათ ობსტრუქციული აპნოე, ანუ ძილში სუნთქვის შეჩერება. ასეთ დროს ორგანოები და, პირველ რიგში, თავის ტვინი ჟანგბადის შიმშილს განიცდის. სწორედ ამის საკომპენსაციოდ ხდება სისხლძარღვების სპაზმი, სისხლში ადრენალინის გადმოსროლა და ძილში წნევის მატება.**

**იმისათვის, რომ ძილში ინსულტი არ განვითარდეს, ადამიანს უჩნდება მოშარდვის შეგრძნება. ცხადია, ასეთ დროს ადამიანი იღვიძებს, მოსაშარდად გადის, ორგანიზმი სითხისგან იცლება და**



## „ვინც ძილში ხვრინავს და ღამით სამ-ოთხჯერ დგება, უროლოგს კი არა, პირველ რიგში, ძილის სპეციალისტს, ანუ სომნოლოგს უნდა მიმართოს!“

**წნევაც დაბლა იწევს.**

**— როგორ გავარჩიოთ, პროსტატის ადენომასთან გვაქვს საქმე თუ სუნთქვის აპნოესთან?**

— პროსტატის ადენომის დროს შარდვა შემცირებულია, გაძნელებულია და პროცესს თან ახლავს დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება. ძილის აპნოეს დროს კი შარდის გამოყოფა პრობლემა არ არის, შარდვა უხვია, თავისუფალია და უმტკივნეულო. აქ ადგილი არა აქვს საშარდე გზების დახშობას და ზედმეტი სითხის მოშორებაც თავისუფლად ხდება. ამიტომ ყველა, ვინც ძილში ხვრინავს და ღამით სამ-ოთხჯერ დგება, მან უროლოგს კი არა, პირველ რიგში, ძილის სპეციალისტს, ანუ სომნოლოგს უნდა მიმართოს!

პროსტატის ადენომის მკურნალობაში შეუდარებელია ჰომეოპათიური მედიცინა. პირადად მე ჰომეოპათიური წესით დამზადებული **კონიოს, ტუიასა და სხვა პრეპარატების** მეშვეობით ათეულობით პაციენტი პროსტატის ადენომის გარდაუვალი ოპერაციისგან გადამირჩენია! უფრო მეტიც, არსებობს სიტუაცია, როდესაც „პსა“-ს მაჩვენებელი 4 ერთეულზე მეტია, მაგრამ ვერანაირი გამოკვლევა და მათ შორის, ვერც ბიოფსიაც პროსტატის კიბოს ხილულ ნიშნებს ვერ იძლევა. არადა, რეალურად პროსტატის კიბო უკვე დაწყებულია. გარკვეული ჰომეოპათიური პრეპარატებით არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა სიმსივნური პროცესის დასაწყისი არამარტო შეგვიჩერებია, არამედ „პსა“-ც ნორმის ფარგლებში დაბრუნებულა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# ქართველმა ექიმმა პროსტატის ადენომის და მასტოპათიის უოპერაციოდ განკურნების უნიკალური საშუალებები შექმნა!




**— ბატონო კახა, ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს თქვენს პუბლიკაციებს, რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ პროსტატის ადენომა განკურნებადია?**

— გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც ახალი დამთავრებული მქონდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, უკრაინაში, ქ. კიევში ყოფნის პერიოდში შემთხვევით შევიძინე წიგნი: „**Гомеопатическое лечение аденомы предстательной железы**“, რომლის ავტორი გახლდათ **ექიმი ნატალია სემიონოვა.** ეს წიგნი მისი საკანდიდატო დისერტაცია იყო, რომელიც ეძღვნებოდა **პროსტატის ადენომის მკურნალობას არაქირურგიული გზით — ჰომეოპათიური საშუალებებით.** პირდაპირ გეტყვით, ამ წიგნში **ჩემთვის, როგორც ექიმისათვის, დაუჯერებელი ფაქტები იყო გადმოცემული!**

ექიმმა **ნატალია სემიონოვამ უკრაინის ნაციონალურ სამედიცინო უნივერსიტეტში** 2 წლის განმავლობაში 60-დან 90 წლამდე **პროსტატის ადენომით** დაავადებული პაციენტების **ჰომეოპათიური საშუალებებით მკურნალობის** შედეგად მიაღწია 90% შედეგიანობას: მან **100-დან 90 პაციენტს ოპერაცია თავიდან აააცილა!** ამის გამო მას არამარტო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, არამედ **მეცნიერების დარგში უკრაინის სახელმწიფო პრემიაც** მიანიჭეს, რაც კომუნისტური რეჟიმის პერიოდში იშვიათობა იყო!

**— რა იყო ნატალია სემიონოვას წარმატების საიდუმლო?**

— ექიმმა-ჰომეოპათმა **ნატალია სემიონოვამ** პროსტატის ადენომის დასამარცხებლად შეიმუშავა **უნიკალური ფორმულა**, რომლის ძირითად შემადგენელ ნაწილს ჰომეოპათიური ტექნოლოგიით დამზადებული და ჩვენი მკითხველისათვის უკვე ცნობილი მცენარეები — კონიო (Conium), ტუია (Thyia) და ხეპილპილა (Agnus castus) შეადგენდა!

**— თქვენს ერთ-ერთ პუბლიკაციაში აღნიშნეთ: „კატრექსის“ ავტორმა ალექსანდრე გაჩეჩილაძემ პირდაპირ გითხრათ, კარგად შეგესწავლათ მცენარე კონიო, რომელსაც უძლიერესი ანტისიმსივნური მოქმედებაც გააჩნია...**

— გეტყვით პირდაპირ: ძველი ქართული მედიცინის გამოცდილების გაანალიზებამ, **უნიკალური ანტისიმსივნური** პრეპარატის **„კატრექსის“** ლაბორატორიაში სამეცნიეროკვლევითმა მუშაობამ, მსოფლიოში აღიარებული ჰომეოპათიური მედიცინის კორიფეების — **ნატალია სემიონოვას, ტატიანა პოპოვას, პროფ. ნეშის, კონსტანტინ გერინგის** და სხვათა ფასდაუდებელმა შრომებმა მომცა საშუალება, შემექმნა **უნიკალური ფორმულები: „გულის ელექსირის“, „მამოსილის“, „იმუნო-ჰერბის“** სახით, რომლებიც **ყველა სააფთიაქო ქსელშია.**

რაც შეეხება **პროსტატის** ჯირკვალთან არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს, **ეს ჯერჯერობით მხოლოდ ჩვენს კლინიკაშია შესაძლებელი (ბახტრიონის ქ. №10ბ „ნეოკლინიკა“).** უნიკალური სამკურნალო ფორმულის **„პროსტატ-ჰერბის“** საშუალებით, ეს პრეპარატი **ძველი ქართული მედიცინის** გამოცდილებისა და პროფესორ ნ. სემიონოვას შრომების საფუძველზეა შექმნილი და ამიტომაცაა **უნიკალური მთელ მსოფლიოში!**

**პროსტატის ჯირკვალთან დაკავშირებული ყველა პრობლემის არაქირურგიულად მოგვარება ჰომეოპათიური საშუალებებით, უმრავლეს შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია!**

**— ბატონო კახა, რას გვეტყოდით, თქვენ მიერ შექმნილი მასტოპათიების, ფიბრომების და ქალთა გინეკოლოგიური სიმსივნური პრობლემების სამკურნალო საშუალების „მამოსილის“ შესახებ?**

— ამ წამალმა მისი შექმნიდან 10 წლის განმავლობაში **ასობით პაციენტი ოპერაციულ ჩარევას გადაარჩინა. „მამოსილმა“** საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს წამლის სააგენტოში წარმატებით გაიარა **სახელმწიფო რეგისტრაცია და 18.05.2012 წ. №02773(ო) ბრძანების** საფუძველზე დამტკიცდა როგორც ბუნებრივი სამკურნალო წამალი, რომლის გამოყენებაც **ნებადართულია ექიმის დანიშნულების გარეშეც!**

**— რამდენად საშიშია მკერდში გამკვრივების, სხვადასხვა ზომის მასტოპათიური კვანძების არსებობა?**

— თქვენ თვითონ განსაზღვრეთ: **მასტოპათიის ფონზე სარძევე ჯირკვლის კიბო 11-ჯერ უფრო ხშირად ვითარდება.** ასევე ძალზე საშიშია საშვილოსნოს კეთილთვისებიანი სიმსივნეები — **ფიბრომიომები.** მკურნალობის ჰორმონალური საშუალებები და იოდშემცველი პრეპარატები დიდი სიფრთხილითაა გამოსაყენებელი.

**— რა ფორმაკოლოგიური თვისებები გააჩნია მასტოპათიის სამკურნალო და საპროფილაქტიკო ბუნებრივ წამალ „მამოსილს“?**

**— ანთების საწინააღმდეგო, ანტიტოქსიკური, ჰორმონთა ცვლის მარეგულირებელი.** მის შემადგენლობაში შემავალი ჰომეოპათიური წესით მომზადებული მცენარე **კონიო (Conium)** ჯერ კიდევ ავიცენას დროიდან ითვლება უძლიერეს **სიმსივნის საწინააღმდეგო** საშუალებად!

**— შეიძლება თუ არა „მამოსილის“ მიღება პროფილაქტიკის მიზნით?**

— მრავალ ქალს მკერდში არავითარი კვანძი, გამკვირვება არ აღენიშნება, მაგრამ **ციკლის წინ უმკვრივდებათ სარძევე ჯირკვლები.**

ოფიციალურ მედიცინას ამის სამკურნალო პრეპარატი არ გააჩნია. არადა, სწორედ ეს მოვლენებია **მასტოპათიის დაწყების წინა პირობა.** მაინცდამაინც უნდა დაველოდოთ, რომ მასტოპათია ჩამოყალიბდეს და შემდეგ ვიზრუნოთ მის ქირურგიულ თუ მედიკამენტოზურ მკურნალობაზე?! სწორედ ასეთ შემთხვევაში გაგიწევთ დიდ დახმარებას **„მამოსილი“**, მიღებული დღეში თუნდაც 1-2-ჯერ, 5-7 გრანულის რაოდენობით. **„მამოსილი“ უნდა მიიღოს ყველამ, ვინც მკერდზე, საშვილოსნოზე სიმსივნის გამო ოპერაცია გადაიტანა!**

**— ღირებულების მხრივ რამდენად ხელმისაწვდომია „მამოსილი“?**

— ჩემი, როგორც **„მამოსილის“** ავტორის და „ჯი-პი-სის“ შეთანხმებით „მამოსილი“ 19 ლარამდე ღირება. ერთი ფლაკონი ყოფნის 1 თვეზე მეტი. **„მამოსილი“, „გულის ელექსირი“** და გაცივების საწინააღმდეგო **„იმუნოჰერბი“** ყველა სააფთიაქო ქსელშია, ხოლო პროსტატის პრეპარატი **„პროსტატჰერბი“ — მხოლოდ ჩვენს კლინიკაში.**




მასტოპათიის და ფიბრომის სამკურნალო პრეპარატი **„მამოსილი“ „ჯიპისის“** სააფთიაქო ქსელშია, პროსტატის მკურნალობა **„პროსტატჰერბით“ — „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრში“.**

**მიღება წინასწარი ჩაწერით ტელ.: 593-31-70-34**

## კვირგვინოსნები

**ლეო ბოკერია**
*ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*



**ადამიანის გულზე ლამაზი არაფერი მინახავს, სული კი სისხლის მოძრაობაშია.** საქართველოს გაუმარჯოს, გვახსოვდეს, რომ ლამაზი და დიდი ისტორია გვაქვს და გავაგრძელოთ ეს ისტორია, მიუხედავად იმისა, სად ვართ და რისი შესაძლებლობა გვაქვს!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ნატალია ამირეჯიბი**
*დიზაინერი*



**ზოგიერთი მოზაიკა ხელოვნების ნიმუშია, მერე რა, რომ საბჭოთაა!** ბათუმის „რვაფეხასა“ და გუდაურის მოზაიკას მატერიალური ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. როგორც ვიცი, თავის დროზე ორივეს დანგრევა იყო გადაწყვეტილი, რადგან საბჭოთა წარსულიდან შემოგვრჩა, **21-ე საუკუნეში მათ პროპაგანდისტული დატვირთვა აღარ აქვს.** კიდევ კარგი, ვიღაცამ არ დაუშვა მათი დანგრევა, თორემ სანიმუშო ვანდალიზმი შეგვრჩებოდა ხელთ.

„კვირის პალიტრა“

**თორნიკე ნინიკაშვილი**
*კურიერი*



**ვაკე-საბურთალო** მეტწილად **სუშის** ითხოვს, **მტკვრის მარცხენა სანაპირო** კი **შაურმას.**

„კვირის პალიტრა“

**გელა პატიაშვილი**
*მხატვარ-ანიმალისტი*



დანაშაული მგონია, რომ **ადამიანი ძალიან ძვირს იხდის ჯიშიან ძაღლში,** როცა შეუძლია, ქუჩიდან წამოიყვანოს ის.

„თბილისელები“



# მიხეილ ცაგარელი: მიმართულებადაკარგული მთვარე ადამიანის პირად ჰოროსკოპში

***— როგორ მთვარეს ეწოდება მიმართულებადაკარგული, ანუ გეზდაკარგული? ამ დროს ვის მართებს განსაკუთრებული ყურადღების გამოვლენა? რას გვიჩვენებს მზე ან მთვარე ადამიანებთან მიმართებით? რა მნიშვნელობა ენიჭება და რას აღწერს ადამიანის პირად ჰოროსკოპში არსებული მთვარის ასპექტები პლანეტებთან? რა შემთხვევაში ახდენს ადამიანი გაუცნობიერებლად ყველაფრის გათვლასა და ანალიზს ანდა ყველასთან ჰარმონიულ ურთიერთობას ამყარებს და არის გამორჩეულად თავაზიანი და გულისხმიერი? როდის აქვს განსაკუთრებული ბრძოლისუნარიანობა და აქტიურობისა თუ მოქმედების მოთხოვნილება? რა შემთხვევაში აქვს ადამიანს თანდაყოლილი კეთილშობილება, პატიოსნება, ზნეობა ანდა მკვეთრად გამოხატული თვითკონტროლი და მოვალეობის შეგრძნება? როდის არის ზედმეტად თავისუფლების მოყვარული და მზადაა, დაემშვიდობოს ყველასა და ყველაფერს, რაც წინსვლასა და განვითარებაში ხელს შეუშლის? რა შემთხვევაში აქვს გაძლიერებული ინტუიცია და, ამავდროულად, შფოთვა, ეჭვიანობა და უნდობლობაც? რა შემთხვევაში აჯილდოებს განგება ადამიანს ძალაუფლებით და ანიჭებს უნარს, მართოს ხალხი და სიტუაციები? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— კვირის ამა თუ იმ დღის პროგნოზირებისას ხშირად მიუთითებთ მიმართულებადაკარგული მთვარის პერიოდს. რა მნიშვნელობა ენიჭება და რა ზემოქმედებას ახდენს ასეთი მთვარე ადამიანებსა და მოვლენებზე?**

— **მიმართულებადაკარგული მთვარის პერიოდში მაღალია უყურადღებობის, გონებაგაფანტულობის, შეცდომების დაშვების ალბათობა. შესაბამისად, ასეთ დროს მეტი ყურადღებაა საჭირო სატრანსპორტო საშუალებების მართვისას, ქირურგიული ოპერაციების ჩატარებისას, სადისპეტჩერო და სხვა მნიშვნელოვანი საპასუხისმგებლო სამსახურების თანამშრომლებისგან.** ამგვარად, დაახლოებით ორ დღეში ერთხელ რომელიმე ზოდიაქოს გავლისას, **მთვარე,** შესაძლოა, აღმოჩნდეს ზონაში, რომელშიც უკვე ყველა მაჟორული ასპექტი გაიარა და მომდევნო ზოდიაქოს ნიშანში გადასვლამდე აღარცერთის გავლა არ მოუწევს. ასეთი პერიოდი, ძირითადად, რამდენიმე წუთიდან რამდენიმე საათამდე გრძელდება და მას ასტროლოგიაში **მიმართულებადკარგული ანდა გეზდაკარგული მთვარის პერიოდი ეწოდება.** ასეთი მთვარე საყურადღებოა ყოველდღიურობაში და ქორალურ თუ ელექტიურ ასტროლოგიაში, თუმცა, პირად ნათალურ ასტროლოგიაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. უნდა აღინიშნოს, რომ ასტროლოგიის სხვადასხვა სპეციალობაში სხვადასხვა გათვლები ხორციელდება და სხვადასხვა წესები მოქმედებს, ამიტომ პლანეტებისა და ასპექტის მნიშვნელობანიც განსხვავებულია. ის, რაც ქორალურ ასტროლოგიაში უმთავრესია, შესაძლოა, ადამიანის პირად ჰოროსკოპთან მიმართებით არანაირ როლს არ თამაშობდეს. შესაბამისად, მათი გაიგივება დაუშვებელია. ეს ეხება **მიმართულებადაკარგულ მთვარესაც,** რომელიც ასტროლოგიის სხვადასხვა სფეროში სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას საჭიროებს.

**— რამდენად მნიშვნელოვანია პირად ჰოროსკოპში არსებული მთვარის ასპექტები და მათი ზეგავლენა ადამიანებზე?**

— **მთვარე მნათობია, ამიტომ ყველაფერი, რაც მას უკავშირდება, მეტად მნიშვნელოვანია. მთვარე დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ემოციებზე, შინაგან სამყაროზე, ფსიქოლოგიაზე, ჯანმრთელობაზე. მთვარე აღწერს ადამიანის ჭეშმარიტ ბუნებას, იმას, რაც ვლინდება მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი კარგავს საკუთარ თავზე კონტროლს და იქცევა ინსტინქტურად. ამგვარად, მთვარე გვიჩვენებს ადამიანს მის ბუნებრივ მდგომარეობაში. იმას, როგორიც სამყაროს მოევლინა. იმას, რაც არის სინამდვილეში. მზე კი გვიჩვენებს, თუ რისკენ მიისწრაფის ადამიანი, როგორი უნდა გახდეს და განვითარდეს.** ასევე **მთვარე** აღწერს ადამიანის ფიზიოლოგიას და იმ საშუალებებს, რაც აუცილებელია ძალთა აღსადგენად. **პლანეტებთან მთვარის ასპექტები აღწერს პიროვნების გაუცნობიერებელ გამოვლინებებს. მაგალითად, ადამიანის პირად ჰოროსკოპში პლანეტა მერკურთან მთვარის ასპექტის დროს ადამიანი თავად ვერ ამჩნევს, როგორ აანალიზებს და ახდენს ყოველთვის ყველაფრის გათვლას.** სხვაგვარად, მას უბრალოდ არ შეუძლია და ვერც წარმოუდგენია. **პლანეტა ვენერასთან მთვარის ასპექტის შემთხვევაში, ადამიანი მუდმივად ზრუნავს ყველასთან ჰარმონიულ ურთიერთობაზე. სხვებზე ტაქტიანი, გულისხმიერი და თავაზიანია, რადგან მას საწყისშივე აქვს სილამაზისკენ, ჰარმონიისკენ, სიყვარულისკენ ლტოლვა. პლანეტა მარსთან მთვარის ასპექტისას, ადამიანი ბრძოლისუნარიანია, მიმწოლია, ფიზიკურად აქტიურია; დინამიკის, მოძრაობის, მოქმედების მოთხოვნილება მომატებული აქვს.** ნიშანდობლივია, რომ დაძაბულ სიტუაციაში, სადაც აუცილებელია სირთულეების გადალახვა და მიზნის მიღწევა, ასეთი ადამიანი თავს მეტად კომფორტულად იგრძნობს. **პლანეტა იუპიტერთან მთვარის ასპექტის დროს კი ადამიანს თანდაყოლილი აქვს წესიერება, პატიოსნება, კეთილშობილება, ზნეობრიობა, ხელგაშლილობა, სიკეთე.** ამგვარი ადამიანისთვის, ბუნებრივია რელიგიურობა და უფროსებისა და ავტორიტეტების პატივისცემა. **პლანეტა სატურნთან მთვარის ასპექტის შემთხვევაში, ადამიანს ძლიერ აქვს გამოხატული თავდაჭერა, თვითკონტროლი, სიმკაცრე როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართ,** სინდისის, ვალდებულების, მოვალეობის თანდაყოლილი შეგრძნება. **პლანეტა ურანის ასპექტი მთვარესთან ვლინდება თავისუფლების სიყვარულში. ასეთი ადამიანი ნაკლებ მიჯაჭვულია იმაზე, რაც აქვს ან რაიმე სხვა პირობითობაზე.** ის მუდამ მზად არის, დაემშვიდობოს ყველას და ყველაფერს, რაც ხელს უშლის წინსვლასა და განვითარებაში (იმ შემთხვევაშიც კი, თუ მანამდე ძალიან უყვარდა და სამომავლო გეგმებსაც აწყობდა). **პლანეტა ნეპტუნის მთვარესთან ასპექტის შემთხვევაში კი ადამიანს გაძლიერებული აქვს ინტუიცია, მაგრამ ამავდროულად უძლიერდება მღელვარება, ეჭვიანობა, უნდობლობა, შფოთვა.** ასეთი ადამიანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წინათგრძნობას, შეგრძნებებს და აქვს საკუთარი სისტემა ჩამოყალიბებული მინიშნებების, სიმბოლოების, რომლითაც ხელმძღვანელობს. **პლანეტა პლუტონთან მთვარის ასპექტი კი ადამიანს აჯილდოებს ძალაუფლებით, რომლითაც ძალუძს, მართოს ხალხი და სიტუაციები.** ამასთან, მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებს ამ თვისებას კეთილშობილურად, ხალხის სამსახურითა თუ პირიქით, ბოროტად, ძალმომრეობით და ზეწოლით.

*რუბრიკას უძღვება*
*მარინა მერკვილაძე*

## 12 – 18 დეკემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
საზოგადოებრივი საქმე იმატებს და შეხვედრებიც გახშირდება. შემართებით შეუდგებით გეგმის განხორციელებას. გარშემო მყოფებს ადვილად მოხიბლავთ და საწადელს მიიღებთ. შესაძლოა, ახლობელთა მეშვეობით ფინანსური და სოციალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. სასიყვარულო ურთიერთობაში ნურაფერს შეცვლით, რათა უსიამოვნებებს გვერდი აუაროთ. შორეული მოგზაურობა ხარჯს დაუკავშირდება, თუმცა, დადებით შედეგს მოიტანს.

**კურო** (21.04-20.05)
ხელი შეეწყობა ავტორიტეტის ამაღლებას პროფესიულ სფეროსა და სამსახურში. ახალი საქმიანი მოლაპარაკებები და კონტრაქტები პოპულარობას შეგმატებთ. ეცადეთ, აღიდგინოთ ფინანსური დამოუკიდებლობა. ამ კვირაში შესაძლებელი იქნება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება. საიდუმლო ინფორმაციის გაგება და პირად ურთიერთობაში უწესრიგობა, შესაძლოა, ოჯახურ კავშირზე ცუდად აისახოს.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ენერგიული იქნებით და შესაძლოა, მცირეოდენ რისკზეც კი წახვიდეთ. პროფესიულ საქმეში კარგი პერიოდია სამსახურის შესაცვლელად ან შემოსავლის ახალი წყაროს საძიებლად. ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობა ბევრ საინტერესო ინფორმაციას მოგაწვდით, რაც ახალი იდეების საწინდარი გახდება. სასიყვარულო კავშირი კი უფრო გულახდილი და მეგობრული იქნება. გადაადგილებებისას ყურადღებით იყავით, რათა გაუგებრობებს თავი აარიდოთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
კარგი პერიოდია მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის და პროფესიული დონის ასამაღლებლად. ასევე კარგი დროა ნათესავებთან ურთიერთობისთვის, ძველი იდეების ხორცშესხმისა და საიდუმლო ინფორმაციის კვლევისთვის. ამავდროულად, თუ მეუღლესთან ან შეყვარებულთან გულთბილი და გულახდილი არ იქნებით, შესაძლოა, ურთიერთობა ჩიხში მოაქციოთ. შორეული მოგზაურობა კი დადებითად ჩაივლის და სასიამოვნო მოგონებებს დაგიტოვებთ.

**ლომი** (23.07-23.08)
სასიცოცხლო ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ და ლიდერობას, საქმისა და ხალხის მართვას მოისურვებთ. შესაძლოა, ახალი სამსახურის შემოთავაზებაც მიიღოთ. ასევე შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანი, რომელთანაც სასიყვარულო ურთიერთობას დაამყარებთ. დაქორწინების შემთხვევაში კი ეს კავშირი ხანგრძლივი, სიყვარულით აღსავსე და მომგებიანი იქნება. ქალაქგარეთ ან უცხოეთში მოგზაურობა პოზიტიურად ჩაივლის, მაგრამ ეცადეთ, არ გადაიღალოთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
ახალი კავშირები თქვენს სოციალურ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს. უცხოელებთან ან სხვა ქალაქიდან ჩამოსულებთან მუშაობისას შესაძლებელი იქნება კარიერული აღმასვლა და ახალი პერსპექტივების წარმოქმნა. შესაძლოა, შემოსავალმა მოიმატოს, თუმცა, ხარჯიც ცოტა არ იქნება. კარგი დროა საყიდლებისთვის, საჩუქრების შესაძენად, რაც დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. მოგზაურობა კი დამატებით ენერგიას შეგმატებთ და მოქმედებებისთვის სტიმული გახდება.

## 12 – 18 დეკემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
კეთილგანწყობა და ინტერესი სიახლისადმი ბევრ საინტერესო ადამიანს დაგაკავშირებთ. ნებისმიერ საკითხში ესთეტიკური პრინციპებით იხელმძღვანელებთ, ბევრ ჩანაფიქრს განახორციელებთ და ავტორიტეტს აიმაღლებთ. შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანი, რომლის მიმართ ძლიერი სასიყვარულო გრძნობა გაგიჩნდებათ. კარგი დროა გეგმური მკურნალობისთვის და ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. შორეული მოგზაურობაც სასიკეთო შედეგს მოიტანს.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
საქმეში წარმატება დამოკიდებული იქნება კონტაქტურობაზე და გულღია ურთიერთობაზე, რადგან ჩანაფიქრის რეალიზებაში პარტნიორები და თანამშრომლები დაგეხმარებიან. შესაძლოა, საინტერესო და მომგებიანი შემოთავაზებებიც მიიღოთ. კარგი პერიოდია შორეული მოგზაურობისა და თავგადასავლებისთვის. სასიყვარულო ურთიერთობა კი შემოქმედებისა და ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენის სტიმული იქნება.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ენერგოპოტენციალი მოიმატებს და თავს სანაქებოდ იგრძნობთ. დამატებითი შემოსავალი დაკავშირებული იქნება ინდივიდუალურ საქმიანობასთან. ამ პერიოდში დიდია ოჯახში სიახლის ალბათობა. ეცადეთ, ფინანსებზე ნაკლებად იფიქროთ და წვრილმანის გამო არ იწუწუნოთ. შორეული მოგზაურობა თქვენს სტიქიაში გაგრძნობინებთ თავს და შესაძლოა, უცხოეთში დროებით ცხოვრებაზეც დაფიქრდეთ. კარგი პერიოდია უძრავი ქონების შეძენისთვისაც.

**თხის რქა** (22.12-19.01)
კარგი პერიოდია პროფესიული საქმიანობისა და სამსახურში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. თქვენი შრომით ნელა, მაგრამ წარმატებით ივლით მიზნის მისაღწევად. ჯანმრთელობა დასტაბილურდება, ოპტიმიზმი იმატებს და ფინანსური მდგომარეობაც გაუმჯობესებას დაიწყებს. გარშემო მყოფნი ყოველმხრივ მხარს დაგიჭერენ, თუმცა, მცირეოდენი ინტრიგებიც არ არის გამორიცხული. საყვარელ ადამიანს, შესაძლოა, თქვენი თანადგომა დასჭირდეს, ამიტომ ეცადეთ, გულისხმიერობა გამოავლინოთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
კარიერული ზრდისთვის მეტად ხელსაყრელი პერიოდია. ჩანაფიქრი თამამად განახორციელეთ, რათა მომავალში მშვიდად იყოთ. ემოციები კი აუცილებლად აკონტროლეთ და არ იკამათოთ. შესაძლოა, სამოგზაუროდ გაემგზავროთ, რომლის დროსაც დიდი იქნება სასიყვარულო კავშირის დამყარების ალბათობა. მიუხედავად ამისა, ჯობს, მეტი ყურადღება ჯანმრთელობას დაუთმოთ რამეთუ, ეს პერიოდი ხელს შეუწყობს ძველი ქრონიკული დაავადებისაგან გათავისუფლებას.

**თევზები** (19.02-20.03)
მეტად მეგობრული და მხიარული იქნებით, ამიტომ სხვა ადამიანებთან ურთიერთგაგება გაუმჯობესდება. შეხვედრები და ხელშეკრულებები ბევრ დროს წაგართმევთ, თუმცა, წარმატებას მოგიტანთ მომავალში. ახალი საქმიანი პარტნიორი ყურადღებით აირჩიეთ. ფინანსურ და იურიდიულ საბუთებზეც გაამახვილეთ ყურადღება. საოჯახო და პირადი ურთიერთობებიც გაგიუმჯობესდებათ და დროა, ჯანმრთელობას მიხედოთ და სათანადო მკურნალობა ჩაიტაროთ, მოგზაურობა კი საქმეში წარმატებას მოგიტანთ.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**12, 13, 16 და 17 დეკემბერი**

**8 დეკემბერი – სავსემთვარეობა, პიკი – 08.09 საათზე;**
**23 დეკემბერი – ახალმთვარეობა, პიკი – 14.17 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 12 დეკემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.19 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 20.06 საათზე, ჩადის 13 დეკემბერს 10.47 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 20.38 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მაღალია მიამიტი ადამიანების მახეში გაბმის ალბათობა. ასევე იმატებს ბავშვებთან პრობლემის წარმოქმნის ალბათობაც. ურთიერთობისას კი წვრილმანს ნუ ჩაეძიებით, არ არის სასურველი ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, სიმძიმის აწევა, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, ბინის შეცვლა, ნიშნობა და ქორწინება. სასიკეთო დღეა თვალების სამკურნალოდ, იურიდიული საქმეებისთვის, ახალი სამსახურის დასაწყებად, ძვირფასი ნივთების, სამკაულებისა და საჩუქრების შესაძენად. ხელმძღვანელთან ურთიერთობისთვის, მეგობრული თავყრილობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა, სერდოლიკი, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 13 დეკემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.19 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 21.09 საათზე, ჩადის 14 დეკემბერს 11.18 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 21.55 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.52 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს გამახვილებული იქნება გულმავიწყობა. ასევე გამოაშკარავდება მეტოქეებისა და მოშურნეების ქმედებანი. ამავე დროს, შესაძლებელია, ნებისმიერი საქმის არსს ჩასწვდეთ და გაერკვეთ პრობლემებში. ურთიერთობისას კი მოერიდეთ წვრილმანში ჩაძიებას. არ არის სასურველი ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, ნერვიულობა, სიმძიმის აწევა, ხელშეკრულების დადება, ფინანსური გარიგება, პრეტენზიის გამოხატვა, ნიშნობა და ქორწინება. კარგი დღეა ახალი სამსახურის დასაწყებად, ხელმძღვანელთან კონტაქტისთვის, მეგობრებთან გართობისთვის, ძვირფასი ნივთისა და საჩუქრების შესაძენად, მშენებლობისთვის, თმის შეჭრა-მოვლისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 14 დეკემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.20 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (12.47) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 22.12 საათზე, ჩადის 15 დეკემბერს 11.44 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 23.12 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 12.47 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს დაბნეულობა აკონტროლეთ. ნებისმიერი თქვენი ქმედება თუ განკარგულება უნდა იყოს კონკრეტული და ზუსტი ურთიერთობისას, გამოთქმები გააკონტროლეთ. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, გარისკვა. კარგი დღეა საბანკო-საფინანსო ოპერაციებისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, აუდიტისთვის, ვაჭრობისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, თანამშრომლობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ონიქსი. **პოზიტიური** დღეა თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 15 დეკემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.21 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 23.15 საათზე, ჩადის 16 დეკემბერს 12.06 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 23.30 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** სიბრძნის, სიკეთისა და მაღალი სულიერების გამოვლენის დღეა! წარმატებული იქნება პრაგმატულად მოქმედება და გადაწყვეტილებების მიღება. საკვების ხარისხი აკონტროლეთ, ზედმეტ სითხესაც ნუ მიიღებთ. კარგი დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, ვაჭრობისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, აუდიტისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, თანამშრომლობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, სარისკო ქმედება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, ზურმუხტი, აქატი. **პოზიტური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 16 დეკემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.21 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.50) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 17 დეკემბერს 12.27 საათზე (მთვარის 23-ე დღე გრძელდება. მე-4 ფაზა იწყება 12.57 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.13 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ემოციური გადაწყვეტილებებისა და გაუაზრებელი ქმედებისგან თავი შეიკავეთ, მოერიდეთ პროვოკაციებს, ძუნწსა და ფიცხ ადამიანებს. ურთიერთობისას მეტი მზრუნველობა გამოავლინეთ. არ არის სასურველი ქორწინება, გარისკვა. ახალი ნაცნობობა, გამოცდის ჩაბარება. კარგი დღეა სამეცნიერო კვლევისთვის, აუდიტისთვის, საბანკო-საფინანსო ოპერაციებისთვის, სწავლისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, ვაჭრობისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, საჭმელ-სასმლის ხარისხი აკონტროლეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ქრიზოპრაზი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 17 დეკემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.22 საათზე, ჩადის 17.32 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 00.18 საათზე, ჩადის 12.48 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 01.47 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სილამაზის აღქმის უნარი იმატებს. სასიკეთოა ლოცვა. ხელი შეეწყობა კბილების მკურნალობას და ტერფებისა და თირკმლების წერტილოვან მასაჟს. ამავდროულად ზედმეტ სითხეს ნუ მიიღებთ და წელი არ გაიციოთ. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო და მეგობრული შეხვედრებისთვის, შემოქმედებისთვის, კულტურული ღონისძიებებისთვის, ავეჯის, პარფიუმერიის, ტანსაცმლის, მუსიკალური აპარატურის შესაძენად. რთული საკითხის გადასაწყვეტად გამოიყენეთ დიპლომატია. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ჟადეიტი, ლაზურიტი, აკვამარინი, საფირონი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 18 დეკემბერი, კვირა

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.23 საათზე, ჩადის 17.30 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 01.23 საათზე, ჩადის 13.09 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 03.07 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** სასიკეთოა ლოცვა. ურთიერთობისას მოსალოდნელია ხასიათცვალებადობა, მელანქოლიისკენ მიდრეკილება. ეფექტურია წელისა და ტერფების წერტილოვანი მასაჟი. კარგი დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ქორწინებისთვის, საოჯახო საქმეებისთვის, შემოქმედებისთვის, მკურნალობის დასაწყებად, ავეჯის, ტანსაცმლის, პარფიუმერიის შესაძენად. სიფრთხილე გამოიჩინეთ ცეცხლთან და მჭრელ საგნებთან მიმართებით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ლაზურიტი, ნეფრიტი, ჟადეიტი, ციტრინი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## საეკლესიო კალენდარი



**13 დეკემბერი – ხსენება წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა**

✝ 12 დეკემბერი. ორშაბათი. მღვდელმოწამისა აბიბოსისა, ნეკრესელი ეპისკოპოსისა.

✝ 13 დეკემბერი. სამშაბათი. **წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა, საქართველოში ქრისტეს პირველმქადაგებელისა;** წმიდისა დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა; პეტრე I კათალიკოსისა, წმიდისა დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლის თანამოღვაწისა.

✝ 14 დეკემბერი. ოთხშაბათი. წინასწარმეტყველისა ნაუმისა; მართლისა ფილარეტ მოწყალისა; მოწამისა ანანია სპარსისა.

✝ 15 დეკემბერი. ხუთშაბათი. წინასწარმეტყველისა ამბაკუმისა; ღირსისა ისესი, წილკნელი ეპისკოპოსისა, 13 ასურელ მამათაგანისა; მოწამისა მიროპიასი; ღირსთა: იოანესი, ირაკლემონისა, ანდრიასი და თეოფილესი.

✝ 16 დეკემბერი. პარასკევი. სოფონიასი; ღირსისა თეოდულე კონსტანტინოპოლელისა; ღირსისა იოანე მდუმარისა, კოლონიის ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამისა თეოდორესი, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა.

✝ 17 დეკემბერი. შაბათი. **წმიდა დიდმოწამე ბარბარესი;** მოწამისა იულიანასი; ღირსისა იოანე დამასკელისა; ღირსისა იოანესი, პოლივოტელი ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა.

✝ 18 დეკემბერი. კვირა. **ღირსისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩვენისა საბა განწმედილისა;** მოწამისა ანასტასისა; ღირსთა კირიონ ბერისა და ძისა მისისა ზაქარისი, ეგვიპტელთა.



**17 დეკემბერი – წმიდა დიდმოწამე ბარბარეს დღესასწაული**


თამარისი Tamarisi

**დაინახე:**




**ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38**

571 19 93 93    598 79 40 00

www.facebook.com/tamarisioptics




**ელის საგვარეულო, სამკურნალო მალამო თქვენი სილამაზისა და ჯანმრთელობისთვის!**

**თბილისი, ფალიაშვილის 81, ვაკის პარკთან**

**599-22-59-09**

აჩერებს **ართრიტის, ართროზის, კოქსართროზისა** და **ოსტეოპოროზის** (და სხვა) პროცესს ძალიან ეფექტურად; აქრობს **ანთებას თიაქრის** დროს და უბრუნებს **სახსარს** ქმედითუნარიანობას; კურნავს **მუხლის სახსროვან პათოლოგიებს** და ხსნის ტკივილს; კვებავს **სახსარსა** და **ძვალს;** აფერხებს **სითხის განლევას;** ხსნის **შეშუპებასა** და **დასიებას;** აცხრობს **ვენების ანთებით** პროცესს; აჩქარებს **გაბზარული ძვლის აღდგენას;** ამაგრებს **ქსოვილებს** და **მყესებს;** აუმჯობესებს **კანის სტრუქტურას** და მასაჟის ფონზე ერევა **ცელულიტს;** ხდის **კანს ელასტიკურს;** შეიცავს უამრავ ვიტამინსა და მინერალს.

**მალამო არის ქართული საგვარეულო რეცეპტი ბუნებრივი კომპონენტებით.**



**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

**მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.**


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. პარიტეტი; 6. ქაფჩა; 11. ბლუზი; 12. ლელია; 13. ლამინარია; 14. ლურჯა; 15. ტენტი; 19. აგიტატორი; 20. რეალობა; 21. შიძინი; 24. ასტრონომია; 26. ჩითილი; 29. ლაფსუსი; 30. სილიკატები; 35. ლავა; 37. პირატი; 38. სენატორი; 39. თომა; 40. ზალა; 42. ნიკელი; 45. მინიმუმი; 48. ესე; 49. ბატალია; 51. ტრესტი; 52. ვერდი; 56. რაე; 57. ბოლივარი; 61. მეკარე; 62. პაიკი; 63. იფვ; 64. ბლიცი; 65. მალაყი; 66. ტირიფი; 67. ავიცენა.

შვეულად: 1. პოლკა; 2. რამზი; 3. ტანკა; 4. ტირსო; 5. კუინჯი; 6. ქილიკი; 7. ფერარი; 8. ალაყაფი; 9. ფლაკონი; 10. ნარვალი; 11. ბატი; 17. გუსლი; 18. ტერფი; 19. ტონგა; 21. შალი; 22. ძოფი; 23. ნაუსი; 25. მზე; 26. ჩივაძე; 27. თალიზი; 28. ლოველასი; 30. სასა; 31. ლანჩი; 32. კიტრი; 33. ტარტუ; 34. ბუ; 36. ლოტი; 37. პანტა; 41. ბიდე; 43. კია; 44. ლაინი; 45. მარტენი; 46. ნესტარი; 47. მოირები; 49. ბილიკი; 50. ტაბიძე; 52. ვერის; 53. რუპია; 54. პა; 55. რიფი; 58. ლამა; 59. ველი; 60. რიყე.

**პანიკამარატიანიონიქსილოლიტატამიშიკინობელი**
**მორალიტენორისიმონაკოდალაქიმერანიაგარაკიბე**

| პანის მიერ გამოწვეული შიში | საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწე | უარყოფითი მუხტის იონი | ორგანული ნაერთი, გამხსნელი | საჭიდაო ხალიჩა | გარეგნული ბრწყინვალება | დინამიტის გამომგონებელი |
|---|---|---|---|---|---|---|

| მიმართვა ქალისადმი პოლონეთში | მწვანილი | ქართველი მწერალი | მინერალი, აქატის ნაირსახეობა | ნაბოკოვის რომანი | სოფელი ოჩამჩირის რაიონში | ხელოვნების დარგი | დათვის ნაშიერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. მხარეთა თანასწორობის პრინციპი; 6. კალატოზის კედლის სალესი იარაღი; 11. მიმდინარეობა მუსიკაში; 12. ჟორჟ სანდის რომანი; 13. ზღვის „კომბოსტო"; 14. მაგდანას სახედარი (ლიტ.); 15. ტილოს ფარდული; 16. პირი, რომელიც აგიტაციას ეწევა; 20. სინამდვილე; 21. პირველი ჩინური ძეგლი, ე.წ. „სიმღერათა წიგნი"; 24. ცის სხეულების შემსწავლელი მეცნიერება; 26. სათბურში გამოყვანილი ნერგი; 29. უნებლიე შეცდომა; 30. ჟანგმიწის შემცველი მინერალები; 35. ვულკანური მასა; 37. მეკობრე; 38. სენატის წევრი; 39. ქრისტეს „ურწმუნო" მოციქული; 40. დიდი ოთახი ბინაში, დაწესებულებაში; 42. ქიმიური ელემენტი, ძნელადდნობადი ლითონი; 45. რისამე ყველაზე ნაკლები რაოდენობა; 48. თავისუფალი ფორმის ნარკვევი; 49. ბრძოლა (წიგნ.); 51. კაპიტალისტური მონოპოლიების ფორმა; 52. იტალიელი კომპოზიტორი; 56. ქართული რ-ს სახელი; 57. ვენესუელის ფულის ერთეული; 61. ფეხბურთელის ამპლუა, გოლკიპერი; 62. ჭადრაკის ფიგურა; 63. აღტაცების, მოწონების შორისდებული; 64. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 65; ყირამალა, თავდაყირა; 66. რბილმერქნიანი ხე; 67. აბუ ალი იბნ სინას ლათინიზებული სახელი.

შვეულად: 1. ჩქარტემპიანი საბალო ცეკვა; 2. შოტლანდიელი პოეტი; 3. იაპონური პოეზიის ჟანრი; 4. ესპანელი მწერალი ... დე მოლინა; 5. რუსი მხატვარი; 6. ხუმარა, ოხუნჯი; 7. იტალიური ავტომობილი; 8. ჭიშკარი; 9. სუნამოს ჭურჭელი; 10. დელფინების ოჯახის ცხოველი; 11. შინაური ფრინველი; 17. ძველებური მრავალსიმიანი რუსული საკრავი; 18. ფეხის ნაწილი (ძირი); 19. ველორიქშა ინდოეთში; 21. მატყლის ქსოვილი; 22. იტალიელი ექსმეკარე; 23. არამუსლიმანური ხალხების სამარხი ნაგებობა აზიაში; 25. მნათობი; 26. ყოფილი ქართველი ფეხბურთელი; 27. თმის გადანერგვის კლინიკა თბილისში; 28. ქალების მუსუსი; 30. პირის ღრუს ზედა თაღისებრი ნაწილი; 31. მეორე საუზმე; 32. ბოსტნეული; 33. ქალაქი ესტონეთში; 34. ღამის ფრინველი; 36. აუქციონზე გასატანი ნივთი; 37. ტყის მსხალი; 41. საპირფარეშო ჭურჭელი; 43. კორეული ავტომობილი; 44. შინ ნაქსოვი ბამბის ქსოვილი; 45. ფოლადის გამოსადნობი ღუმელი; 46. ფუტკრის „იარაღი". 47. ბედისწერის სამი ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 49. საცალფეხო გზა; 50. ქართველი პოეტი; 52. ფილმი „... უბნის მელოდიები"; 53. ინდოეთის ფულის ერთეული; 54. ნაბიჯი ცეკვაში; 55. წყალქვეშა კლდე; 58. აქლემების ოჯახის ცხოველი; 59. მინდორი; 60. მდინარის ქვიანი ნაპირი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ზნეობრივ-დამრიგებლობითი პიესა შუა საუკუნეებში | მსახიობი ჩაკ ... | ქალაქი საფრანგეთში | ფიგაროს პროფესია | ტატოს ლექსი | ზაფხულობით დასასვენებელი ადგილი | ავანსი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ზნეობა | კაცის სასიმღერო ხმა | ე. ნინოშვილის მოთხრობა | ხეკაკუნა ფრინველი | მითოლოგიური ცეცხლის მფრქვეველი ურჩხული | ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში | ასასვლელ-ჩასასვლელი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

**ასავალ დასავალი**

2022 წლის 12 – 18 დეკემბერი №51 (1463)

გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

**სარედაქციო კოლეგია**

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი"**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**


